

## თავი 30

სიტყუად ესე: „და ერთმან იესუსთანამან მიყო ჳელი და იჯადა მახვლი მისი და სცა მონასა მღდელთმოდღურისასა და წარჰკუეთა ყური მისი. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახვლი ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვლი, მახვლითა წარწყმდენ. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე ან აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ? და ვითარ-მე აღეს-რულენენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?“ (26,51-54).

ვითარცა იოვანე გუასნავებს, პეტრე იყო, რომელმან ესე ქმნა;<sup>1</sup> რამეთუ ნანდკლვე მისისა მჭურვალეებისა შემსგავსებული იყო საქმე ესე. ხოლო იგიცა ღირს არს გამოძიებად, თუ რად აქუნდა მახვლი; რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ აქუნდა, ვითარცა იტყვს სხუად მახარებელი, ვითარმედ: „ჰრქუეს: უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ“;<sup>2</sup> ანუ რადსათვს უბრძანა ქრისტემან ქონებად მახვლისა?

რამეთუ იტყვს ლუკა, ვითარმედ: „ჰრქუა მათ იესუ: ოდეს-იგი წარგავ-ლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერწათშესასხმელ-თა, ნუ გაკლდა რადა თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარად გუაკლდა. და მერმე ჰრქუა, ვითარმედ: ან რომელსა აქუნდეს საქუფთე, აღიღენ; ეგრეთ-ვე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განციდენ სამოსე-ლი თვისი და იყიდენ მახვლი. რამეთუ გეტყვ თქუენ: ესე ხოლოდა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: უშჯულთა თანა შეირაცხა,<sup>3</sup> რამეთუ ჩემთვს აღსასრული იყოს. ხოლო მათ ჰრქუეს: უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ. ხოლო თავადმან ჰრქუა: კმა არს“.<sup>4</sup>

გამოვიძიოთ, ამათცა სიტყუათა ძალი ვითარ-ძი არს. რამეთუ არა თუ ქრისტემან წინააღმდგომი თვსთა მცნებათაჲ განანესა; რამეთუ პირველ ეთქუა: „ნუ მოიღებთ... ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჳამლთა, ნუცა კუერთხსა“,<sup>5</sup> და შემდგომი ამისი, და ან იტყვს: „რო-მელსა აქუნდეს საქუფთე, აღიღენ; ეგრეთვე ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განციდენ სამოსელი თვისი და იყიდენ მახვლი“. არამედ ჯე-როვნად იტყოდა, ყოველსავე თვისსა ჟამსა.

რამეთუ დაწყებასა მას ქადაგებისასა, ვიდრედა იგი თავადი სოფელსა შინა იქცეოდა, და წარავლინნა იგინი ქადაგებად ქალაქთა მათ ჰურიას-ტანისათა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, არამედ მივედით ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“;<sup>6</sup> მაშინ უბრძანა იგი მცნებად,

<sup>1</sup> იოან. 18,10.

<sup>2</sup> ლუკ. 22,38.

<sup>3</sup> ესაია 53,12.

<sup>4</sup> ლუკ. 22,35-38.

<sup>5</sup> მათ. 10,9-10.

<sup>6</sup> მათ. 10,5-6.

რადთა არცა ოქროდ აქუნდეს, არცა ვეცხლი, არცა რვალი, არცა ვაშკარანი გზასა, არცა ორი სამოსელი, არცა ჴამლნი, არცა კუერთხი; და თვნიერ ამის ყოვლისა წარავლინა და თვსითა განგებულებითა ესრეთ ყო, რომელ არარად სადა დააკლდა მათ, რადთა საქმით ცნან ძალი განგებისა მისისად, უნაკლულევანებითა მით, და გულსმოდგინედ განვიდენ სოფლისა ქადაგებად მინდობითა ძალისა მისისადთა. ამისთვის ვითარცა ჩჩვლთა ილუნიდა და თანამზრუნველ ექმნებოდა.

ხოლო ან, მო-რად-ვიდა აღსასრულსა განგებულებისა მის კაცთა შორის ქცევისადასა და ეგულებოდა ამიერ წარსლვად და განავლენდა მათ ქადაგებად წარმართთა, ესე უბრძანა, რადთა არა ყოვლადვე უქმებით იყვნენ და ადვილად, არამედ გამოიცადნენ შიმშილითა და სიშიშულითა და სიგლახაკითა და აჩუენონ თვისი მოთმინება და სიმწნე, და ვერვინ უძლოს ამისა შემდგომად თქუამად, თუ: არარად აჩუენეს მათ ახოვნება თავით თვსით, არამედ ყოვლითურთ უნაკლულოდ და განსუენებით იყვნეს, და ყოველივე განგებულებამან ღმრთისამან ქმნა; გინა თუ თქუან, ვითარმედ: გარეგან იყვნეს იგინი ბუნებასა კაცობრივსა.

ამისთვის და სხვსა მრავლისა ესევეითარისა მიზეზისათვს შეუნდო მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა და შრომათა შთავრდომად, რადთა ფრიადითა მით შრომითა და სიმდაბლითა მათითა უმეტესად აღორძნდეს სასყიდელი მათი.

ვინადთგან უკუე მიცემად იყვნეს, ვითარცა ვთქუ, მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა, არლარა ინება მძიმესა მას მცნებასა ქუეშე ყოფად მათდა, რადთამცა არა აქუნდა ჴელმწიფებად არცა ვეცხლისა, არცა რვალისა, არცა ვაშკარანისა, არცა ფერწათაშესასხმელთა, არცა კუერთხისა ქონებად, არამედ აღუსუბუქა მცირედ სიმძიმე იგი და სისრულე მის მცნებისად; რამეთუ ვინადთგან ესევეითართა ჭირთა და ნაკლულევანებათა მიცემად იყვნეს, უკუეთუმცა მის პირველთქუმულისა მცნებისა დამარხვად და აღსრულებად თანადვა, მძიმე იყო ფრიად და ძნელ.

ხოლო რადთა არა მოიგონონ მათ, თუ ვერ შემძლებელ იყო უნაკლულოყოფად მათა და ამისათვს ესრეთ უბრძანა, ჰრქუა მათ: „ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერწათაშესასხმელთა, ნუ გაკლდა რადა თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარად გუაკლდა“, რადთა ორკერძოვე ცნან ძალი მისი და გულისწმა-ყონ, ვითარმედ არა შეუძლებელ იყო მისგან მარადის უნაკლულო-ყოფად მათა, არამედ ესრეთ სადმე იყო უმჯობესი მათი.

ხოლო რომელ უბრძანა სყიდად მახვლისა, რად არს? არა თუ აღჭურვად უბრძანებდა, არამედ ზედამოსლვასა მას იუდაისსა და შეპყრობასა მისსა ჰურიათა მიერ მოასწავებდა. და ესე ცხადად არა აუნყა, რადთა არა შეშინდენ, არამედ მახვლისა ჴსენებითა ყოფადსა მას მის ზედა ბოროტისზრახვასა იუდაისსა და ჰურიათასა მოასწავებდა. და ესე საცნაურ არს

შემდგომისა მის სიტყვსაგან, რამეთუ თქუა რად, თუ: „იციდენ მახვლი“, მეყსეულად დაურთო: „გეტყვ თქუენ: ესე ხოლოდა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ: უშჯულოთა თანა შეირაცხა, რამეთუ ჩემ-თვს აღსასრული იყოს“.<sup>1</sup> ესე იგი არს: რად-იგი ჩემთვს თქუეს წინადასწარ-მეტყუელთა, ყოველი აღსრულებულ არს. ესრეთ არცა სრულიად გამო-უცხადა, რადთა არა შეშინდენ, არცა სრულიად დაიდუმა, რადთა არა ანაზ-დადთ ზედამოსლვამან მბრძოლთამან შეაშფოთნეს იგინი. ხოლო ოდეს-იგი თქუეს მათ: „უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ“, და სიტყუად იგი ვერ გულისწმა-ყვეს, თავადმან ჰრქუა: „კმა არს“.

უკუეთუ კაცობრივისა შეწვენისა ჯმარებად ენება, არცა თუ ასიმცა მახვლი იყო, კმა-ეყოფოდა; ვინაჲთგან უკუე არა ამისთვს იყო სიტყუად მისი, ამისთვს ორნიცა იგი მეტ იყვნეს. გარნა არა გამოუცხადა უფალმან სიტყუად იგი, რამეთუ მრავალგზის ქმნის ესე: ოდეს ვერ გულისწმა-ყვიან სიტყუად მისი, თანაწარჰჳდის, რადთა საქმემან გულისწმა-უყოს. ვითარ-ცა-იგი ოდეს თქუა: „დაჰჳსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვაშე-ნო“,<sup>2</sup> და მაშინ ვერ გულისწმა-ყვეს, ხოლო ოდეს იგი აღდგა მკუდრეთით, მოეწსენა, ვითარმედ ამისთვს იტყოდა,<sup>3</sup> ეგრეთვე ან ზედამოსლვასა მას იუდაჲსსა და ჰურიათასა მოასწავებდა მახვლისა ჳსენებითა, და მათ ვერ გულისწმა-ყვეს.

ხოლო ვინაჲ აქუნდა მახვლი მათ, ანუ რად იყო მახვლი იგი? დანაკები იყო, რომელ-იგი აქუნდა კრავისა მისთვს პასექისა, რომელსა აღასრუ-ლებდეს წესისა მისებრ შჯულისა; და ესმა რად ზედამოსლვად იგი, აღიღეს ესე დანაკები, რადთა ჰბრძოდინ მოძღურისა თვისისათვს, სიყუარულისა მისთვს, რომელ აქუნდა მისა მიმართ. იგი იჳადა პეტრე და სცა მონასა მას, ხოლო უფალმან აბრაჲა ფრიად და არა შეუნდო ვნებად მისა, არა-მედ მყის განკურნა საკვრველად და გამოაჩინა ძალიცა თვისი და სახიერე-ბად.

ეგრეთვე პეტრე აჩუნა სიყუარულიცა თვისი და მორჩილებადცა, რა-მეთუ ჰბრძოდა მჴურვალედ უფლისათვს, ხოლო უბრძანა რად უფალმან მიქცევად მახვლი ადგილსავე თვისსა, ქმნა ბრძანებად მისი.

„რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღეს მახვლი, მახვლითა მოსწყდე-ნო“. ესე მათთვს თქუა, რომელნი მოვიდეს მას ზედა მახვლითა.

მიიქციეო, პეტრე, მახვლი ეგე შენი ადგილსავე თვისსა და ნუ შურები ან შურის-გებად, რამეთუ ამათ, რომელთა აღიღეს ჩემ ზედა მახვლი, ნუთ-და სულგრძელ ვექმნები; უკეთუ არა მოიქცენ და შეინანონ, სხვთა უწყა-ლოთა და სასტიკითა მახვლითა წარწყმდენ.

„ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე ან აქა უმრავლეს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზ-

<sup>1</sup> ლუკ. 22,37.

<sup>2</sup> იოან. 2,19.

<sup>3</sup> იოან. 2,22.

თა? და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი იგი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?“

ამით ორითავე სახითა ნუგეშინის-სცემს და გულისწყრომასა მათსა დააცხრობს: ერთად, რომელ აუწყებს, ვითარმედ: წინაღსწარმეტყუელთა ესე ქადაგეს პირველითგან, და ვითარმედ განგებულებად არს საკვრველი ვნებად იგი მისი; მეორედ, რომელ მოასწავებს, ვითარმედ: რომელთა აღიღეს მის ზედა მახვლი, მახვლითა წარწყმედად არიან.

ხოლო რადასათეს არა თქუა, ვითარმედ: ანუ ჰგონებთ, ვითარმედ: ვერ ძალ-მიც მოსრვად და წარწყმედად ამათ ყოველთა? არამედ თქუა, თუ: „ვედრებად მამისა ჩემისა“; რამეთუ უფრო შესაწყნარებელ იყო ესე სახე, ვინაჲთგან ჯერეთ ვერ მიწთომილ იყვნეს მისთვის სრულსა გულისწყმის-ყოფასა, და უწინარეს მცირედისა ჟამისა ეთქუა, ვითარმედ: „შენუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე“, და კუალად თქუა: „მამაო, თანაწარმწედინ სასუმელი ესე“, და შეურვებულად იხილვა, და ოფლნი გარდაეცნეს, და ანგელოზი განაძლიერებდა. ვინაჲთგან უკუე მრავალნი სახენი აჩუენნა მაშინ კაცობრივისა ბუნებისანი, ამისთვის არა თქუა ან, თუ: ძალ-მიც მეყსა შინა ამათ ყოველთა წარწყმედად, არამედ მამისა მიაგდო საქმე იგი, რაჲთა შეუორგულებულად ჰრწმენეს მათ.

„ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე ან აქა უმრავლეს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ?“

იტყვს წინაღსწარმეტყუელი ესაია, ვითარმედ: „ერთი ანგელოზი გამოვიდა და მოსწყდა ას ოთხმეოცდახუთი ათასი აღჭურვილთაჲ“. <sup>1</sup> უკუეთუ ერთმან ანგელოზმან ას ოთხმეოცდახუთი ათასი მოსწყდა, რად უჭმდეს ან ათასისა კაცისათეს ათორმეტი გუნდი ანგელოზთაჲ?

რამეთუ გუნდად აღირაცხვის ათი ბევრი, ჯერ-იყო უკუე ათორმეტსა გუნდსა შინა ყოფად ას ოცი ბევრი. რად უჭმდეს ესოდენნი ათასსა კაცსა ზედა? არამედ ესე ყოველი მათისა უძღურებისათეს ესრეთ გამოსახა სიტყუად თვისი, რამეთუ ფრიადითა შიშითა შეპყრობილ იყვნეს მაშინ მონაფენი. ამისთვის წამებასა წერილთასა მოიღებს და უჩუენებს, ვითარმედ ნეფსით მივალს ვნებად, და ყოვლით კერძო ნუგეშინის-სცემს და განაძლიერებს მათ და აყენებს ბრძოლად ერისა მის. ესე ყოველი ჰრქუა მონაფეთა, ხოლო ერსა მას ეტყოდა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახვლითა და წათებიტა შეპყრობად ჩემდა; დღითი-დღედ თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ მე**“ (26,55).

<sup>1</sup> ესაია 37,36; 4 მეფ. 19,35.

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ, რავდენი საქმე უჩუენა შემძლებელი მოდრეკად გულთა მათთა: ჰკითხა რაჲ: „ვის ეძიებთ“,<sup>1</sup> დაცკვეს ქუეყანასა, და კუალად აღადგინნა; ყური მონისაჲ მის განკურნა; თქუა, ვითარმედ მახვლითა წარწყმედად არიან. ყოვლით კერძო უჩუენა, ვითარმედ არა მათისა ძალისაგან იქმნა შეპყრობაჲ მისი, არამედ მისითა მიშუებითა.

და ან ეტყვის: „დლითი-დღედ თქუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჯედ და გასწავებდ, და არა შემიპყართ“; რაჲთა მოიწსენონ, ვითარმედ: რავდენ-გზისცა ჴელ-ყვეს, ვერ უძლეს, და ვერცამცა ან უძლეს, უკუეთუმცა არა თავადსა ჯერ-უჩნდა. არამედ არა ინებეს მათ ამის ყოვლისაგან შეგონებად. ხოლო გუასწავებს, თუ რომლისათჳს ესრეთ იქმნა:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ესე ყოველი იყო, რაჲთა აღესრულნენ წიგნნი წინადასწარმეტყუელთანი“ (26,56).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამისთჳს თავს-იდვა ყოველივე უფალმან, ამისთჳს მისცა თავი თჳსი, რაჲთა აცხოვნოს სოფელიო, ვითარცა მოასწავეს პირველითგან წინადასწარმეტყუელთა. ხოლო უკუეთუმცა არა ენება მას, ვერ ჴელ-ენიფე-ბოდა მათ შეპყრობად მისა.

ხოლო რაჲსათჳს ტაძარსა შინა არა შეიპყრეს იგი? რამეთუ ერისაგან ეშინოდა. ამისთჳს განვიდა უფალი ადგილსა მას, რაჲთა ადგილიცა და ჟამიცა შეენეოდის შემპყრობელთა მათ მისთა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს და ივლტოდეს. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კაიაფაჲსა მღდელთმოდურისა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთმოდურისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა“ (26,56-58).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ოდეს ზედამოუჭდეს შემპყრობელნი იგი, არა ივლტოდეს მოწაფენი, არამედ განემზადებოდეს წინააღდგომად, ხოლო ესმა რაჲ სიტყუაჲ უფლისაჲ და ცნეს, ვითარმედ ნეფსით მისცემს თავსა თჳსსა, მერმე ივლტოდეს; და ერმან მან უშჯულომან შეიპყრეს უფალი ჩემი და შეკრეს და წარიყვანეს მღდელთმოდურისა.

ხოლო პეტრე მისდევდა მას, რამეთუ დიდ იყო მჭურვალეზაჲ მისი და არა ივლტოდა, ვითარ სხუანი იგი, არამედ მისდევდა უფალსა. იოვანეცა ეგრეთვე ყო, გარნა იგი მეცნიერ იყო მღდელთმოდურისა, სადა-იგი შეკრებულ იყვნეს ყოველნი იგი წინამძღუარნი უღმრთოებისანი; მუნ იღვძებდეს და მოელოდეს ბოროტისა მის ზრახვისა სრულ-ყოფად, რამეთუ არცა თუ პასუქი ჭამეს მაშინ, ვითარცა იტყვის იოვანე, ვითარმედ: „მოიყვანეს იესუ კაიაფაჲსით ტაძრად. და იყო განთიად. და იგინი არა

<sup>1</sup> იოან. 18,4.

შევიდეს ტაძრად, რადთა არა შეიგინნენ, არამედ რადთა შეჭამონ პასექი იგი“.<sup>1</sup> რად არს ესე?

გუასნავა მახარებელმან, ვითარმედ სხუასა დღესა ჭამეს და შჯული დაჰჴსნეს ნადიერებისა მისგან, რომელ აქუნდა მოკლვად იესუმსა. ხოლო ქრისტე არა გარდაჰჴდა შჯულსა, არამედ ჟამსა მას განწესებულსა აღასრულა პასექი; არამედ იგინი გარდაჰჴდეს, რომელნი ბევრეულგზის გარდაჰჴდებოდეს შჯულსა. ვინათგან ბორგდეს გულისწყრომიტა და მრავალგზის ჴელ-ყვეს შეპყრობად უფლისა და ვერ უძლეს, მაშინ მოულოდებელად ჴელად-იგდეს და აღირჩიეს პასექისა მის დატეობად, რადთამცა გულისთქუმად ოდენ მკლველობისა თვისისად აღასრულეს. ამისთჴცა ყოველნი ერთად შეკრბეს და ეძიებენ მიზეზსა, რადთამცა ჰოეს მის ზედა, ვითარცა ესერა იტყვს მახარებელი:

სახარებად: „ხოლო მღდელთმოდღუარნი იგი ეძიებდეს ცრუმონამეთა იესუმსთჴს, რადთამცა მოკლეს იგი, და არა ჰპოებდეს, რამეთუ მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმონამენი. უკუანადასკენელ მოვინმე-ვიდეს ორნი და თქუეს, ვითარმედ: ამან ეგრე თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე ღმრთისად და მესამესა დღესა აღშენებად. მაშინ აღდგა მღდელთმოდღუარი იგი და ჰრქუა მას: არცაღა სიტყუასა რას მიუგება, რასა-ესე შეგნამებენ შენ? ხოლო იესუ დუმნა. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რადთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტჴ, ძე ღმრთისა ცხოველისად? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერიტგან იხილოთ ძე კაცისად მჯდომარე მარჯუენით ძლიერებათა და მომაგალი ღრუბელთა თანა ცისათა. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი თჴსი და თქუა: რადსა გჴჴმან მონამენი? აჴა ესერა გესმა გმობად მაგისი. რად გნებავს თქუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანამდებ არს სიკუდილისა“ (26,59-66).

თარგმანი: ჴ გარდარეული იგი და გარდამატებული უკეთურებად მათი! და რად მიზეზი იყო სიკუდილისა სიტყუად იგი, თუ: „დაჰჴსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვაშენო“?<sup>2</sup> რამეთუ თავადმან ესრეთ თქუა; ხოლო ცრუმონამეთა მათ თქუეს, ვითარმედ: „ამან ესრეთ თქუა: ძალ-მიც დარღუევად ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღშენებად“. გარნა ეგრეთცა რად იყო ამის სიტყვსათჴს ესოდენი საბრალობელი?

ამისთჴს, იხილეს რად ბილნთა მათ, ვითარმედ ვერარას ჰპოებენ, უკეთურებით ჰკითხვენ, რადთამცა მისისა სიტყვსაგან ჰოეს რადმე მიზეზი. ხოლო იესუ დუმნა, რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა ჴემმარიტებისა ცნობად ჰკითხვიდეს, არამედ მანქანებითა ზაკუვისადთა. მაშინ მღდელთმოდღუარ-

<sup>1</sup> იოან. 18,28.

<sup>2</sup> იოან. 2,19.

მან მან ჰრქუა: „გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რადთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა?“

იცოდა ბოროტმან მან და უღირსმან მღდელთმოდღუარმან, ვითარმედ იგი არს ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა. ამისთვის აფუცა, რადთა თვსითა პირითა თქუას, რამეთუ უნყოდა, ვითარმედ უტყუარ არს სიტყუად მისი; რადთამცა მისისა მის სიტყუსაგან დასაჯა იგი. ვინაფთგან უკუე მან ესევი-თართა ზაკუვითა ჰკითხა, უტყუელმან მან პირმან ჭეშმარიტი მიუგო, ვითარმედ: „შენ სთქუ. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერიფთგან იხილოთ ძე კაცისა მჯდომარე მარჯუენით ძლიერებისა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა. მაშინ მღდელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი თვისი და თქუა: რადსალა გვწმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმობად მაგისი. რად გნებავს თქუენ? ხოლო მათ თქუეს: თანამდებ არს სიკუდილისა“.

რადსათვს ესრეთ მიუგო ქრისტემან? რადთა ყოვლით კერძო მიზეზი მიუღოს მათ, და არცა ერთილა აქუნდეს მათ სიტყუს-გებად. რამეთუ ვიდრე აღსასრულადმდე არა დააკლო უწყებად მათა, ვითარმედ იგი არს ქრისტე, და ვითარმედ იგი არს მარჯუენით მამისა მჯდომარე, და იგი არს, რომელი მოსლვად არს განკითხვად სოფლისა, რომელ-ესე გამოაჩინებს ფრიადსა მას ერთობასა მისსა მამისა თანა.

ხოლო უღმრთომან მან მღდელთმოდღუარმან ნეფსით დაინუხნა თუალნი არახილვად ნათელსა და დაიყვნა ყურნი, ვითარცა ასპიტმან ყრუმან,<sup>1</sup> ვითარცა-იგი სტეფანეს ზე ყვეს, რამეთუ დაიყვნეს ყურნი.<sup>2</sup>

ეგრეთვე ან დაიპო სამოსელი თვისი, რადთა სხუანი იგი შეაშინნეს და დიდად გამოაჩინოს ცთომად იგი: „აჰა ესერა გესმა გმობად მაგისიო“. თქულა, უშჯულოო და მზაკუარო, არა პირველ ამისა, შეკრებულ რად იყვენით ყოველნი, აღგისნა სიტყუად დავითისი, ვითარმედ: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა“,<sup>3</sup> და განგიმარტა სიტყუად იგი, და ვერარად იკადრეთ თქუმად, არამედ სდუმენით. ვითარ უკუე ან სიტყუასა მისსა გმობად უწოდე, მ გმობარო და მტერო ჭეშმარიტებისაო, ჭურჭელი ეშმაკისაო?

იცოდეს უკუე ყოველთა მათ თანამეინაწეთა, კრებულმან მან სიცრუისამან, ვითარმედ უკუეთუ ჭეშმარიტსა გამოძიებასა მოვიდეს საქმე იგი, განმართლდების მართალი იგი, და უბრალოდ გამოჩნდების ჭეშმარიტად უბრალოდ იგი; ამისთვის შეისწრაფეს და განჩინებად მისცეს, „თანამდებ არსო სიკუდილისა“. იგინი იყვნეს შემასმენელ და იგინივე მსაჯულ, რადთა მიიყვანონ რად პილატესა, თქუან, ვითარმედ: გამოვიძიეთ და განვიკითხეთ, და იპოა იგი თანამდებ სიკუდილისა. ვითარ არა მოიღეს შორის დაწსნად შაფათისა? ამისთვის, რამეთუ მრავალგზის ამის ჯერისათვის დაეყო პირი მათი; და ენება ან ამის პირისათვის ყოფად განჩინებად, თუ ძედ ღმრთისა

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 57,5.

<sup>2</sup> საქმე 7,57.

<sup>3</sup> ფსალმ. 109,1.

იტყვს თავსა თვსსა. ამისთვის სამოსელიცა დაიპო, ვითარმცა დიდი რაღმე გმობაჲ ასმოიდა. ეჰა ფრიადი იგი უღმრთოებაჲ მის ეშმაკეულისაჲ!

არამედ ისმინეთ შემდგომიცა. ისმინეთ, ძმანო, და შეძრწუნდით! ისმინეთ და აღიდებდით სახიერსა მას და ტკბილსა მეუფესა, რომელმან ჩუენთვის ესე ყოველი თავს-იდვა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ ჰნერწყვდეს პირსა მისსა და ჴურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს და ეტყოდეს: გვწინაღსწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?“ (26,67-68).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰ საშინელი იგი ხილვაჲ! ჰ შესაძრწუნებელი საქმე! პირსა მას, რომელი „ზღუამან იხილა და შეძრწუნდა“,<sup>1</sup> რომელი მზემან იხილა ჯუარსა ზედა და ბრწყინვალეებაჲ თვისი დაფარა, ჰნერწყვდეს და სცემდეს მონანი შეურაცხნი და უნდონი. ვის ესმას ესე და არა შეძრწუნდეს? ვინ არა განცკბრდეს და განკვრდეს? კურთხეულ არს და დიდებულ სახელი შენი, მეუფეო კაცთმოყუარეო, რომელმან ჩუენისა ცხორებისათვის ესე ყოველი თავს-იდევ. „ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა შენთა, უფალო, სასმენელ-ყვენეს ყოველნი ქებულებანი შენნი?“<sup>2</sup>

ხოლო იხილე უშუულოთა მათ სიბოროტე! ვინაფთგან თანამდებად სიკუდილისა დასაჯეს, რადასათვსლა ესრეთ სტანჯვიდეს? რამეთუ ვითარცა-რაჲ ნადირი მწეცმან პოის, ესრეთ აჩუენებდეს ყოველსავე გულისწყრომასა თვსსა და იშუებდეს შურის-გებითა მით მისითა.

ხოლო შენ იხილე, ძმაო, მახარებელთა იგი ჭეშმარიტებაჲ, ვითარ ყოველსავე, რომელიცა საყუედრელად ჩანს, იტყვან გამოწულილვით და არარას დაჰფარვენ, არცა სირცხვლ-უჩნს, არამედ უფროდასად სიქადულად და დიდებად აქუს. და ჭეშმარიტად ეგრეთცა არს, რომელ მეუფე და დამბადებელი ყოველთაჲ ჩუენთვის ამას ყოველსა თავს-იდებდა, რამეთუ ამის საქმისაგან მისიცა აურაცხელი სახიერებაჲ გამოჩნდებოდა და ჰურიათა იგი შეუნდობელი უკეთურებაჲ, რომელ ესევეთარი იკადრეს ქმნად ტკბილისა მის და მონყალისა მეუფისა მიმართ. რამეთუ არცა თავადმან დაუტევა უმეტესისა სახიერებისა და სიმშკდისა საზომი, რომელ არა აჩუენა მათ, არცა მათ დაუტევეს უმეტესისა უმაღლოებისა და უშუულოებისა ადგილი, რომელიცა არა ექმნა.

და ამას ყოველსა წინაფთვე ესაია მოასწავებდა და იტყოდა შეურაცხებასა მას, რომელი შეემთხუეოდა უფალსა ჰურიათაგან მედგართა და მზაკუვართა: „ზურგი ჩემი მივეც გუემად და ლანუნი ჩემნი ყურიმლის-ცემად და პირი ჩემი არა გარემივიქციე სირცხვლისაგან ნერწყვა“.<sup>3</sup>

და კუალად იტყვს: „ვიხილეთ იგი, და არა აქუნდა ხილვაჲ, არცა სიკეთე, არამედ ხილვაჲ იგი მისი უპატიო და დაკლებულ უფროს ძეთა კაც-

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 113,3.

<sup>2</sup> ფსალმ. 105,2.

<sup>3</sup> ესაია 50,6.



თავსა. იგინა და არა შეირაცხა. ამან უძღურებანი ჩუენნი იტვრთნა და სნეულებანი ჩუენნი თავს-ისხნა, ინყლა უშჯულოებათა ჩუენთათჳს და იგუემა ცოდვათა ჩუენთათჳს“<sup>1</sup> და შემდგომი ამისი.

რამეთუ ესე ყოველი უყვეს უფალსა ჩემსა ჰურიათა და სხუად უმრავლესი, სცემდეს და ეკიცხევდეს, ვითარმედ: „გვინადასწარმეტყუელე ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?“ ხოლო ვითარცა სხუად მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „დაჰბურეს თავსა და ჰგუემდეს მას და ჰკითხვიდეს: წინადასწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ?“<sup>2</sup>

ამას, საყუარელნო, ზედადსა ზედა ვიკითხვიდეთ, ამას უწყინოდ ვისმენდეთ, ესე ყოველი დავწეროთ გონებათა შინა ჩუენთა, რამეთუ ესე არს დიდება ჩუენდა და სიქადულ; ამას ზედა ვიქადი მე, არა თუ ოდეს ვაჴსენო, ვითარ აურაცხელნი მკუდარნი აღადგინნა და სხუანი იგი სასწაულნი აღასრულნა, არამედ ოდეს მოვიჴსენნე ვნებანიცა, რომელ ჩუენთჳს დაითმინნა.

ამას ზედა იქადის ნეტარი პავლეცა, ოდეს აჴსენოს ჯუარ-ცუმად მისი და სიკუდილი და ყოველნივე იგი ვნებანი და შეურაცხებანი და ყუედრებანი, რომელნი ჩუენთჳს თავს-ისხნა უშჯულოთა ჰურიათაგან, რომელთა იგი ოდეს ესე ყოველი აღასრულეს და სიკუდილისა თანამდებად თქუეს, მერმე წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს. და ოდეს-იგი ჰკითხა მან, ვითარმედ: „რასა შესმენასა მოიღებთ კაცსა ამას ზედა? მიუგეს და ჰრქუეს მას: უკუეთუმცა არა იყო ესე ბოროტისა მოქმედ, არამცა მიგეცით შენ იგი“.<sup>3</sup> ჭემმარიტად იგინი იყვნეს ბოროტისა მოქმედნი, რომელნი გამობდეს უფლისათჳს ესრეთ ლირბად და წარმდებებით.

ამისთჳს იტყოდა წინადასწარმეტყუელი ესაია: „იცნა ჴარმან მომგებელი თჳსი, და ვირმან – ბაგად უფლისა თჳსისაჲ; ხოლო ისრაჴლმან მე არა მიცნა, და ერმან ჩემმან არა გულისჴმა-ყო ჩემი. ვად ნათესავსა ცოდვილსა, ერი, რომელი სავსე არს უშჯულოებითა, ნათესავნი ბოროტნი, ძენი უშჯულოებისანი! დაუტევეს უფალი და განარისხეს წმიდაჲ იგი ისრაჴლისაჲ“.<sup>4</sup>

„ვად სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვად ბოროტი თავისა თჳსისაჲ: შეგკრათ მართალი იგი, რამეთუ განმადნელებელ ჩუენდა არს. ან უკუე ნაყოფსა საქმეთა მათთასა ჭამდენ. ვად უშჯულოთა მათ, რამეთუ ბოროტი შეემთხვოს მათ“.<sup>5</sup> ამას ეწამების იერემია და იტყვს:

„ესრეთ იტყვს უფალი: რად პოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდებად? რამეთუ განდგეს იგინი ჩემგან შორად. რამეთუ ორი ბოროტი ქმნა ერმან ამან: მე დამიტევეს, წყაროდ წყლისაჲ ცხოელისაჲ, და ითხარეს თავისა მათისა ჯურღმული ჴურელოვანი“.<sup>6</sup> და მერმე იტყვს: „მრქუა მე უფალმან: იხილე, რად მიყვეს მე მკვდრთა იერუსალჴმისთა? ჩემ ზედა

<sup>1</sup> ესაია 53,2-5.

<sup>2</sup> ლუკ. 22,64.

<sup>3</sup> იოან. 18,29-30.

<sup>4</sup> ესაია 1,3-4.

<sup>5</sup> ესაია 3,9-11.

<sup>6</sup> იერ. 2,5,13.

იზრახეს ზრახვად ბოროტი და თქუეს: მოედით და შეურიოთ ძელი ჰურსა მისსა და მოვსპოთ იგი ქუეყანით ცხოველთადათ და სახელი მისი არღარა მოვიწსენოთ მერმე. მაშინ ვიხილენ ზაკულებანი მათნი. ხოლო მე, ვითარცა კრავმან უმანკომან, მიგურასა ჩემსა დაკლვად არა ვაგრძენ. ამისთვის ესრეთ იტყვს უფალი კაცთა მათ ზედა, მეძიებელთა სულისა ჩემისათა: აჰა ესერა მე ძიება-ვყო მათ ზედა: ჭაბუკნი მათნი მახვლითა მოისრნენ, და ძენი და ასულნი მათნი აღესრულნენ სიყმილითა, და არღარა იყოს მათა ნეშტ, არცა ლხინება“.<sup>1</sup>

და რასალა ვიტყოდი, რამეთუ დამაკლებს მე ჟამი მითხრობად თითოეულად ვმათა მათ სანინაფსნარმეტყუელოთა, ვითარ მოასწავებდეს, რაჲ-იგი შემთხუევად იყო უფლისადა, და ვითარ თითოეულმან აღწერნა შეჩუენებანი ქრისტეს მკლველთა მათ ჰურიათანი, ვითარცა ლალადებს ნეტარი დავით და იტყვს: „ყუედრებად დაითმინა სულმან ჩემმან და გლახაკეზაჲ; და ველოდე მე თანამჭუევარსა, და არავინ იყო; ნუგეშინისმცემელ ჩემდა, და მე არა ვპოე. მცეს მე საჭმლად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი. ექმენინ ტაბლად მათი მათ წინაშე საბრჯე, მისაგებელ და საცთურ. დაუბნელდენ თუალნი მათნი, რაჲთა არა ხედვიდენ, და ზურგი მათი მარადის შედრიკე. მიჰფინე მათ ზედა რისხვად შენი, და გულისწყრომაჲ რისხვისა შენისაჲ ენიენ მათ. იყავნ სამკვდრებელი მათი ოჯერ, და საყოფელსა მათსა ნუ იყოფინ მკვდრი; რამეთუ რომელსა შენ სცხე, მათ დევნეს იგი და საღმობასა წყლულთა ჩემთასა შესძინეს. შესძინე უშჯულოებაჲ უშჯულოებასა მათსა ზედა, და ნუ შევლენედ იგინი სიმართლესა შენსა. აღიწოცნენ იგინი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა და მართალთა თანა ნუ დაინერებიან“.<sup>2</sup>

ესე არს ნაწილი თქუენი, – არქუთ ჰურიათა, – ესე არს სამკვდრებელი თქუენი, მტერნო ქრისტესნო, ძენო უშჯულოთანო და ნათესაენო მემრუშეთანო.

არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. ოდეს ესრეთ თანამდებად სიკუდილისა თქუეს უფალი, ვითარ არა მოკლეს იგი თვსაგან მასვე ღამესა? ესე ამისთვის, რამეთუ ისწრაფდეს, რაჲთა ცხადად დაისაჯოს სიკუდილად, რაჲთა ყოველთა მიერ შეურაცხ იქმნას. რამეთუ ერსა მრავალსა აქუნდა მისა სარწმუნოებაჲ და სიყუარული, ამისთვის ცხადად ენება დასჯაჲ მისი, რაჲთა იგი ყოველნი დაბრკოლდენ. ხოლო ქრისტემან მათი იგი უკეთურებაჲ უფროხლდა ჭეშმარიტებისა გამოსაჩინებელად იწმარა, რაჲთა საცნაურ იქმნას ყოველთა მიერ და ბრწყინვალე სიკუდილი მისი, რომლითა ყოველნი ვცხონდით. და ვითარცა იტყოდეს: მოვკლათ იგი, რაჲთა არა მოვიდენ ჰრომნი და წარიღონ ქუეყანაჲ და ქალაქი ჩუენი,<sup>3</sup> და ვინაფთგან მოკლეს, აღესრულა მოსლვად იგი ჰრომთაჲ; ეგრეთვე აქა, ამისთვის ენე-

<sup>1</sup> შდრ. იერ. 3,6; 11,18,19,21-23.

<sup>2</sup> ფსალმ. 68,21-29.

<sup>3</sup> შდრ. იოან. 11,48.

ბა განცხადებულად ჯუარ-ცუმად მისი, რადთა სახელსა დიდებისა მისისასა ავნონ, ხოლო იქმნა წინააღმდეგომი ნებისა მათისად.

ამისთვის, ოდეს ჰრქუა მათ პილატე: „მიიყვანეთ ეგე თქუენ და შჯულისა-საებრ თქუენისა განიკითხეთ“,<sup>1</sup> და კუალად ჰრქუა: „მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცვთ“,<sup>2</sup> არა ინებეს, რამეთუ ესე იყო ხარკებად მათი, რადთამცა ვითარცა მძლავრი და ძკრისმოქმედი მოიკლა. და ამისთვის ავაზაკინცა ჯუარს-აცუნეს მის თანა, რადთამცა ესრეთ შეჰრაცხა იგი ერმან, ვითარცა ერთი მათგანი. ამისთვის ეტყოდეს პილატეს: „ნუ დასწერ: მეუფეჲ ჰურიათად, არამედ – მან თქუა: მეუფე ვარ ჰურიათად“. <sup>3</sup> ეჰა რაოდენ მრავალ იყო და აურაცხელ მათი იგი უკეთურებად და სიცბილი, გარნა ყოველივე იგი უფროდსად თანაშემწედ ჭემმარიტებისა იქმნა, რადთა სრულიად დაიყვნენ ურცხვონი იგი პირნი მათნი, და ყოველივე სიტყუად მიეღოს.

და კუალად საფლავსა ზედა ბეჭედნი იგი და მცველნი უფროდსად განმარტყინებელ ჭემმარიტებისა იქმნეს, და კიცხევანი იგი და ყუედრებანი და ძკრის-ზრახვანი უმეტესად ქადაგ სახიერებისა და სულგრძელებისა მისისა იქმნეს და არა თუ სავენებელ. და რომელთა ეგონა, თუ მძლედ გამოჩნდეს, იგინი სირცხვლეულ იქმნეს და წარწყმედეს; ხოლო რომელი ძლეულად და დასჯილად შერაცხილ იყო მათ მიერ, მძლედ სიკუდილისა გამოჩნდა, და დიდებითა მისითა და მადლითა სავეს არს ცაჲ და ქუეყანად.

## **სწავლად კდ ძკრუჯსენებლობისათვის**

ან უკუე ჩუენცა, ძმანო, ნუ მარადის ძლევისა ვეძიებთ, რამეთუ მრავალგზის ძლევაჲ ვნებისა მომატყუებელ იქმნების, და ძლეულებაჲ – სარგებელისა. რამეთუ იხილენით კაცნი, ურთიერთას მოლაღენი. რომელმან ფრიად აგინის და შეურაცხ-ყვის მოყუასი, ანუ თუ სცისცა, ჰგონებ, თუ უძლევიეს, გარნა იგი იძლია უფროდსად და წარიტყუენა ვნებისაგან რისხვისა და ფრიად ევნო; ხოლო რომელმან თავს-იდვა შეურაცხებაჲ, მან სძლო და მწნედ გამოჩნდა, და არა თვისი ოდენ, არამედ მოყუსისაცა ვნებაჲ იოტა; არა თვთ ხოლო დაიცვა შეუნუველად, არამედ მოყუსისაცა საჭუმილი დაშრიტა და ძლევაჲ მოილო გულისწყრომისა მიმართ.

ამისთვის ვიტყვ: ნუ ვეძიებთ მარადის ძლევისა. რამეთუ ანგაჰრმანცა მიიხუეჭის გლახაკისად და ჰგონებნ, თუ მძლე ექმნა, არამედ ბოროტ არს ძლევაჲ იგი და წარმწყმედელ მძლისა მის; ხოლო რომელი-იგი დაიტყუენა და ძლეულად შეირაცხა, უკუეთუ მადლობით შეინწყნაროს, მიილო გვრგვინი ძლევისად.

<sup>1</sup> იოან. 18,31.

<sup>2</sup> იოან. 19,6.

<sup>3</sup> იოან. 19,21.

მრავალგზის უკუე იქმნების ესე, რომელ ძლეული მიიღებს ძლევისა გვრგვინსა, და მძლე იგი წარწყმდების.

მიხედენით მოწამეთა, ვითართა სახითა იქმნა ძლევითშემოსილება მათი: ოდეს შეიკრნეს და იგუემნეს და დაიჭრნეს და მოიკლნეს, მაშინ მძლე ექმნეს. და ვითარცა ბრძოლათა შინა სოფლიოთა, ოდეს მოიკლას მწედა-რი, იძლია, ეგრეთვე ჩუენსა ამას წესსა, ოდეს ვიგუემნეთ და მოვიკლნეთ, მაშინ მძლედ გამოვჩნდებით, და იქმნების ძლევა იგი საღმრთო, რამეთუ წინააღმდგომ არს წესთა მათ სოფლისათა. ესევეთარი ძლევა იგი იღეს ყოველთა წმიდათა.

ესე ძლევა მოიგე, კაცო! არა გიჭმს ბრძოლად, არამედ მოთმინება ოდენ, და გიძლევიეს. ამით ჯერითა ნეტარი იოსებცა განბრწყინდა, რამეთუ მოთმინებითა თვისითა მოიღო ძლევა. ძკრი აჩუენეს ძმათა მისთა, ძკრი აჩუენა დედაკაცმან მან მეგვპტელმან, არამედ ყოველთა იგი მძლე ექმნა.

ბილნი იგი ვერცა თუ ვნებასა თვისსა მძლე ექმნა, ხოლო იოსებ დედაკაცსა მასცა წინააღმდეგა და ბრძოლასაცა ჯორცთასა მძლე ექმნა. მერმე დაისაჯა უბრალო იგი და დუმილით თავს-იდვა დასჯად იგი, ვითარცა ქრისტემან, რამეთუ იგი ყოველივე ამისა სახე იყო.

შეიყენა იოსებ დილეგსა, და მეძავი იგი იყო ფლობილად, არამედ ძლევა მას მიელო, რომელმან აღასრულა თვისი ნება, და არა დედაკაცმან. რამეთუ იოსების ნება იყო დამარხვად სინმინდისა და აღასრულა, რად იგი სწადოდა; ხოლო ბორგნეული იგი ისწრაფდა შთაგდებად მისა ბრალსა მრუშებისასა და ვერ უძლო, არამედ იძლია და სირცხვლეულ იქმნა.

ამისთვის, საყუარელნო, ჩუენცა ესე ძლევა მოვიგოთ, რომელ იქმნების მოთმინებითა ძკრის-ხილვისადათა; ხოლო მის ძლევისაგან ვივლტოდით, რომელ იქმნების ძკრის-ყოფითა მოყუსისადათა. ესრეთ თუ ვიქმოდით, საწუთროდცა ესე ცხორება მშუდობით და მყუდროებით წარვლოთ და კეთილთა მათ საუკუნეთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე და თაყუანის-ცემად თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 3ე

სიტყუად ესე: „ხოლო პეტრე ჯდა ეზოსა შინა. და მოუჭდა მას ერთი მჭევვალი და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუს თანა, ნაზარეველისა. ხოლო მან უარ-ყო წინაშე ყოველთა და თქუა: არა ვიცი, რასა იტყვ. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესე იყო იესუს თანა, გალილეველისა. და მერმეცა უვარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუჭდეს მუნ მდგომარენი იგი და ჰრქუეს პეტრეს: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, რამეთუ სიტყუადცა შენი გამოგაჩინებს შენ. მაშინ იწყო პეტრე შერუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი. და მეყსეულად ქათამმა იყივლა. და მოეცსენა პეტრეს სიტყუად იგი იესუსი, რომელ ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრელა არა ეყივლოს ქათამსა, სამგზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე პეტრე და ტიროდა მწარედ“ (26,69-75).

ჴ საკვრველი საქმე! ოდეს ერი იგი მივიდა მახვლითა და ნათებითა შეპყრობად ქრისტესა, ესოდენ დულდა პეტრე მჭურვალეებითა, რომელ მახვლი იწადა და სცა მონასა მლდელთმოძღურისასა; და ან, ოდეს ესოდენნი ძკრის-ზრახვანი ჰურიათანი ესმოდეს და უჭმდა უმეტეს განრისხებად მათა მიმართ, უვარ-ყო უფალი და მოძღუარი თჳსი და ესოდენ შეშინდა, რომელ ერთისა უნდოდა ქალისა სიტყუად ვერ თავს-იდვა, და არა ერთგზის ოდენ, არამედ ორგზის და სამგზისცა ერთსა შინა ჟამსა; და არცა თუ მთავართა და მძღაერთა წინაშე, არამედ გარე ეზოსა, სიტყუთა მონათა და მჭევვალთადათა. და ვერცა თუ აგრძნა ადრე დაცემად თჳსი, რამეთუ იტყვს ლუკა, ვითარმედ: „მოიქცა უფალი და მიხედნა პეტრეს. და მაშინლა მოეცსენა პეტრეს სიტყუად იგი უფლისაჲ“.<sup>1</sup> ხოლო თავით თჳსით მოცა-ვერ-იგონა, არამედ მიხედვად უფლისაჲ ექმნა მას მამხილებელ და მომწესენებელ, ესოდენი შიში დაცემულ იყო მის ზედა.

ხოლო მარკოზ იტყვს, ვითარმედ: პირველსა მას უარის-ყოფასა მისსა ქათამმან ჳმა-ყო პირველი ჳმობაჲ; და მესამესა უარის-ყოფასა მეორედ ჳმა-ყო.<sup>2</sup> ესრეთ გამონულისილვით იტყვს ჭეშმარიტებასა მას ქრისტეს სიტყუათასა და უძღურებასა მას და შიშსა პეტრესსა. რამეთუ მარკოზ მონაფე იყო პეტრესი და მისგან ესწავა საქმისა მის თხრობაჲ. და არა დაფარა ცთომად იგი მოძღურისა თჳსისაჲ, არამედ უფროდსად სხუათა მახარებელთასა გამოაჩინა.

ხოლო ვითარ იტყვს მათე, ვითარმედ: „ჰრქუა უფალმან პეტრეს: ამენ გეტყვ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჳმობამდე, სამ-

<sup>1</sup> ლუკ. 22,61.    <sup>2</sup> მარკ. 14,68-72.

გზის უფარ-მყო მე“;<sup>1</sup> ხოლო მარკოზ ეგრე გუასნავებს: ოდეს-იგი მესამედ უარ-ყო პეტრე, ვითარმედ: „არა ვიცი კაცი იგი, მეყსეულად მეორედ ქათამმან ჳმა-ყო“.<sup>2</sup> არამედ ერთ არს ორთავე ამათ მახარებელთა სიტყუად.

რამეთუ ჩუეულებად აქუს ქათამთა თითოეულსა ჯერსა სამგზის და ოთხგზისცა ჳმობად. ამას უკუე მოასნავებს მარკოზ, ვითარმედ არცა თუ ჳმობამან ქათმისამან მოაჳსენა მას სიტყუად იგი უფლისად. ორთავე უკუე მახარებელთა სიტყუად ჳემმარიტ არს.

რამეთუ ვიდრე ერთილა ჯერი არა აღესრულა ქათამსა, სამგზის უფარ-ყო. ხოლო ერთსა ამას ჯერსა, ვითარცა ვთქუ, სამგზის და ოთხგზისცა ჳმობს. და მიხედნა რად უფალმან და მოაჳსენა სიტყუად თჳსი, და ცნა პეტრე, რად-იგი შეემთხვა, ვერვე იკადრა ტირილი შიშისათჳს ჳურიათასა, არამედ „განვიდა გარე და ტიროდა მნარედ“, და შეინანა ცოდვად თჳსი სახიერებითა და კაცთმოყუარებითა უფლისადათა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს მღდელთმოძღუართა და მოხუცებულთა იესუფსთჳს, რადთა მოკლან იგი. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პილატეს მთავარსა“ (27,1-2).

თ ა რ გ მ ა ნ ი: განიზრახეს და განაჩინეს და დაამტკიცეს, რადთა მოკლან მეუფე და მაცხოვარი ყოველთად. ვად სულსა მათსა! ხოლო არა უნდა მათ მოკლვად მისი ზემოთქუმულისა მის მიზეზისათჳს, და რამეთუ დღესასწაული დიდი იყო; ამისთჳს მიიყვანეს და მისცეს იგი მთავარსა. ხოლო შენ გულისჳმა-ყავ, ქრისტესმოყუარეო, ვითარ მოინია საქმე იგი ჟამსა მას დღესასწაულისასა, რამეთუ ესე პირველითგანვე განწესებულ და განგებულ იყო, რადთა ოდეს სახე იგი და აჩრდილი იქმნებოდა, მაშინ აღესრულოს ჳემმარიტებაცა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმან მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღდელთმოძღუართა მიმართ და ხუცესთა და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჳრქუეს: ჩუენდა რად? შენ უწყი! და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და ნარვიდა მიერ და შიშთვილ-იბა“ (27,3-5).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე საქმე იუდასცა შემასმენელ არს და ჳურიათაცა. იუდასა ამისთჳს, რამეთუ უჟამოდ შეინანა და უწესოდ; ხოლო ჳურიათა ამისთჳს, რომელ ჳელ-ენიფებოდა შენანებად და განტევებად იესუფსა და არა ინებეს. და იხილეთლა, თუ ოდეს შეინანა იუდა: ოდეს ცოდვად იგი აღასრულა.

<sup>1</sup> მათ. 26,34.

<sup>2</sup> მარკ. 14,71-72.

რამეთუ ესრეთ არს საქმე ეშმაკისაჲ: არა მიუშუებს წარტყუენულთა მის მიერ აღხილვად თუალთა, ოდეს ცოდვასა იქმოდინ, ხოლო აღასრულონ რაჲ ბოროტი, მერმე ემხილების.

და მას უბადრუკსა რავედენი ასწავა ქრისტემან, და არა მოდრკა გული მისი ფიცხელი.

ხოლო აღესრულა რაჲ ბოროტი იგი განზრახვად მისი, მაშინდა შეუჴდა სინანული, და იგიცა არა იჴმარა ჯეროვნად; რამეთუ რომელ-იგი აბრაჲა თავსა თვსსა და ვეცხლი იგი დააბნია და არა დაერიდა კრებულსა მას ჰურიათასა, ესე ყოველი კეთილად ქმნა, ხოლო რომელ შიშთვილია და თავი მოიკლა, ესე შეუნდობელი ყო და საქმე ბოროტისა ეშმაკისაჲ, რამეთუ შეისწრაფა წარტაცებად მისა, რაჲთა ვერ შეინანოს ცოდვად იგი, და სიკუდილითა ბოროტითა და საძაგელითა წარწყმინდა შვილი იგი წარწყმენდისაჲ.

ან იხილეთ, ვითარ ჭეშმარიტებაჲ ყოველით კერძო ბრწყინავს, და წინა-აღმდგომნი მისნი დაისჯებიან. რამეთუ ესე მეზრ იუდაჲს შიშთვილი სრულიად პირსა დაუყოფს ჰურიათა; რამეთუ რაჲღა სიტყუად აქუს, ვინათგან ესმის, ვითარ მიმცემელი იგი შეინამებს უშჯულოებასა თვსსა, რამეთუ ვერღარა თავს-იდებდა მხილებასა მას გონებისასა. ეგრეთვე ჰურიათაცა შეხუდებოდა, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ უშჯულოსა საქმესა იქმან. ამისთვის, ოდეს თქუა იუდა: „ვცოდეო, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი“, სხუად ვერარაჲ მიუგეს, გარნა ესე: „ჩუენდა რაჲ არსო? შენ უწყი!“ შენ ზედა იყავნ ბრალი. ესე თქუეს და იცოდეს საქმისა მის სიბოროტე, არამედ არა აღიხილნეს თუალნი, არცა გულისჴმა-ყვეს, ვიდრემდის აღასრულეს მათცა ცოდვად თვსი; რამეთუ იუდაჲსი აღსრულებულ იყო – მიცემად იგი, ხოლო მათი ჯერეთ არა აღსრულებულ იყო – ქრისტეს მკლველობად. არამედ აღასრულეს რაჲ და დამოჴკიდეს იგი ჯუარსა, მაშინ იგინიცა ინერტებოდეს გონებისაგან და შეშფოთებულ იყვნეს; ამისთვის ოდესმე ეტყოდეს პილატეს: „ნუ დასწერ: მეუფჴ ჰურიათაჲ“.<sup>1</sup>

ჰრქუამცა ვინ მაშინ: და რასა გემინის, უბადრუკნო, მკუდრისაგან, ძელსა დამოკიდულისა?

კუალად ამბოხებდეს, დაცვად საფლავისა განემზადებოდეს, „ნუუკუე მოვიდენო მონაფენი და წარიჴრონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით“.<sup>2</sup> და სადა ქმნილ არს ესემლევანი საქმე, ჴ ცოფნო და უგუნურნო? ოდეს ვინ მოიჴარა მკუდარი და თქუა, ვითარმედ აღდგა?

ვიდრე ცხოელლა იყო, დაუტევეს იგი და ივლტოდეს, და თავმან მონაფეთა მისთამან სამგზის უარ-ყო, და ან ვინ არს მათგანი, რომელი გუამსამცა მკუდარსა წარიჴრვიდა და აღდგომასა სწამებდა? არამედ ამხილებდა მათ გონებაჲ და ამისთვის ამას ყოველსა ჴრახვიდეს, ვითარცა უცნობონი.

<sup>1</sup> იოან. 19,21.    <sup>2</sup> მათ. 27,64.

ისმინეთ, ვეცხლისმოყუარენო, რად-იგი შეემთხვა იუდას. ცოდვად იგი საშინელი ქმნა და ვეცხლი იგი დააბნია და სული თვისი წარწყმიდა, ესეცა სანუთროდ დასჭირდა და საუკუნოდ ცხორებადცა, და შიშთვილ-იბა, რადთა იყოს საქიქელ ყოვლისა სოფლისა.

ემხილა ჰურიათაცა, გარნა მთრვალ იყვნეს შურისაგან და არა განეყენნეს საეშმაკოსა მას საქმესა, არამედ მოპოვნებულითა რეცა უმეცრებითა ჰფარვენ თავთა თვსთა უგუნურებით.

უკუეთუმცა შემდგომად ჯუარ-ცუმისა თქუმულ იყვნეს სიტყუანი ესე, არცა მაშინ აქუნდა სიტყუად, გარნა ანინდლისასა უმოლხინემცა იყვნეს. ხოლო ან ჯერეთ მათ თანა იყო ქრისტე, და ჴელ-ენიფებოდა განტევებად მისა; ვითარ უკუე ეტყვან იუდას: „ჩუენდა რადო“, და მას ზედა დასდებენ ყოველსავე ბრალსა, და იგინი ისწრაფიან მოკლვად ქრისტესა?

რამეთუ ჰრქუა რად პილატე: „ვინ ორთაგანი მიგიტეო თქუენ: ისუ ბარაბასი ანუ იესუ, რომელსა ჰრქვან ქრისტე?“<sup>1</sup> უმჯულოთა მათ ბარაბა მოითხოვეს, კაცისმკლველი იგი და ავაზაკი, ხოლო ქრისტე დასაჯეს სიკუდილად, ქველისმოქმედი იგი და კეთილისმყოფელი მათი.

ხოლო იუდა, იხილა რად, ვითარმედ ჰურიათა ვეცხლი იგი არა მიითუალეს, დააბნია ტაძარსა შინა და წარვიდა მიერ და შიშთვილ-იბა.

**ს ა ხ რ ე ბ ა დ :** „ხოლო მღღელთმოდღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ-არს ესე დადებად სინმინდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისად არს. და ზრახვა-ყვეს და მოიღეს ვეცხლი იგი და მოიყიდეს მითა აგარაკი მეკეცისად საფლავად უცხოთა. ამისთვის ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისად ვიდრე აქა დღედმდე. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინადაწარმეტყუელისად, რომელსა იტყვს: და მოიღეს ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატიოსნისად მის, რომელი მოიყიდეს ძეთა ისრაჴლისათა, და მისცეს იგი აგარაკისათვის მეკეცისა, ვითარცა მიზრძანა მეფუალმან“<sup>2</sup> (27,6-10).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა, ვითარ ინერტებიან მხილებითა მით გონებისადთა? და შეინამებენ, ვითარმედ მკლველობად მოიყიდეს; და არა დადვეს ვეცხლი იგი ტაძარსა, არამედ იყიდეს აგარაკი აკალდამად, რადთა იყოს იგი სანამებელად უმჯულოებისა მათისა საუკუნოდ და სამხილებელად განცემისა მის. რამეთუ სახელი აგარაკისა მის ჴმამალლად ლაღადებდა მკლველობასა და მოსისხლეობასა მათისა. ხოლო ყოველსავე ზედა ზრახვასა იქმან, რადთა არავინ მათგანი იპოოს უბრალო, არამედ ყოველნივე თანამდებ სიკუდილსა ქრისტესსა.

და ამას ყოველსა პირველვე წინადაწარმეტყუელი მოასწავებდა. ჰხედავა, ვითარ არა მოციქულთა ოდენ, არამედ წინადაწარმეტყუელთაცა ყო-

<sup>1</sup> მათ. 27,17.

<sup>2</sup> შდრ. იერ. 32,9; ზაქ. 11,13.



ველივე საყუედრელად და შეურაცხად საგონებელი მოსწრაფებით აღწერეს და ყოვლით კერძო ვნებასა მისსა ქადაგებენ?

## სწავლად პე

### რადთა ვჰბაძვიდეთ სიმშკდესა და ძკრუჴსენებლობასა ქრისტესსა, რომელმან ყოველივე დუმილით თავს-იდვა

ხოლო ჩუენ, საყუარელნო, ვიჴსენებდეთ ვნებათა მათ, რომელნი ქრისტემან თავს-ისხნა ცხორებისა ჩუენისათჴს, და ვისწრაფოთ ბაძვად სიმშკდესა და ძკრუჴსენებლობასა მისსა.

რად შეგემთხზა, კაცო, ესევეითარი, ვითარ-იგი უფალსა ჩემსა შეემთხზა? გინა თუ იგინე მოყუსისაგან, გინა თუ იგუემე, გინა თუ იყუედრე, მისთა მათ ვნებათაგან დიდად ნაკლულევან ხარ.

რამეთუ გულისჴმა-ყავ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვიეთგან შეემთხზა, რად-იგი შეემთხზა. დამბადებელი ცისა და ქუეყანისა, რომლისა წინაშე ძრწოლით დგანან ზეცისა მჴედრობანი, ესე ჩუენთჴს კაც იქმნა და ქუეყანასა ზედა იქცეოდა, შეემშია და მოენყურა და დაშურა, მერმე მონაფემან განყიდა იგი, სხუათა მათ დაუტევეს და ივლტოდეს, უშჴულოთა მათ შეკრეს იგი და წარადგინეს კაიაფაჴსა.

მონამან მან ყურიმალსა სცა, სხუანი ჰწერწყუვიდეს პირსა მისსა და სცემდეს თავსა მისსა, მერმე კუალად შეკრეს იგი და მიიყვანეს პილატესა, ხოლო მან ტანჯა და მისცა ჯუარ-ცუმად. მჴედარნი იგი ეკიცხევდეს, ჰურიანი აყუედრებდეს, ავაზაკი გმოზდა; და რად-მე ვთქუა? რამეთუ მოუძლურდების ენა ვნებათა მისთა წარმოთქუმად.

და ყოველივე იგი უყვეს უმიზეზოდ და თვნიერ ყოვლისა ბრალისა; ხოლო სახიერმან მან ყოველივე დუმილით და სიმშკდით თავს-იდვა, არა სიტყუა-უგო, არცა აცილობდა, არამედ დუმილითა მძლე ექმნა, რადთა გუასნაოს ჩუენ, ვითარმედ დიდი წამალი არს ცხორებისა სულგრძელება, და ვითარმედ რავდენცა სიმშკდით თავს-ვიდვათ, უმეტესად მძლე ვექმნებით ბოროტისა მყოფელთა ჩუენთა.

გარნა ჩუენ, რომელნი დლითი-დღე აღმოვიკითხავთ და გუესმის ესე ყოველი, ფიცხელ ვართ და ცხარ და უთმინო და მრისხანე მოყუასთაცა მიმართ და უმრწემესთა, და არა თავთა ჩუენთა ვაბრალებთ, არამედ სხუათა, – მან ვინმე შემანუხაო და განმარისხა.

რად არს, კაცო, სიტყუად ესე შენი? მაშინ ჯერ-არს უფროჴსად სულგრძელებისა ჩუენებად, ოდეს ვინმე შეგანუხოს. ხოლო უკუეთუ არა ვინ მიზეზი გუცეს, მაშინ მჴეცნიცა მშკდ არიან, რამეთუ იგინიცა უკუეთუ არავინ აღაშფოთნეს, არა აღშფოთნებიან. ან უკუეთუ ჩუენცა მაშინ ოდენ მშკდ ვიყვნეთ და სულგრძელ, ოდეს არავინ განგუარისხოს, და

ოდეს მიზეზი ვინ გუცეს, მწეცთა უფიცხლეს ვიყვნეთ, რაათა უმჯობეს ვართ მათსა?

მათ ვერ აბრალობ, რამეთუ ბუნებით აქუს მწეცობად, ხოლო შენ, კაცო, რად გაქუს სიტყუად? უკუეთუ ვინ წარიტაცა შენი, უკუეთუ პატივი მიგილო, უკუეთუ გაგინა, უკუეთუ გცა, არავე გაქუს მიზეზი განრისხებისად.

ერთად, რამეთუ ვხედავთ სახესა მას მოთმინებისა და სულგრძელები-სასა უფლისა ჩუენისა, „რომელმან ივნო ჩუენტუს“, ვითარცა იტყვს მოციქული, „და ჩუენ დაგვტევა წელითნერილი, რაათა შეუდგეთ კუალსა მისსა; რომელმან-იგი ცოდვად არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვად პირსა მისსა; რომელი იგინებოდა და იგი არავის აგინებდა, ევნებოდა და არავის უთქუმიდა, მიეცა მსაჯულსა სიცრუით; რომელმან ცოდვანი ჩუენნი თავს-ისხნა წორციტითა თვსითა ჯუარსა ზედა, რაათა ცოდვასა განვეშორნეთ და სიმართლით ვცხონდებოდით, რომლისა-იგი წყლულებითა განვიკუენინეთ“.<sup>1</sup>

მეორედ, რამეთუ უწყით, ვითარმედ მაგინებელნი და შეურაცხმყოფელნი ჩუენნი უფროსად სარგებელ გუექმნებიან, ვიდრელა მაქებელნი და პატივმცემელნი; რამეთუ იგინი გვრგვინსა მოთმინებისასა მოგუატყუებენ, უკუეთუ გუენებოს, ხოლო ესენი ზუაობასა და ამპარტავანებასა შთაგუაგდებენ, უკუეთუ არა ფრიად ვეკრძალნეთ. – და ვითარ იყოსო ესე, რაათამცა მაგინებდა ვინ და შეურაცხ-მყოფდა, და არამცა განვრისხენ? – მეტყვან ვიეთნიმე.

ჰე, ძმაო, შესაძლებელ არს ესე და არა შეუძლებელი. ოდეს ვინმე შეგანუხოს და ბოროტი გიყოს საქმით გინა სიტყვით, და აღიდრვოდი გულისწყრომად, გამოსახე სასწაული ჯუარისად გულსა შენსა, მოიწსენენ ვნებანი და შეურაცხებანი ქრისტესნი, რომელ ჩუენტუს დაითმინა, მოიწსენე შიში ღმრთისად, და განქარდეს ვნება იგი შენგან, და იქმნა მშკდ და მოთმინე.

უკუეთუ კუალადცა იტყვ, თუ: შეუძლებელ არს ესე, მიხედენ მებრ მონათა შენთა და მათგან ისწავე. ოდეს აგინებდე და შეურაცხ-ჰყოფდე და სცემდე, და იგინი დუმლით თავს-იდებდენ, ცან, ვითარმედ არა შეუძლებელსა საქმესა გეტყვ. რომელსა იგინი იქმან შიშისათვს შენისა, შენ შიშისათვს ღმრთისა რად არა ჰქმნა?

ოდეს იქმნას ჟამი შფოთისად, და ძვრსა იტყოდის და გაგინებდეს მოყუასი, გულისწმა-ყავ, რამეთუ წარუწყმედია გონება თვსი, და უფროსად სწყალობდი, რამეთუ ეშმაკეულნიცა მრავალგზის გუცემდიანცა, და არა განვრისხნით, არამედ უფროსად ვსწყალობდით. ეგრეთვე შენ ქმენ, შეინწყალე მაგინებელი იგი, რამეთუ ბოროტითა ეშმაკითა შეპყრობილ არს მრისხანებისა და გულისწყრომისადთა, რომელმან-იგი მრავალგზის მეყსა შინა დიდნი ბოროტნი ქმნის.

გიჩუენამცა ვინ შიშულად სული მრისხანისად და სული მოთმინისად, და იხილემცა მრისხანისად მის მიმსგავსებული ზღუასა აღძრულსა ლეღვითა

<sup>1</sup> 1 პეტ. 2,21-24.

წარმწყმედელითა, ხოლო მოთმინისად მის – ნავთსაყუდელსა მყუდროსა, რომელსა ვერ აღსძრვენ ნიავექარნი ვნებათანი.

და თვთ მებრ მრისხანე მარადის მაბრალობელ არს თავისა თვისისა, მხილებული გონებისაგან, ხოლო სულგრძელი და მოთმინე განისუენებს სულითა.

რად ეძიებ, კაცო, სხვსაგან პატივისა? შენ თვთ პატივ-ეც თავსა შენსა, და ვერვინ შეურაცხ-გყოს; უკუეთუ კულა შენ საქმით შეურაცხ-ჰყოფდე თავსა შენსა, დაღაცათუ ყოველი სოფელი პატივ-გცემდეს, უპატიო ხარ და შეურაცხ.

რამეთუ ვითარცა-იგი უკუეთუ ჩუენ თვთ არა ვავნოთ თავთა ჩუენთა, ვერვის ჴელ-ენიფების ვნებად, ეგრეთვე უკუეთუ ჩუენ არა უპატიო და შეურაცხ ვყვნეთ თავნი ჩუენნი, ვერვინ უპატიო-გუყოფს.

იყავნ კაცი ვინმე საკვრველი და სათნოე, და ყოველნი ხდიდენ მას მსიძვად და მპარვად და ავაზაკად, და იგი მოითმენდინ ყოველსავე სულგრძელებით; რად ევნო სიტყუათა მათგან? არარად ყოვლადვე; არამედ უფროესად მათ ევნო, რომელნი ესრეთ იტყოდეს.

მითხარლა, უკუეთუ ვინმე მზესა ბნელ უწოდოს, მას ავნო ანუ თავსა თვისსა? ცხად არს, რამეთუ თავი თვისი განცკებრებულად და ცოფად გამოაჩინა, ხოლო მზესა არარად ავნო. ეგრეთვე არიან, რომელნი კაცისა ღმრთისმსახურისათვს ძვრსა იტყოდინ.

ან უკუე ესე შევიკრძალოთ, რადთა გონებად ჩუენი წმიდა-ვყოთ და არა ვსცეთ მიზეზი მხილებად ჩუენდა; ხოლო უკუეთუ სხუანი ბოროტსა გუნამებდენ, რომელნი ჩუენ არა უწყოდით, ყოვლადვე ნუ ვზრუნავთ ამისთვს.

რამეთუ არარად ევენების კაცსა სახიერსა, უსახურად თუ ვიეთგანმე შეირაცხოს. ხოლო რომელმან ძვრი უზრახა სიცრუით, მას უფროესად შემთხვა ვნებად და ზღვევად.

ვითარცა-იგი უკუეთუ ვინ ცოდვითა სავსე იყოს, დაღაცათუ კაცთა მიერ საქებელ იყოს, არარას ერგების, არამედ უფროესად დასასჯელ ექმნების.

ამისთვს გევედრები, დაუტეოთ ზრუნვად სხუათა ჰაზრისათვს და სხუათა პატივისა და შეურაცხებისად და ესე ვილუანოთ, რადთა გონებად ჩუენი ვერას ბოროტსა გუამხილებდეს; არამედ სათნოდ ღმრთისა ვიქცეოდით, რადთა აქაცა კეთილად ვიყვნეთ და მის საუკუნოესა დიდებასა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

წმიდაო და სასოო ჩუენო და სამკაულო ყოველთა ქრისტეანეთაო, [იოვანე ოქროპირო], მეოხ ექმენ წინაშე ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა, მამათა ჩუენთა იოვანეს და ეფთჳეს, რომელმან ესე თარგმანა ზერძულისაგან ქართულად თვნიერ სომხურისა.

სიტყუაჲ ესე: „ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან: შენ ხარა მეუფეჲ ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყვ. და შესმენასა მას მღდელთმოდღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო“ (27,11-12).

იცოდეს მღდელთა მათ სიცრუისათა და მოხუცებულთა მათ, დაძულებულთა უმჯულოებითა, ვითარმედ პილატეს არაჲ ზრუნვაჲ აქუნდა საქმეთათჳს შჯულისათა, რამეთუ კაცი იყო წარმართი; ამისთვის ესე შესმენაჲ წინაუყვეს, ვითარმედ: მეფედ ქადაგებს თავსა თჳსსა, რაჲთამცა ესრეთ თანამდებ სიკუდილისა ყვეს, რამეთუ ესე ოდენ იყო საძიებელ მათა; ამისთვის სამოსელიცა დაიპო მღდელთმოდღუარმან მან მზაკუვარმან. რამეთუ ჰურიათა შორის რაჲ იყო, ესე დასდევს ბრალი, თუ ძედ ღმრთისა იტყვსო თავსა თჳსსა. იცოდეს, ვითარმედ იგი არს ძე ღმრთისაჲ, არამედ შურმან დააბნელნა იგინი; ხოლო აქა კუალად მეფობისა სახელი დასწამეს.

ამისთვის ჰრქუა პილატე: „შენ ხარა მეუფე ჰურიათაჲ? ხოლო იესუ ჰრქუა: შენ იტყვ“. აღიარა, ვითარმედ მეუფეჲ არს, გარნა მეუფეჲ ზეცათაჲ, ვითარცა იოვანე უმეტესად გუასწავებს სიტყუასა მისსა პილატეს მიმართ და იტყვს: „ჰრქუა მას იესუ: მეუფებაჲ ჩემი არა არს ამის სოფლისაგან. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნიმცა ჩემნი იღუნიდეს ჩემთვის, რაჲთა არა მივეცი ჰურიათა. ხოლო ან მეუფებაჲ ჩემი არა არს ამიერ“.<sup>1</sup>

ამისთვისცა, რაჲთა სრულიად ესე იჭვ განუქარვოს და გულისწმა-უყოს, ვითარმედ მეუფებაჲ მისი არა ამის სოფლისაჲ არს, ხარკი მისცა და სხუათა უბრძანა მიცემად კეისრისაჲ კეისარსა, და ოდეს ენება ერსა მას მეფედ დადგინებაჲ, ივლტოდა.

ხოლო ვინაჲთგან ესრეთ მძლავრებისა შესმენასა მოიღებდეს მის ზედა, რად არა თქუა ესე ყოველი? არა ჯერ-იჩინა თქუმად ამისთვის, რამეთუ ბევრეულნი სახენი აქუნდეს მათ ძლიერებისა და სახიერებისა და ჭეშმარიტებისა მისისანი, და ნეფსით დაბრმობილ იყვნეს, არა თუ უმეცრებისაგან სცთებოდეს. ამისთვის არარაჲ მიუგო ესევეითარი, გარნა მცირედი ოდენ, რაჲამს-იგი აფუცა მღდელთმოდღუარმან, და ოდეს-იგი ჰკითხა მთავარმან. ხოლო შესმენათა მათთა მიმართ არცა ერთი რაჲ მიუგო, რამეთუ იცოდა, ვითარმედ არა ჰნებავს მათ სმენაჲ ჭეშმარიტებისაჲ.

და ამას პირველვე ლაღადებდა ესაია და იტყოდა: „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა, და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უწმობელად

<sup>1</sup> იოან. 18,36.

დგა, ესრეთ არა ალალებს პირსა თვსსა. სიმდაბლითა მისითა სასჯელი მისი მიელო; და თესლ-ტომი მისი ვინ-მე მიუთხრას?“<sup>1</sup>

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რავდენსა-ესე შეგნამებენ შენ? და არარაჲ მიუგო მას არცა ერთისა სიტყვსათვს, ვიდრემდე უკვრდაცა მთავარსა მას ფრიად“ (27,13-14).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ჭეშმარიტად საკვრველებისა დიდისა ღირს იყო საქმე იგი, ესოდენი იგი სულგრძელებად და სიმშვედ სახიერისად მის, და ვითარ არარას მიუგებდა, რომელსა ბევრეულნი აქუნდეს სიტყუანი გამომაჩინებელნი ჭეშმარიტებისანი და მამხილებელნი მათისა მის შურისანი. არამედ იხილნა, ვითარმედ სრულიად სასონარკუეთილ იყვნეს, და ნეფსით თუალნი დაენუნენს და ყურნი დაეყვნეს, და არცა ამისაგან შეიგონეს, რომელ ვერცა ერთი ბრალი პოეს მის ზედა, არცა, იხილეს რაჲ იუდა მომშთვარი, შეიკდიმეს, არცა, ხედვიდეს რაჲ პილატეს, ვითარ ჴელნი დაიბანნა და თქუა: „უბრალო ვარი მე სისხლისაგან მაგისისა; თქუენ იხილეთ“,<sup>2</sup> შეშინდეს. ესრეთ მიეცნეს მათ თავნი თვსნი ეშმაკისადა. ამისთვის არარაჲ მიუგო უფალმან.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი: მიუტევის ერსა მას ერთი ჰყრობილი, რომელიცა უნებნ მათ. იყო ვინმე მაშინ ჰყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ისუ ბარაბაჲსი. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთაგან, და მიგიტეო თქუენ: ისუ ბარაბაჲსი ანუ ისუ, რომელსა ჰრქვან ქრისტჲ? რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი“ (27,15-18).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ვინაჲთგან იხილა, ვითარმედ ქრისტე არარას მიუგებს, არცა განიმართლებს თავსა თვსსა, სხუად ღონე მოიპოვა, რაჲთამცა განარინა იგი, და ეტყვს: უკუეთუ არა გნებავს, ვითარცა უბრალოდსა განტევებად, ბარე ვითარცა ჰყრობილი მიანიჭეთ ეგე დღესასწაულსა ამას. იხილეა წინაუკუმოდ ესე წესი? გამოთხოვად ჰყრობილისად ერსა მას თანაედვა, და მინიჭებად მთავრისად იყო, ხოლო ან წინააღმდგომი იქმნა, და მთავარი ჰპატიჟობს ერსა და ითხოვს მათგან, რაჲთა განუტეოს ქრისტე. და არა შეიკდიმეს უღმრთოთა მათ, არამედ უფროჲს ღალადებდეს და ამბოხებდეს უმიზეზოდ და უბრალოდ, რამეთუ ემხილებოდა დუმილითა მისითა მათი იგი სიცბილი.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და ვითარცა ჯდა პილატე საყდართა ზედა, მოუვლინა მას ცოლმან თვსმან და ჰრქუა: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისად, რამეთუ მრავალი მევნო მე ჩუენებით მაგისთვის დღეს“ (27,19).

<sup>1</sup> ესაია 53,7-8.      <sup>2</sup> მათ. 27,24.

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეთ, ვითარი იქმნა ესეცა საქმე, რომელი კმა იყო შეგონებად მათ ყოველთადა, რამეთუ ჭეშმარიტებასა მას თანა საქმეთასა ჩუენებადცა იგი არა მცირე იყო.

ხოლო რადასათჳს არა პილატე იხილა ჩუენებად იგი, არამედ ცოლმან მისმან? ერთად, რამეთუ იგი სადმე უფრო ღირს იყო ხილვად, ვიდრე პილატე; მეორედ, უკუეთუმცა პილატეს ეხილვა, არცამცა გამოეცხადა ყოველთა ზედა, თუ: ესრეთ ვიხილე. ამისთჳს ცოლმან იხილა, რადთა ყოველთა ეუნყოს. და არა ლიტონად ეჩუენა, არამედ ფრიად ელმოდა, რადთა შეშინდეს ქმარიცა და არა საჯოს მოკლვად იესუჲსი, არამედ იგიცა სრულიად უგუჲურ და უსახურ იპოვა.

და თუმცა თქუა, თუ: ვერ ვიკადრებ განტეობად, რამეთუ მეფედ ჰყოფს თავსა თჳსსა, ჯერ-იყო გამოჩინებად და მხილებად საქმისა მის, თუ იყოა მის თანა სასწაული მძლავრობისა: უკუეთუ მწედრობასა იკრებდა, უკუეთუ საფასეთა იუნჯებდა, უკუეთუ საჭურველთა ჭედდა ანუ სხუასა რასმე ესევეთარსა იქმოდა. ხოლო მან არარად გამოიკულია, არამედ ესრეთ უგუჲურებითა და სიცოფით მიჰყვებოდა ნებასა ბოროტისა მის ერისასა.

ამისთჳს არა ყო იგი ქრისტემან გარეგან ბრალისა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ: „მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვად აქუს“,<sup>1</sup> და გამოაჩინა, ვითარმედ: დაღაცათუ მიმცემელსა მას უდიდესი ცოდვად აქუს (გინა თუ იუდას იტყჳს, გინა თუ მღდელთმოდღუართა, რამეთუ მათ მისცეს პილატეს), გარნა არცა უგუჲური იგი მთავარი გარეგან ცოდვისა არს, რამეთუ მუნ ეშინოდა მას შიში, სადა-იგი არა იყო შიშ. უგუჲურებითა სავსე იყო იგი და დაჯსნილებითა, ხოლო მღდელთმოდღუარნი იგი – უკეთურებითა, შურითა, ზაკუფითა და ბოროტებითა. ამისთჳსცა დაარწმუნეს ერსა მას, რადთა მოითხოონ ბარაბა.

ჰხედავთა, რავდენი ღონე აჩუენა ქრისტემან, რადთამცა მოდრიკნა ფიცხელნი იგი გულნი მათნი, და რადზომ ისწრაფეს მათ, რადთა სრულიად უსიტყუელ-ყვნენ თავნი თჳსნი?

ჰ უშჯულონო! ჰ ნანილნო ეშმაკისანო! ჰ შვილნო წარწყმედისანო! ვისი უმჯობეს იყო გამოთხოვად და განტეობად: განცხადებულისა მის კაცისმკლველისა და შესწავებულისა მის ავაზაკისა, რომელსა ურიცხვ კაცის-კლვად ექმნა, ანუ უფლისა იესუჲსი, რომლისა თანა ბრალი არცა ერთი იპოვა?

ვად სულისა თქუენისა, ბილწნო, რამეთუ კაცისმკლველი იგი აღირჩიეთ და მაცხოვარი ყოველისა სოფლისაჲ უვარ-ჰყავთ; და არცა დღესასწაულისა მისგან შეიკადიმეთ, არცა ქველისმოქმედებანი მისნი მოიჯსენენით.

ესე საქმე არს ბოროტთა მათ მღდელთმოდღუართად. იგინი დაბრმობილ იყვნეს შურისაგან, და მათ ასწავეს უშჯულოდ იგი სწავლად ერსა მას,

<sup>1</sup> იოან. 19,11.

რადთა მათისაცა წარწყმედისა სასჯელი მიეცადოს მათ, ვითარცა ან აღმო-  
ვიკითხეთ:

სახარებად: „მიუგო მთავარმან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა-  
განი, და მიგიტეო თქუენ? მათ ჰრქუეს: ბარაბა. ჰრქუა მათ პილატე: და  
რად უყო იესუს, რომელსა ჰქვან ქრისტე? ჰრქუეს მას ყოველთა: ჯუარს-  
ეცუნ! ხოლო მან ჰრქუა მათ: რად ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს  
ლაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ! ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ  
არას არგებს მას, არამედ უფროსდა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი  
და დაიბანა ჳელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარი მე სისხლისა-  
გან მაგისისა, თქუენ იხილეთ. და მიუგო ყოველმან ერმან და თქუა: სისხლი  
მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა“ (27,21-25).

თარგმანი: „ჰრქუა მათ პილატეო: და რად უყო იესუს, რომელსა  
ჰრქვან ქრისტე?“ ოდეს სხვთა სახითა ვერ დაარწმუნა, მერმე ესე თქუა,  
რამეთუ ჰგონებდა, თუ ჰრცხუენოდის თქუმად, ვითარმედ: ჯუარს-აცუ;  
და უმეტესად დაამძიმა ტვრთი მათ ზედა, ოდეს ყვნა იგინი უფალ საქმისა  
მის. ხოლო იხილნა რად, ვითარმედ მოუდრეკელ იყვნეს გულნი მათნი და  
უფროსდა შფოთსა იქმოდეს და ჳმობდეს: „ჯუარს-აცუ“, დაიბანა ჳელნი  
და თქუა: „უბრალო ვარ მე“. თქულა, ცოფო და განლიგებულო კაცო, ვი-  
ნადთგან იცი, ვითარმედ ბოროტი არარად უქმნიეს, და მიზეზსა სიკუდილი-  
სასა მის თანა არა ჰპოვებ და ბრალსა შენგან განაგდებ, რადსათჳს მისცემ  
ჯუარ-ცუმად, ანუ რადსათჳს არა გამოიტაცებ შორის მათსა, ვითარცა ათა-  
სისთავმან მან ქმნა ჰავლეს ზედა? რამეთუ მაშინცა შფოთი დიდი იყო მის  
ზედა ჰურიათაგან, არამედ ათასისთავი იგი მწნედ წინააღუდგა და განარი-  
ნა იგი ჳელთაგან მათთა.<sup>1</sup> გარნა პილატე არა ესრეთ ქმნა, არამედ ფრიად  
უგუნურად და უგულოდ; და ყოველნივე იგი მიდრეკილ და უწმარ იყვნეს,  
არცა პილატე ერსა მას წინააღუდგა, არცა ერი იგი – მდდელთმოძღუართა,  
არამედ ღაღადებდეს: „ჯუარს-ეცუნ ეგე!“

რადენი მიზეზი მისცა ქრისტემან მოქცევისა და არა მოიქცეს. ვი-  
თარცა-იგი იუდას შეემთხვა, ეგრეთვე ჰურიათა; და არცა თუ ოდეს იხი-  
ლეს მთავარი იგი, ვითარ დაიბანა ჳელნი, ლმობიერ იქმნეს, არამედ უფ-  
როსად ღაღატ-ყვეს და თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა“. მაშინ იხილა  
რად პილატე, ვითარმედ ყოველი იგი ბრალი თავთა თჳსთა ზედა დაიკრიბეს  
ნეფსით თჳსით, აღასრულა მან ნება მათი.

ან იხილეთ აქა განსაკვრვებელი საქმე: ვითარ, ეუფლოს რად ეშმაკი  
ვისმე, სრულიად დააბრმობს. თქუთლა, უშჯულონო ჰურიანო, გუელნო  
და ნაშობნო იქედნეთანო, ნათესავო დრკუო და გულარძნილო, ერო ცო-  
ფო და არაბრძენო, ნაშობნო ბილწებისანო, მზრახვალნო წარწყმედისანო,

<sup>1</sup> საქმე 23,17-30.

რომელთა თანა არა არს მეცნიერებაჲ; იყავნ წყევად ესე და ცოდვად თქუენ ზედა, ვითარცა სთქუთ; შვილთა თქუენთა ზედა რადსათჳსლა მიიყვანებთ წყევასა მას? ეჰა ვითარ გარდამატებულ იყო უკეთურებაჲ მათი, და ვითარ გამოუთქუმელ არს სახიერებაჲ უფლისაჲ. რამეთუ ესოდენსა მას სიბორგილესა მათსა ზედა, რომელთა ესრეთ ლირბად მიიღეს ცოდვად იგი და წყევად მათ და შვილთა მათთა ზედა, არავე დაამტკიცა სიტყუად იგი არცა თუ თვთ მათ ზედა. არამედ რომელნიცა მოიქცეს მათგანნი და შეინანეს წყალობით, შეინყნარნა და სასუფეველსა ღირს-ყვნა. რამეთუ პავლეცა მათგანი იყო და ბევრეულნი იგი, რომელთა ჰრწმენა იერუსალჴმს, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ჰრქუა იაკობ პავლეს: „ხედავა, ძმაო, რავდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი!“<sup>1</sup> იგი ყოველნი მათგანნი იყვნეს, და შეინყნარნა სახიერმან მან და აღვოცნა ცოდვანი მათნი; ხოლო რომელნი სრულიად ეგნეს ურწმუნოვებასა შინა, მათ თავით თჳსით მოიღეს რისხვად ღმრთისაჲ მათ ზედა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რადთა ჯუარს-აცუან“ (27,26).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: რადსათჳს ქმნა ესე პილატე? ვინადთგან ჯუარ-ცუმად მისცემდა, შოლტითა რადსათჳსლა სცა? ამისათჳს, რადთა ჰურიანი მოიმადლნეს. ესოდენ უგუნურ იყო, ესოდენ ცოფ, არა გულისწმა-ყვნა სასნა-ულნი მისნი და საკრველებანი იგი, ძკრუჴსენებლობანი და დუმილი მისი ყოველთა მათ შესმენათა ზედა, რომელ-იგი კმა იყო ქვათაცა მოდრეკად. რამეთუ ვინადთგან ლოცვითა მით და შენუხებითა და მრავლითა სახითა კაცებაჲ აჩუენა, ან კუალად დუმილითა მით და შეურაცხებითა შესმენათა მათთადთა უზეშთაესსა მას საზომსა აჩუენებს, რადთა გულისწმა-ყონ, ხოლო იგინი ყოვლადვე მოუდრეკელ იპოვნეს. რამეთუ ოდეს ვნებისა რადსა-განმე დაითროს სული, ძნელ არს განლჳძებაჲ და განფრთხოებაჲ მისი.

### სწავლად 33

**რადთა არა უგულუბელს-ვჰყოფდეთ მცირეთა ცოდვათა, რამეთუ მარადის ეშმაკი მცირეთაგან იწყებს ბრძოლად ჩუენდა და ესრეთ დიდთა ცოდვათა შთაგუაგდებს**

ამისთჳს მარადის ვიტყვ: ნუ ადგილ-ვსცემთ ვნებათა ჩუენ შორის, არამედ განვიოტნეთ იგინი ჩუენგან და შევიკრძალნეთ კარნი სულისა ჩუენისანი, რადთა არა პოონ მათ შემოსავალ ჩუენ შორის. რამეთუ ესრეთ არს ჩუეულებად ვნებათად: უკუეთუ დაიპყრან ადგილი სულსა შინა, ვითარცა

<sup>1</sup> საქმე 21,20.



ცეცხლმან შთავრდომილმან ნივთსა შინა ვშირსა ალატყინის ალი დიდი, ეგრეთ ალტყინებიან და ეუფლებიან გონებასა. ამისთვის გვედრები, ვიდრე მცირე და ჩჩვლა იყვნენ ვნებანი, აღმოვფხურნეთ ჩუენგან და განვიოტნეთ. ნუ ვიტყვთ სიტყუასა მას ცუდსა და ბოროტსა და ამაოდ ნუგეგინის-ვსცემთ თავთა თვსთა, ვითარმედ: ესე რაჲმე არაჲ არს, და იგი რაჲმე მცირე ცთომად არს და უნდოდ. რამეთუ ამის საქმისაგან იშვებიან ბევრეულნი იგი ბოროტნი, და ესე ღონე არს მზაკუვარისა მის და ბოროტისა ეშმაკისაჲ, მოპოვნებული წარსაწყმედელად კაცთა. იწყებს მცირისაგან და დღითი-დღე აღაორძინებს გესლსა თვსსა, ვიდრემდის სრულიად მიგუცნეს წარსაწყმედელსა და შთაგუჴადნეს ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა.

ენება საულისი სიცბილსა მას მუცლითმეზღაპრეთასა შთაგდებად და წარწყმედად, გარნა უკუეთუმცა პირველითგან ესე ეთქუა, არამცა ესმინა მას და უფროჲსად სდევნიდა მათ, არამედ მცირედ-მცირედ დაიმორჩილა. პირველად ურჩებად სამოელისა მოიყვანა და შეწირა პირველ მოსლვისა მისისა მსხუერპლი. მან აბრაჲა, და საულ განიმართლა თავი თვისი: გუერეოდესო მბრძოლნი, და ამისთვის ვქმენ. კუალად უბრძანა სამოელ ღმრთისა მაგიერ ამაღეკისათვის; მასცა გარდაჴდა. მერმე შევიდა მტერობასა მას დავითისსა და ესრეთ დღითი-დღე უძკრესისა მიმართ წარემატებოდა, ვიდრემდის შთავარდა მთხრებლსა მას წარწყმედისასა.

ეგრეთვე კაენს არა ჰრქუა პირველითგანვე ეშმაკმან მოკლვაჲ აბელი-სი; იცოდა, ვითარმედ არა ერჩოდის. არამედ პირველად დაარწმუნა, რაჲთა უმჯობესი თვთ დაიმჭიროს და უდარესი ღმრთისა შეწიროს, და ჰრქუა: არარაჲ ცოდვაჲ არსო ესე.

მერმე შურად ძმისა ალადგინა, ესეცა არაჲ არსო. ამისგან მოკლვაჲ ძმისაჲ აზრახა და ტყუილი ღმრთისა მიმართ; და არა დასცხრა, ვიდრემდე სრულიად დაიმორჩილა.

ამისთვის ჯერ-არს დასაბამსა ბოროტთასა დაყენებად; რამეთუ დაღაცათუმცა დასაბამნი იგი ცოდვათანი თვსსა წესსა ზედა ეგნეს, არცა ეგრეთ ჯერ-იყო უგულებელს-ყოფაჲ მათი. ხოლო აწ ვხედავთ, ვითარმედ დღითი-დღე უძკრესისა მიმართ მივლენ. ამისთვის ჯერ-არს ყოვლითა ძალითა დაჴსნაჲ მათი, ვიდრე მცირელა და უძლურ იყვნენ.

რამეთუ ნუ ამას ხედავ, კაცო, თუ ესე ცოდვაჲ ანუ იგი მცირე არიან, არამედ იგი გულისჴმა-ყავ, ვითარმედ უდებ თუ იქმნა, მცირენი იგი ძირ იქმნებიან დიდთა ბოროტთა.

ხოლო მე ამასცა ვიტყვ (დაღაცათუ ვისმე საკვრველ უჩნდეს სიტყუაჲ ესე), ვითარმედ: არა უჴმს ესოდენი მოსწრაფებაჲ დიდთა ცოდვათა, ვითარ-იგი მცირეთა და უნდოთა აღმოსაფხურელად.

რამეთუ დიდთა თვთ ბუნებაჲ იგი ცოდვისაჲ მის საძაგელად ჩანს და მძიმედ, და ევლტის მათ სული ჩუენი, უკუეთუ არა სრულიად წარტყუენულ იყოს მტერისაგან. ხოლო მცირენი რეცა შეურაცხად ჩანან და უგუ-

ლებელს-ვჰყოფთ, და მერმე უდებებითა ჩუენითა მსწრაფლ აღორძნდები-  
ან და დიდ იქმნებინ.

ესრეთ შთავარდა იუდაცა დიდსა მას ბოროტსა. რამეთუ უკუეთუმცა  
არა ეთქუა მას, თუ: მცირე არს პარვად, რომელ-იგი რწმუნებულ იყო მისა  
საფასე გლახაკთად, არამცა შთავრდომილ იყო განცემასა მას.

უკუეთუმცა ჰურიათა არა მცირედ შეერაცხა ზუაობად და კაცთმოთნე-  
ბად, არამცა შთავრდომილ იყვნეს ქრისტეს მოკლვასა.

ეგრეთ არიან ყოველნივე ბოროტნი. რამეთუ მეყსეულად დიდთა ცოდ-  
ვათა ძლით ვინ შთავარდების, რამეთუ აქუს სულსა ჩუენსა ბუნებით სირ-  
ცხვლი და რიდობად მათ ბოროტთად და ერთჯერ არა განიგდებს სრულიად  
სირცხვლსა თვსსა, არამედ მცირედ-მცირედ წარწყმდების, უკუეთუ უდებ  
იქმნას.

ესრეთ შემოვიდა კერპთმსახურებაცა სოფლად. რამეთუ იწყეს  
კაცთა ზომისა უმეტესისა პატივისა ძიებად ცხორებასა ამასცა და შემ-  
დგომად სიკუდილისაცა. ამისგან იწყეს ხატთა და კერპთა აღმართებად;  
რომელთამე თავთა თვსთად, რადთა ავსენებდენ ნათესავნი მომავალნი;  
სხუათა კუალად თვსთა გინა მეგობართა აღჰმართიან სიყუარულისათვს  
მათისა და პატივისა. ესრეთ მცირედ-მცირედ ღმრთად აღიარნეს, და  
აღესრულა საცთური იგი კერპთმსახურებისად. და თუ რომელსა საზომ-  
სა აღვიდა სიბოროტე მისი, ვიცი, არა უმეცარ ხართ. ეგრეთვე სიძვად  
იქმნების. და ესრეთ გულისწმა-ყავთ: იწყის ვინმე სიტყუად დედაკაცისა  
მიმართ. მოვიდის შორის სიცილი. თქვს: არად არს ესე, რად ცოდვად არს  
განცინებად. მერმე იქმნის კადნიერებად; ამისგან მოვიდის ზრახვად საძა-  
გელი; და დლითი-დღე წარემატებინ ბოროტი იგი, ვიდრემდის აღესრუ-  
ლის ცოდვად.

კუალად სხუამან ძკრი უზრახის მოყუასსა. თქვს: არარად არსო ესე.  
ამისგან იქმნის სიძულილი, მერმე მტერობად და ძკრის-ვსენებად. ამის ყოვ-  
ლისაგან იქმნის კაცის-კლვადცა. ესრეთ იქმს მარადის ბოროტი იგი მტე-  
რი ჩუენი ეშმაკი; მცირეთა ცოდვათაგან მოიღებს დიდთა, და დიდთაგან  
მოიღებს სასონარკუეთილებასა. კუალად ესე სხუად ღონე მოუპოვებეს  
წარწყმედისად, რამეთუ ვერ წარწყმედს კაცსა ცოდვად ესრეთ მსწრაფლ,  
ვითარ-იგი წარწყმედს სასონარკუეთილებად. რამეთუ უკუეთუ ვინ ცოდ-  
ვად ქმნას და მერმე განიფრთხოს და შეინანოს, განიკურნების წყლულებად  
იგი მისი. ხოლო მო-თუ-ვიდეს სასონარკუეთილებად და წამალი იგი სინა-  
ნულისად არა ივმაროს, დაშთა უკურნებელად და წარწყმდა თვსითა მით  
უდებებითა.

აქუს მტერსა ჩუენსა სხუადცა ღონე წარწყმედისად. მრავალგზის მარ-  
ცხენით ვერ მძლე ექმნის, მოექცის მარჯუენით და მოწყლის, უგუნურად  
მბრძოლი რად პოის. და ნუ გიკვრს, თუ მარჯუენითცა მიიღებს იგი ძლე-  
ვასა.

ინება ვინმე ქალწულებად; და არსცა კეთილ და საქებელ. არა დადგა საზომსა თვსსა, არამედ იწყო ძაგებად ქორწინებისა, ანუ თუ განემორა მეულღესა თვსსა გულისსიტყვთა ესევეთარითა, ვითარცა ბოროტ იყო ქორწინებად, და თავს-იდვა შრომად, და ექმნა შრომად იგი დასასჯელ. რამეთუ კეთილ არს ქალწულებად, გარნა ქორწინებისა ძაგებად და ბოროტად შერაცხვად არა ჯერ-არს.

სხუანი კუალად წესითა მარხვისადათა განეყენნეს ჭამადთა; მერმე იწყეს ძაგებად ჭამადთა, რომელნი დაჰბადნა ღმერთმან საზრდელად კაცთა, და შესცთეს გონებითა თვსითა,<sup>1</sup> ვითარცა მოციქული იტყვს; რამეთუ არა შეუდგეს სიტყუათა და მოძღურებათა წერილისათა.

ამის გამო ვიეთნიმე კორინთეს შინა სხუასა მახესა შთაცვცევს და თქუეს, რადთა ყოვლისავე ჭამადისაგან მიიღებდენ, არამედ მოციქულმან დააყენა ესე, რამეთუ დაყენებულთა და არანმიდათა გემოდასხილვად არა ჯერ-არს.<sup>2</sup>

სხუანი მოლუანებისა სახითა ყოვლადვე არა აღიკუეცენ თმათა თავისათა, არამედ ესრეთ იქცევიან ერსა შორის, და ესეცა უჯერო არს და დაყენებულ.

სხუათა უზომოდ წუხილი ცოდვათათვს კეთილად შეჰრაცხეს; და იყო იგი ღონე ეშმაკისა. ამისთვისცა შიშთვილ-იბეს, ვითარცა იუდას შეემთხვა. ამისთვის პავლე მისწერს კორინთელთა მიმართ მისთვის, რომელი-იგი ბოროტსა მას სიძვასა შთავარდა, და უბრძანა მიცემად ეშმაკსა ეგევითარი იგი.<sup>3</sup> ხოლო მეორესა ებისტოლესა შიგან იტყვს: „ნუგეშინის-ეცით მას, ნუუკუე უმეტესითა მით მწუხარებითა დაინთქას ეგევითარი იგი. რადთა არა მივიანგაჰრნეთ ეშმაკისაგან, რამეთუ არა გონებასა მისსა უმეცარ ვართ“.<sup>4</sup> ესე იგი არს, ვითარმედ ზაკუვით გუებრძვის მარადის. ხოლო უკუეთუმცა ცხად იყო ბრძოლად მისი, ადვილმცა იყო წყობად იგი და ძლევად. და უფროდსლა ანცა ადვილ არს, უკუეთუ განვიფრთხოთ. რამეთუ ყოველსავე ზედა მოგუცა ქრისტემან საჭურველი ბრძოლად მისა და გვბრძანა არა უგულებელს-ყოფად მცირეთაცა ცთომათა.

ამისთვის თქუა: „რომელმან ჰრქუას ძმასა თვსსა: ცოფ, თანამდებ არს გეჰენიასა“;<sup>5</sup> და „რომელმან მიხედნეს დედაკაცსა გულისთქუმით, იმრუშა“.<sup>6</sup> და მოცინართა აბრალებს, და ცუდისა სიტყვასათვს სიტყვს-მიცემად განანესა. და ყოველსავე ზედა დაწყებასა და თესლსა ცოდვათასა დაჰჰსნის, რადთა არა აღიზარდნენ. ამისთვის იობ გულისსიტყუათაცა შვილთა მისთასა წმიდა-ჰყოფდა.

ხოლო სასოებისა არანარკუეთისათვს მრავალი განუწესებეს უფალსა წერილთა შინა, ვითარცა იტყვს: „ნუუკუე დაცემული იგი არა აღდგისა, ანუ მიქცეული არა მოიქცისა?“<sup>7</sup> და კუალად იტყვს: „არა მნებაგს სიკუ-

<sup>1</sup> შდრ. 1 ტიმ. 4,1-3. <sup>2</sup> შდრ. 1 კორ. 8,4-13. <sup>3</sup> 1 კორ. 5,1-5. <sup>4</sup> 2 კორ. 2,7,11. <sup>5</sup> მათ. 5,22.

<sup>6</sup> მათ. 5,28. <sup>7</sup> იერ. 8,4.

დილი ცოდვილისად, არამედ მოქცევაჲ და ცხორებაჲ“;<sup>1</sup> და კუალად იტყვს: „დღეს თუ წმისა ჩემისად ისმინოთ...“;<sup>2</sup> და კუალად თქუა უფალმან: „სიხარული იქმნების ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს“.<sup>3</sup>

და სხუანი მრავალნი ესევეთარნი სიტყუანი და საქმენი მოგუცნა სახედ სინანულისა, რადთა გულსავსე ვიქმნათ, ვითარმედ შევინანოთ თუ, ყოველთავე ცოდვათა შეგკნდობს უფალი და შეგკნყალებს.

ამისთჳსცა გევედრები, საყუარელნო, დავკრძალნეთ კარნი ცოდვისანი, რადთა არა შემოვიდეს ჩუენ შორის. ნუ იტყვ, თუ: რად არს, უკუეთუ მივხედნე პირსა მას? რამეთუ უკუეთუ გულსა შინა შენსა იმრუშებდე, ადრე შთაჰვარდე ჳორცითაცა საქმესა.

ნუ იტყვ: რად არს, უკუეთუ ამას გლახაკსა თანანარვჳდე? რამეთუ ხვალე სხუასა წარჰვდები და კუალად სხუასა და იქმნები უწყალო. ნუ იტყვ: რად არს, უკუეთუ ესე რადმე სხვსად აღვილო? რამეთუ ამან წარწყმიდა აქაბი, და ფასიცა მისცა, გარნა იძულებით იყო საქმე იგი.<sup>4</sup> უკუეთუ ძუელსა შინა შჯულსა ეგრეთ შეემთხვა მას, რად ყოფად არს, რომელნი ან მიიტაცებენ გლახაკთაგან და დავრდომილთა?

ესრეთ თუ ვიხარკოთ და ვიღუანოთ აღმოფხურად ვნებათა პირველითგან დაწყებით, დიდთა ცოდვათა არასადა მივეცნეთ, არამედ სათნოება მოვიგოთ და ზეცისა სასუფეველსა ღირს ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

<sup>1</sup> ეზეკ. 18,23.

<sup>2</sup> ფსალმ. 94,8; ებრ. 3,7.

<sup>3</sup> ლუკ. 15,7.

<sup>4</sup> 3 მეფ. 21,1-29.

## თავი 36

სიტყუად ესე: „მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვანეს იესუ ტაძრად და შეკრიბეს მის ზედა ნათესავები ყოველი. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მენამული შეჰმოსეს მას. და შეთხზეს გვრგვნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ჴელსა მისსა და მუჯლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო! და ჰნერწყუვიდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა. და ოდეს განკიცხეს იგი, განძარცუეს ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თვისივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაათა ჯუარსაცუან. და ვითარ გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კვრინელი, სახელით სიმონ. ესე წარიქციეს, რაათა აღიღოს ჯუარი მისი. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. და მისცეს მას ძმარი ნავლლითა შეზავებული. და მი-რაჲ-ილო, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარსაცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაათა აღესრულოს თქუმული წინაღწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყვს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.<sup>1</sup> და სხდეს მუნ და სცვიდეს მას“ (27,27-36).

„ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი?“<sup>2</sup> ვინ-მე უძლოს თხრობად მიუწთომელსა მას და გამოუთქუმელსა უფსკრულსა სახიერებისა მისისასა? ვინ-მე გულისჴმა-ყოს გარდარეული იგი ბუნებათა უაღრესი კაცთა მიმართ სიყუარული მისი, რომელმან ცხორებისათჳს ჩუენისა ესოდენნი შეურაცხებანი და ვნებანი დაითმინნა, რაათა ჩუენ უვნებლობად მოგუცეს და მონებისაგან ეშმაკისა განგუათავისუფლნეს? რამეთუ ესერა გესმა, რაჲ-ესე აღმოვიკითხეთ დღეს წმიდასა სახარებასა შინა. მე მესმა, ძმანო, და განვცკბრდი, განკვრდა გონება ჩემი, და ძუალნი ჩემნი შეძრწუნდეს, და მონყალესა მას და კაცთმოყუარესა მეუფესა თაყუანის-ვეც და მადლობად შევსწირე, რამეთუ სხუად სიტყუად არარად მაქუნდა.

ჴ საკვრველი ესე საქმე! ვითარ შეთქუმილებით ყოველთა შორის მაშინ ეშმაკი იხარებდა. რამეთუ ვთქუათ, თუ ჰურიანი შურისაგან ბორგდეს და ესრეთ სრულიად დაივიწყეს ღმერთი. ერისაგანნი იგი, რომელ არიან მჴედარნი და მსახურნი მთავრისანი, ჰრომნი იყვნეს და ბერძენნი; რომლისა მიზეზისათჳს იქმოდეს ესე ვითართა მათ საქმეთა? არა საცნაურ არსა, ვითარმედ ეშმაკი უფლებულ იყო მათ ყოველთადა და აქცევდა მათ, ვითარცა ენება?

ამისთვისცა განცხრომად შეურაცხა მისი იგი შეურაცხებად მჴეცთა მათ ბოროტთა და მძვნვარეთა. ჯერ-იყო ტირილი და გლოვაჲ, ვითარცა სხუად

<sup>1</sup> ფსალმ. 21,19.

<sup>2</sup> ფსალმ. 105,2.

იგი ერი იქმოდა, ხოლო იგინი უფროდსად ეკიცხევდეს და აყუედრებდეს მომადლებსათვს ჰურიათადასა და შეურაცხებითა მრავლითა შეურაცხ-ჰყოფდეს. † საქმე შესაძრუნებელი! ვითარ-მე ვიტყოდი, ანუ ვითარ-მე დავიდუმო, რამეთუ ორივე ესე ძნელ მიჩნს. † საკვრველი მიუთხრობელი და გამოუთქუმელი! ყოველნი ასონი წმიდისა მის გუამისა მისისანი ჩუენ-თვის იგუემნეს.

წმიდასა მას თავსა მისსა ოდესმე დაჰბურინ და სცემდიან. კუალად გვრგვნითა მით ეკლისადათა ტანჯეს, მერმე ლერწმითა სცემდეს კაცნი იგი ბილწნი და შეურაცხნი. პირი მისი ნერწყუვითა შეურაცხ იქმნა. ღანუთა მისთა ყურიმლის-ცემადა თავს-იდევს. გუამი მისი განშიშულდა და შოლტითა იგუემა, და ქლამინდი კიცხვისადა შეემოსა, და თაყუანის-სცემდეს მას ბას-რობით. ჳელი მისი მიცემითა მით ლერწმისადათა იტანჯა და დამსჭუალვითა სამსჭუალთადათა, პირი კუალად – მიცემითა ნავლისა და ძმრისადათა. ესე ყოველი გუესმის, ძმანო; ან რაჲლა სიტყუაჲ გუაქუს გინებათა და შეურაცხე-ბათათვს განრისხებადა, ვინაჲთგან ქრისტემან თავს-იდვა ესე ყოველი?

რამეთუ საქმენი ესე ყოვლისა სიტყუსა უზეშთავს არიან. და არლარად დაშთა სახე შეურაცხებისაჲ, რომელი არა აჩუენეს მას.

† აურაცხელნი იგი ბოროტნი ჰურიათანი! წინაჲსწარმეტყუელნი თვისითა ჳელითა მოსწყდნეს, ხოლო უფლისა იესუსი მოკლვაჲ რაჲ ინე-ბეს, მთავრისადა განჩინებაჲ თანაშემწე-იყვეს. გარნა ყოველი იგი საქმე მათ ზედა იყო: იგინი იყვნეს შემასმენელნი; იგინი იყვნეს მკლველნი; მათ თქუეს: „სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენტა ზედა“.<sup>1</sup> იგინი ჰბას-რობდეს, იგინი ეკიცხევდეს, იგინი იყვნეს ერისაგანთა მათ და მსახურთა მთავრისათა მაბირებელ, მათ შეკრეს, მათ შემსჭუალეს, იგინი ჰნერწყუვი-დეს, იგინი სცემდეს. არარად ამათგანი განეგო პილატეს, არამედ ყოველსა იგინი იქმოდეს, იგინი იყვნეს მტარვალ და მგმობარ.

ხოლო ან ჩუენ ამას ყოველსა ვიკითხავთ ჟამსა მას, ოდეს ყოველნი შემოკრბენ ეკლესიადა, რაჲთა ვერ გუეტყოდინ წარმართნი, თუ: რავდენი-ცა არს ბრწყინვალე და დიდებული, ვითარ-იგი სასწაულნი და საკვრვე-ლებანი, ჰქადაგებთ ერსა ზედა, ხოლო რავდენი-ცა არს საყუედრელ, ჰფა-რავთ. ამისთვის განანესა მადლმან სულისა წმიდისამან, და დღესასწაულსა ამას დიდებულსა, ოდეს ყოველი ერი და ყოველი ჰასაკი ეკლესიადა შემო-კრბეს დიდებულსა მას ღამესა ქრისტეს ვნებისასა, მაშინ ვიკითხავთ ამას ყოველსა ბრწყინვალითა და მაღლითა ჳმითა. და ამას რაჲ ვიკითხვიდეთ, ყოველთა ჰრწამს ქრისტე ღმრთად ჰქემმარიტად, დამბადებელად ყოველ-თა. და უმეტესად ამისთვის თაყუანის-იცემების, რომელ ესოდენ ჯერ-იჩინა ჩუენტვს დამდაბლებაჲ, ვიდრელა ესევითარნი ვნებანი თავს-ისხნა, რაჲთა ჩუენ გუაცხოვნეს და რაჲთა გუასწაოს სათნოებაჲ ჰქემმარიტი.

<sup>1</sup> მათ. 27,25.

ან უკუე მარადის ამათ ქრისტეს ვნებათა ვიკითხვიდეთ, რამეთუ დიდ არს მათგან სარგებელი სულიერი. და ვინ არს იგი კაცი, რომელსა ესმას, ვითარ იკიცხეოდა და იქენჯებოდა და ელმოდა უფალსა, და არამცა ლმობიერ იქმნა, დაღაცათუ უფიცხეს ქვისა იყოს? ხოლო ისმინეთ კუალადცა საკვრველი ესე სიტყუად:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ა დ:** „და მოვიდეს ადგილსა მას თხემისასა, რომელსა ჰრქვან გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი. და მისცეს მას ძმარი ნავლლითა შეზავებული. და მი-რაჲ-ილო, არა უნდა სუმის. და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაჲთა აღესრულოს თქუ-მული წინაღსწარმეტყუელისა მიერ: განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას“ (27,33-36).

სხდეს მუნ და სცვიდეს მას, თუ ოდეს-ძი მოკუდეს. და სამოსელი მისი განიყვეს, ვითარცა კაცისა ვისმე შეურაცხისაჲ, რომლისა არავინ არნ შემ-ნე და მოზრუნავი. და არარაჲ შეემთხვა მოქმედთა მათ ამის საქმისათა, რამეთუ მიუთხრობელი იგი ძალი ქრისტესი სულგრძელ იქმნებოდა ცხო-რებისა ჩუენისათჳს. ხოლო ავაზაკთა მათ არარაჲ ესე ვითარი უყვეს მათ, არამედ ქრისტეს ოდენ ჰკადრეს. და შორის ორთა მათ ძკრისმოქმედთა ჯუარს-აცუეს, რაჲთა მათ თანა შეჰრაცხონ. „და მისცეს მას ძმარი ნავ-ლლითა შეზავებული“ შეურაცხებით, „და მი-რაჲ-ილო, არა უნდა სუმის“. ხოლო სხუად მახარებელი იტყვს: „და ოდეს მიილო, თქუა: აღსრულებულ არს ესეცა წერილი“.<sup>1</sup> – წერილი იგი, რომელი იტყვს: „მცეს მე საჭმლად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“.<sup>2</sup> ხოლო ერთ არს ამათ ორთავე მახარებელთა სიტყუად, რამეთუ ამანცა თქუა, ვითარმედ: „მიილო“, და მანცა ესევე თქუა, ვითარმედ: „მიილო“.

გარნა სიტყუათა მათ წერილისათა ვიეთნიმე ვერ კეთილად გულისწმა-ჰყოფენ; რამეთუ იტყვს მახარებელი მრავალგზის, ვითარმედ: „ესე იქმნა, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაღსწარმეტყუელისა მიერ“, ვითარცა ესერა წინამდებარესა მას სიტყუასა შინა შემოილო წამებაჲ წინაღსწარმეტ-ყუელისაგან, ვითარმედ: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზე-და განიგდეს წილი“;<sup>3</sup> და „მცეს მე საჭმლად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“.

ვიეთნიმე უკუე, ვითარცა ვთქუ, უმეცრად გულისწმა-ჰყოფენ და ჰგო-ნებენ, თუ ამისთჳს იქმნეს საქმენი იგი, რაჲთა წერილნი აღესრულნენ. და ამის გამო თქუეს, ვითარმედ: უბრალო არიანო მოქმედნი იგი ამათ საქმე-თანი ჰურიანი, რამეთუ ჰმსახურეს სიტყუათა წერილთასა; და უკუეთუმცა მათ არა ექმნა, ვითარმცა აღესრულნეს წერილნიო? უფროჲსად, რამეთუ იტყვს იოვანე მახარებელი, ვითარმედ: „ესოდენნი სასწაულნი ქმნა იესუ

<sup>1</sup> იოან. 19,30.

<sup>2</sup> ფსალმ. 68,22.

<sup>3</sup> ფსალმ. 21,19.

წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა. რაფთა სიტყუად იგი ესაია წინადასწარმეტყუელისაჲ აღესრულოს, რომელსა იტყვს: უფალო, ვის ჰრწმენა სასმენელი ჩუენი? და მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა? ამისთვის ვერ ეძლო რწმუნებაჲ მისი, რამეთუ კულად ესაია თქუა: დაუბრმეს თუალნი მათნი და დაუსულბეს გულნი მათნი, რაფთა ვერ იხილონ თუალითა და არცა გულისჴმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე იგინი“.<sup>1</sup> და იტყვან მეტყუელნი იგი ამოუბისანი: უკუეთუ ამისთვის ვერ ეძლო ჰურიათა რწმუნებაჲ, რაფთა აღესრულოს სიტყუად ესაიაჲსი, უბრალო სამე არიანო ჰურიანი; რამეთუ არა იგინი იქმნეს მიზეზ ურწმუნოებისა, არამედ სიტყუად იგი წინადასწარმეტყუელისაჲ. ხოლო ესევეითარნი ესე გულისსიტყუანი და ზრახვანი ფრიად შორს არიან ჴემმარიტებისაგან და თესლნი არიან მტერისანი. რამეთუ არცა წინადასწარმეტყუელი მიზეზი ურწმუნოებისა მათისა არს, არცა ჰურიანი უბრალო არიან, არამედ აურაცხელად ბრალეულ და უსიტყუელად დასასჯელ. რამეთუ წინადასწარმეტყუელი პირველვე ხედვიდა, რაჲ-იგი ეგულებოდა მათ ქმნად, და თქუა; ხოლო მათ ქმნეს რაჲ თვისი იგი უკეთურებაჲ, გამოაჩინეს ჴემმარიტად სიტყუად იგი წინადასწარმეტყუელისაჲ. არა თუ სიტყუასა მას წინადასწარმეტყუელისასა ჰმონებდეს, არამედ თვსთა მათ ბოროტთა ნებათა. ან უკუე არა თუ წინადასწარმეტყუელი იყო მიზეზ საქმეთა მათ, არამედ მათნი იგი ბოროტნი ნებანი, და უფროსად იგინი ექმნეს წინადასწარმეტყუელსა მიზეზ თქუმად სიტყუათა მათ, რამეთუ წინადასწარმეტყუელთა წესი არს ხედვაჲ ყოფადთა საქმეთაჲ უცთომელად.

ხოლო მიზეზ საქმეთა კაცად-კაცადისა თვისი ნებაჲ არს. და ვითარცა-იგი ჩუენ წინაშე თუალთა ჩუენთა ქმნილთა საქმეთა ვხედავთ და არა ვსცთებით, არამედ ვითარცა იქმნებოდინ, ეგრეთ ვხედავთ, და ვითარცა ვხედავთ, ეგრეთ იქმნებიან, ეგრეთვე წინადასწარმეტყუელნი მომავალთა და ყოფადთა საქმეთა ეგრეთ ხედვიდეს, ვითარცა წინაშე თუალთა მათთამცა იქმნებოდეს, და უცთომელად იტყოდეს. ამისთვის იქმნებოდეს საქმენი იგი.

არა თუ რომელ მათ თქუეს, ამისთვის აღესრულებოდეს, არამედ რომელ უეჭუელად იქმნებოდეს, ამისთვის იგინი იტყოდეს.

ვითარცა-ესე ჩუენ რომელსა ვხედვიდეთ თუალითა ჩუენითა, უეჭუელად იქმნების, რამეთუ არსთა საქმეთა ვხედავთ, არა თუ არაარსთა, ეგრეთვე წინადასწარმეტყუელნი მას ხედვიდეს და იტყოდეს, რაჲ-იგი უეჭუელად ყოფად იყო, და ამისთვის აღესრულებოდეს სიტყუანი მათნი. ხოლო უკუეთუ რაჲ-იგი ეგულებოდა ყოფად, არამცა ხედვიდეს, არამცა იყვნეს წინადასწარმეტყუელ.

ან უკუე ყოვლითურთ ესე უწყოდეთ, ვითარმედ წინადასწარმეტყუელნი არა შჯულისმდებელნი არიან მომავალთა საქმეთანი, არცა მაიძულებელ-

<sup>1</sup> იოან. 12,37-40; ესაია 53,1; ესაია 6,9-10.



ნი ნებათანი, არამედ მაუნყებელნი ოდენ არიან ყოფადთა საქმეთანი, და რაჲ-იგი უეჭუელად ყოფად იყო, თქუეს. ამისთვისა არა განმტყუვნდეს. ხოლო დაღაცათუმცა არა ეთქუა, ჰურიანი თვისსა უკეთურებასა აჩუენებდესვე, და უკუეთუმცა ჰურიანი არა იქმოდეს, არცა წინაღსწარმეტყუელნი იტყოდესმცა.

ან უკუე რომელ იტყვს იოვანე, თუ: „არა ჰრწმენა ჰურიათა, რაჲთა სიტყუად წინაღსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს“;<sup>1</sup> ნუ სიტყუასა წინაღსწარმეტყუელისასა დასდებ, კაცო, მიზეზად მათისა ურწმუნობისა, არამედ მათი იგი ურწმუნობად თქუ მიზეზად სიტყვსა მის წინაღსწარმეტყუელისა. რამეთუ რაჲ-იგი ეგულებოდა მათ ქმნად, მას ხედვიდა იგი წინაღსწარ.

და კუალად, რომელ იტყვს, თუ: ამისთვის ვერ ეძლო რწმუნებად, რაჲთა აღესრულოს, რაჲ-იგი თქუა ესაია, ნუ ამას იტყვ, თუ ჰურიათა ვერ ეძლო რწმუნებად, რამეთუ შეეძლო, უკუეთუმცა ენება; არამედ წინაღსწარმეტყუელსა ვერ ეძლო ტყუილი, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყოდა და რაჲ-იგი ყოფად იყო. ამისთვის უტყუელ იყო სიტყუად მისი.

ხოლო მახარებელი ხედვიდა უზომოსა მას უკეთურებასა ბოროტთა მათ ნებათა მათთასა და თქუა, ვითარმედ: „ვერ ეძლო“, ესე იგი არს, არა უნდა რწმუნებად; არამედ იყვნეს ურწმუნო, და აღესრულებოდა სიტყუად იგი წინაღსწარმეტყუელისაჲ. ნუ ესელა მითხრან მეტყუელთა მათ ამაოებისათა: უკუეთუ სიტყვსა მისთვის წინაღსწარმეტყუელისა ვერ ეძლო რწმუნებად და წინაღსწარმეტყუელი აყენებდა, მოციქულთა ვითარ უძღეს, და სხუათა მათ ბევრთა ვითარ შეუძღეს? ვითარცა ეტყვს იაკობ პავლეს: „ჰხედავა, ძმაო, რავდენნი ბევრნი არიან ჰურიათა შორის მორწმუნენი!“<sup>2</sup> იგინი რად არა დააყენნა სიტყუამან წინაღსწარმეტყუელისამან?

ჰხედავა, ვითარ რომელთა ენება, ჰრწმენა, ხოლო სხუანი იგი ნებსით დაბრმეს და არა ინებეს რწმუნებად, და აღესრულა სიტყუად იგი წინაღსწარმეტყუელისაჲ.

ეგრესახედ საკვრველიცა იგი შობად ქალწულისაჲ იქმნა, რამეთუ იტყვს მახარებელი: „ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაღსწარმეტყუელისა მიერ: აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“.<sup>3</sup> რამეთუ არა თუ ამისთვის იქმნა დიდებული იგი საკვრველი, რაჲთა სიტყუად წინაღსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს, არამედ ამისთვის თქუა წინაღსწარმეტყუელმან მადლითა უფლისაჲთა, რამეთუ ყოფად იყო საქმე იგი. ეგრეთვე სხუანი იგი ყოველნი წინაღსწარმეტყუელთა სიტყუანი არა თუ ამისთვის აღესრულებოდეს, რომელ მათ თქუეს, არამედ რომელ-იგი ყოფად იყვნეს ჭეშმარიტად, იგინი იტყოდეს. ეგრეთვე განყოფისათვის სამოსელთაჲსა, ვითარცა ყოფად იყო, ეგრეთცა იხილა წინაღსწარმეტყუელმან პირველვე სულისა მიერ წმიდისა და თქუა; და სიტყუად წინაღსწარმეტყუელებისა მი-

<sup>1</sup> იოან. 12,37-38.

<sup>2</sup> საქმე 21,20.

<sup>3</sup> მათ. 1,22-23.

სისაღ ალესრულეზოდა, ვითარცა იტყვს მახარებელი: „და ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რაფთა აღესრუ-ლოს თქუმული წინაღსწარმეტყუელისა მიერ, რომელსა იტყვს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“.<sup>1</sup> მათე ესრეთ მოკლედ წარმოიტყვს, ხოლო იოვანე სახესა მასცა განყოფისასა და მიზეზსა წილის-გდებისასა გუაუწყებს და იტყვს:

„ხოლო ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამო-სელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწი-ლი. ხოლო კუართი იგი იყო უკერველ, ზემოთ ქსოვილ ყოვლად, და თქუეს ურთიერთას: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, რაფთა აღესრულოს წერილი იგი“.<sup>2</sup>

საცნაურ არს ამათ სიტყუათაგან, ვითარმედ ოთხნი სადმე ხოლო ერისაგანნი მთავრისანი მივიდეს მუნ ასისთავისა მის თანა, და სხუად იგი ერი ჰურიათად იყო. იგინი იყვნეს მტარვალ, იგინი იყვნეს მტანჯველ, იგინი იყვნეს მოქმედნი ყოვლისა ბოროტისანი, და უსჯულონი იგი მღდელთმოდ-ღუარნი და მწიგნობარნი თანაჰყევბოდეს, რაფთა აღასრულონ ბოროტი იგი ნებად თვისი.

ხოლო ფრიადი სიმრავლე ერისაღ მწუხარე იყო საქმესა მას ზედა, რომელნიმე ჰრომთა და ბერძენთაგანნი და მრავალნი ჰურიათაგანნი-ცა, ვითარცა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „შეუდგა მას სიმრავლე ერისაღ და დედათად, რომელნი ჰგოდებდეს მას“.<sup>3</sup> არამედ მვეცნი იგი მძვნვარენი, მღდელნი იგი სირცხვლისანი, მვეცნი იგი სისხლისმჭამელნი ყოვლადვე არა ლმოზიერ იქმნეს. ამისთვისცა უფალმან დედათა მათ და ერსა მიუგო სიტყუად, ხოლო იგინი არღარა ღირს-ყვნა სიტყუსა, რამეთუ უკურნებელ იყო სენი მათი. რამეთუ ნებაღა მათი აღასრულეს და ჯუარსა დამოჰკი-დეს, მერმეცა ისწრაფდეს, რაფთა სახელი დიდებისა მისისაღ დაფარონ და განაქარვონ, რამეთუ ეშინოდა აღდგომისაგან მისისა. ამისთვის ავაზაკ-თა თანა ჯუარს-აცუეს და ბჭობითა მთავრისაღა ქმნეს, რაფთა ყოვლით კერძო ძვრისმოქმედისა სახელი დასდვან, ვითარცა ესერა იტყვს მახარებელი; რამეთუ კეთილ არს, რაფთა შემდგომიცა სიტყუად სახარებისაღ ვისმინოთ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და დასდვეს თავსა ზედა მისსა ბრალად მისა დაწერი-ლი: ესე არს იესუ, მეუფეჲ ჰურიათად. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორ-ნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა და ერთი მარცხენით. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: ეჰა რომელი დაჰჰსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჰსენ აწ თავი თვისი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაღ, გარდამოჰვედ მაგიერ ჯუარით! ეგრეთვე მღდელთმოდღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და სუ-

<sup>1</sup> მათ. 27,35; ფსალმ. 21,19.

<sup>2</sup> იოან. 19,23-24.

<sup>3</sup> ლუკ. 23,27.

ცესთა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უცა ცხოვნებად? უკუეთუ მეუფე ისრაჴლისაჲ არს, გარდამოჴედინ ან მაგიერ ჯუარით. უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, ივსენინ იგი, უკუეთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა: ძე ღმრთისაჲ ვარი მე. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარცუმულნი, აყუედრებდეს მას“ (27,37-44).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ნუუკუე ესმოდის ვისმე ესე ყოველი და ჰრცხუნოდის, რომელ-იგი უფალი და მაცხოვარი და მეუფე ყოველთაჲ დაისაჯა პილატეს მიერ და ჰურიათაგან ჯუარს-ეცუა, შეიკრა, იგუემა, ეკიცხევდეს და ემღერდეს და ბასრობდეს და ყოველი ძკრი და ტანჯვაჲ შეამთხვის. ამის ყოვლისათჳს ნუუკუე ვინმე მორწმუნეთაგანი კდემულ არს და თავდადრეკილ.

რამეთუ მზემანცა ვერ თავს-იდვა ხილვაჲ იგი, არამედ დაბნელდა, რათა სხუათაცა თუალნი გარემიაქცინეს ხილვისა მისგან. და არლარა ზრუნვიდა მცნებასა მას, რომელი მიელო ნათობად კაცთა, არამედ იკადრა გარდასლვად, იხილა რაჲ, ვითარ რომელმან მცნებაჲ იგი ბრძანა მეუფემან, ან კაცთაგან ევნებოდა და იტანჯებოდა.

გარნა უკუეთუ მიზეზი იგი ვისნავოთ, თუ რაჲსათჳს ვნებაჲ იგი თავს-იდვა უფალმან, არლარა გურცხუნოდის, არამედ გკკრდეს სახიერებაჲ და კაცთმოყუარებაჲ მისი და ვიქადოდით, ვითარცა პავლე, ჯუარითა ქრისტესითა. ამისთჳს მოყავთ, ძმანო, ყური თქუენი და ისმინეთ სიტყუაჲ ჩემი: რამეთუ არა თუ თავისა თვისისათჳს ევნებოდა უფალსა, „რომელმან-იგი ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა ზაკუვაჲ პირსა მისსა“,<sup>1</sup> არამედ ჩუენთჳს ელმოდა და ჩუენთჳს ევნებოდა.

რამეთუ ცოდვაჲ კაცთაჲ დიდ იყო და მრავალ, და ყოველივე სოფელი დაეპყრა ბოროტსა მას და დლითი-დღე აღორძნდებოდა და გარდაერეოდა, და სიკუდილი სუფევდა ყოველთა ზედა; ხოლო უფალი ჩუენი უკუდავ არს და უზრწნელ, ეგრეთვე სახიერ არს და კაცთმოყუარე, რამეთუ სიტყუაჲ არს სახიერი სახიერისა მამისაჲ. ამისთჳსცა არა უგულებელს-ყო წარწყმედად ნათესავი ჩუენი, არცა თავს-იდვა, რაჲთამცა დაბადებულთა მისთა სხუაჲ უფალ იყო; არამედ იხილა რაჲ უკეთურებისა იგი სიმრავლე და მოკუდავი ესე ნათესავი, ვერშემძლებელი წინააღდგომად სიკუდილისა, ვერცა შემძლებელი გარდაჯდად ტანჯვასა მას, რომელი ბოროტთა თჳსთათჳს თანადედა ბუნებასა ჩუენსა, რამეთუ დიდისა სატანჯველისა თანამდებვიყვენით, ამისთჳს შეგკნყალნა.

და ხედვიდა სახიერებასა მას მამისა თჳსისაჲს, ხედვიდა ძალსა თჳსსა და ძლიერებასა, რამეთუ ქრისტე ძალი და სიბრძნე არს ღმრთისაჲ;<sup>2</sup> შეინყალა უძღურებაჲ ჩუენი და შეიმოსა იგი. რამეთუ მან თავადმან, ვითარცა წინაღსწარმეტყუელი იტყვს, „უძღურებანი ჩუენნი აღიხუნა და სნეულე-

<sup>1</sup> ესაია 53,9; 1 პეტ. 2,22.

<sup>2</sup> 1 კორ. 1,24.

ბანი თავს-ისხნა“<sup>1</sup> და შეინყალა მოკუდავობად ჩუენი და შთაიციუა იგი, ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „დაიმდაბლა თავი თვისი ვიდრე სიკუდილადმდე, სიკუდილითა მით ჯუარისადათა“<sup>2</sup>.

და იხილა რად, ვითარმედ გარდაცდად თანანადებთა მათ ჩუენთა და სატანჯველთა შეუძლებელ ვართ, თავს-იდვა ესეცა, ვითარცა იტყვს იგივე მოციქული, ვითარმედ: „ქრისტემან გამოგვცხნა ჩუენ წყევისა მისგან შჯულისა, იქმნა რად ჩუენთვის წყევასა ქუეშე“.<sup>3</sup>

და ესრეთ კაცებისა ყოველივე შეიმოსა და მიილო და თავისა მიერ თვისისა თანანადები ჩუენი გარდაიწადა. და დაგუაგნა და შეგუანყნარნა ჩუენ მამასა, რადათა ვნებითა თვისითა უვნებელ-ყოს ვნებული ბუნება კაცთა და მცირეთა წილ დიდნი საქმენი ცვალნეს.

რამეთუ გარდამოცდა, რადათა ჩუენ ზეცად აღსლვაჲ მოგუანიჭოს; იშვა, რადათა ჩუენ მის მიერ უშობელსა მას მამასა დავეგნეთ; მოუძღურდა ჩუენთვის, რადათა ჩუენ აღვდგეთ ძალითა და ვთქუათ პავლესებრ: „ყოველივე ძალ-მიც განმადლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ“.<sup>4</sup>

მიიხუნა ჳორცინი განხრწნადნი, რადათა განხრწნადსა მას შეჰმოსოს უხრწნელებაჲ; შეიმოსა ბუნებაჲ იგი მოკუდავი, რადათა მოკუდავსა მას შეჰმოსოს უკუდავებაჲ;<sup>5</sup> მოკუდა ბუნებითა მით კაცობრივითა, რადათა ჩუენ, მოკუდავნი ესე კაცი, განვცხოველდეთ, და არღარა სუფევდეს ჩუენ ზედა ცოდვაჲ, არცა გუეუფლოსლა,<sup>6</sup> ვითარცა მოციქული ქადაგებს.

ამისთვის ჯუარს-ეცუაცა, რადათა წყევისაგან მოგვყიდნეს და კურთხევაჲ მოგუანიჭოს.<sup>7</sup> რამეთუ მას ვნებისა მისგან ჯუარ-ცუმისა არარად ევნებოდა, უფროსლა კეთილსა გვყოფდა.

და მო-რად-კუდა, არა დაშთებოდა სიკუდილსა შინა, არამედ უფროსად მკუდართა განაცხოველებდა. დაიკლვოდა, გარნა არა წარწყმდებოდა, არამედ სისხლითა თვისითა ყოველთა წარწყმედისაგან იწსნიდა, და თავადი ეგო უვნებელად.

ხოლო უკუეთუ ვინ იკითხვიდეს, თუ: ვითარ იქმნა ესე? ისმენდინ და ვიტყოდი: ორთა საქმეთა შეერთებაჲ იქმნა მის შორის. საქმეთა ვიტყვ არა თუ სწორთა, არამედ ყოვლითურთ შეუმსგავსებელთა. რამეთუ მოკუდავი უკუდავსა შეეყო, და ჳორცინი იგი ხრწნადნი უხრწნელსა მას სიტყუასა შეერთნეს; და მოკუდავი იგი არა ავნებდა უკუდავსა მას, რამეთუ უვნებელ იყო უკუდავი იგი, და უფროსლა მოკუდავიცა უვნებელ-ყო უფლებისა მისგან სიკუდილისა, რამეთუ მპყრობელნი მარადის პყრობილთა მათ უძლიერეს არიან.

ამისთვის შეერთებულისა მის ძლით უკუდავისა სიტყუსა სიკუდილი უჩინო იქმნებოდა საკვრველად მის შორის, ვითარცა ცეცხლისაგან გა-

<sup>1</sup> ესაია 53,4. <sup>2</sup> ფილიპ. 2,8. <sup>3</sup> გალ. 3,13. <sup>4</sup> ფილიპ. 4,13. <sup>5</sup> შდრ. 1კორ. 15,53-54.

<sup>6</sup> შდრ. რომ. 6,11-12. <sup>7</sup> შდრ. გალ. 3,13-14.

ნილევის ლერწამი; და უხრწნელი იგი სიტყუად სარგებელ ეყოფოდა გან-  
ხრწნადას მას შეერთებითა მისითა, რამეთუ ბნელი ნათლისაგან განათლ-  
დების, და „უდარესი იგი უმჯობესისაგან იკურთხევის“,<sup>1</sup> ვითარცა მოცი-  
ქული იტყვს.

ამისთვისა ან მტარვალთაგან განიძუარცების უფალი, რომელნი-იგი  
ჩუენ ადამის მიერ შევიმოსენით ტყავისა სამოსელნი, რაფთა შეუძლოთ მათ  
ნილ შემოსად ქრისტე.

ამისთვის განყოფადცა სამოსელთა თავს-იდვა, რაფთა ჩუენ მამისაგან  
განუყოფელი სიტყუად გუაქუნდეს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „მე და  
მამად ერთ ვართ“.<sup>2</sup>

ამისთვის კუართსაცა ზედა ნილ-იგდეს, და არა დააყენნა უფალმან,  
რაფთა ნაწილ ჩუენდა იყოს ქრისტე, ვითარცა იტყვს მეფსალმუნე: „უფალი  
ნაწილ არს მკვდრობისა ჩემისა და სასუმელისა ჩემისა“.<sup>3</sup>

და ამისთვის არა სხუასა ადგილსა ჯუარს-ეცუა, არამედ თხემისა ად-  
გილსა, სადა-იგი თქუმულ არს პირველთა ჟამთაგან, ვითარმედ საფლავი  
იყო ადამ მამისა ჩუენისა. რამეთუ შემდგომად სამოთხით გამოსლვისა,  
მო-რად-კუდა, მას ადგილსა დაეფლა. ამისთვის ჯერ-იჩინა უფალმან მას  
ადგილსა მიღებად სიკუდილისა, სადა-იგი მიილო სიკუდილმან დასაბა-  
მი უფლებისა თვისა, რაფთა დაწნადაცა მისი მასვე ადგილსა იქმნას, და  
რაფთა მუნ განაქარვოს ცოდვად ადამისი და ესრეთ აღიღოს იგი ყოვლისავე  
ნათესავისა მისისაგან.

და ვინაფთგან ესმა ადამს: „მინაჲ ხარ და მინადვე მიიქცე“,<sup>4</sup> ამისთვის  
მასვე ადგილსა დაიდვა უფალი, რაფთა პოოს მუნ ადამი და იწნასა წყე-  
ვისაგან. და მის ნილ, თუ: „მინაჲ ხარ და მინადვე მიხვდე“, ჰრქუა მას:  
„განიღძე, რომელსა-ეგე გძინავს, და აღდეგ მკუდრეთით“.<sup>5</sup> აღდეგ და  
შემომიდეგ მე, რაფთა არლარა დაიდვა მინასა შინა, არამედ აღხვდე ზე-  
ცად. და ნანდვლვე ჭემპარიტად აღდგომასა მას ქრისტესსა თანა აღდგა  
ადამიცა და ყოველი ნათესავი მისი. რამეთუ ვითარცა-იგი მო-რად-კუ-  
და ადამი, მის მიერ ჩუენ ყოველნი მოკუდავ ვიქმნენით, ეგრეთვე, აღდგა  
რად უფალი ჩუენი ჳორციითა, ყოველი ბუნებაჲ ჩუენი მის თანა აღდგა, და  
უკუდავებაჲ მოგუეცა, ვითარცა პავლე ლალადებს, ვითარმედ: „ვითარცა-  
იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველ-  
ნი ცხოელ არიან“.<sup>6</sup>

ან ვიხილოთ კუალადცა, ვითარ მიიყვანეს იგი ჯუარ-ცუმად. პირვე-  
ლად დადგა წინაშე მთავრისაო და განიკითხა მის მიერ, და მერმელა მიეცა  
ჯუარ-ცუმად. კეთილად წარმოთქუა ყოველივე მახარებელმან; რამეთუ  
თავს-იდვა ჩუენთვის განკითხვად უფალმან პილატესგან, რაფთა არა დუმი-  
ლით იქმნას საქმე იგი ვნებისა მისისა და დაიფაროს შური და უკეთურებაჲ

<sup>1</sup> ებრ. 7,7. <sup>2</sup> იოან. 10,30. <sup>3</sup> ფსალმ. 15,5. <sup>4</sup> დაბ. 3,19. <sup>5</sup> ეფეს. 5,14. <sup>6</sup> 1 კორ. 15,22.

ჰურიათაჲ, არამედ გამოჩნდეს სიბოროტე გონებათა მათთაჲ და მედგარი იგი ცილისწამებაჲ მათი.

რამეთუ უკუეთუმცა არა ქმნილ იყო განკითხვაჲ იგი უფლისაჲ, უცნაურ იყო შური იგი ჰურიათაჲ, ხოლო გან-რად-იკითხა, გამოცხადნა გულარძნილებაჲ მათი. და თვთ პილატეცა ეწამებოდა მაცხოვარსა, ვითარმედ არარად მიზეზი იპოებოდა მის თანა, არამედ წმიდა იყო ყოვლისავე ბრალისაგან, ხოლო ჰურიათა შურსა გამოაცხადებდა, „რამეთუ უწყოდო, ვითარმედ შურითა მისცეს იგი“.<sup>1</sup> ვითარმცა უკუე ეცნა მას ესე, უკუეთუმცა არა დადგომილ იყო მის წინაშე?

ჭეშმარიტად დიდი და დიდებული საქმე ქმნა მაცხოვარმან: დუმილით აღასრულებდა საქმეთა მათ, და სიტყუასა რაჲ მიუგებდა, არწმუნებდავე მსაჯულსა მას აღსაარებად შურისა მის.

რამეთუ უკუეთუმცა სიტყუას-უგებდა, ეჭუდამცა ვინ, თუ ეშინის სიკუდილისაგან; ხოლო დუმილითა სიმწნე იგი მისი და უშიშობაჲ განაკვრებდა ყოველთა, რადთა ჰრწმენეს, ვითარმედ ღმერთი არს იგი და მეუფე ყოველთაჲ.

ამისთვისცა, განიკითხებოდა რაჲ პილატესგან, ჩუენებითა შეაძრწუნა ცოლი მისი, რადთა დუმილისა მისგან უშიშობაჲ მისი გულისწმა-ყოს და ჩუენებითა მით ცნას, ვითარმედ არა კაცსა ლიტონსა, არამედ ღმერთსა განკაცებულსა განიკითხავს.

შეშინდა უკუე მსაჯული იგი წინაშე მისსა მდგომარისაგან, და უფროდსად იგი დაისჯებოდა შიშითა მისითა, არა თუმცა შემძლებელ იყო შეშინებად უფლისა. ამისთვისცა დაიბანნა ჳელნი და თქუა: „უბრალო ვარ სისხლისაგან მაგისისა“.<sup>2</sup> დაღაცათუ კუალად იძლია ცოფი იგი და უგუნური სათნოებითა ჰურიათაჲთა და თანაშეერთო ნებასა მას მათსა ბოროტსა და მისცა უფალი ჯუარ-ცუმად.

მიეცა უკუე მაცხოვარი და არა შეშინდა სიკუდილისაგან, რამეთუ ბუნებისა მის კაცობრივისა შიში ზემო აჩუენა, ოდეს-იგი იწყო მწუხარებად და ურვად და ლოცვად. ხოლო აწ ჟამი იყო ახოვნად თავს-დებისაჲ, რადთა ესეცა სახე გჳრუენოს, ვითარ გჳჳმს სიმწნე და უშიშობაჲ. ამისთვის ახოვნად განენყო სიკუდილისა მიმართ და სდევედა გუელსა მას ლტოლვილსა, რამეთუ არა ესრეთ იყო უფალი, ვითარცა სიკუდილად მიმავალი, არამედ ვითარმცა სდევნიდა სიკუდილსა. ხოლო ბოროტმან მან და უბადრუკმან ეშმაკმან იხილა რაჲ პილატე, ვითარ უფროდსად შეშინდა მსაჯული იგი, და კუალად იხილა რაჲ უფალი, ვითარ კადნიერებით განენყო სიკუდილისა მიმართ, ისწრაფდა ყოვლით კერძო გამოცდად, რადთამცა აწ ცნა, რად-იგი პირველ, მთასა ზედა გამოსცდიდა რაჲ, ვერ უძლო ცნობად, თუ იგი არს ძე ღმრთისაჲ. რამეთუ მაშინ რაჲ სირცხულეულ იქმნა, უმზირდა ჟამსა სიკუ-

<sup>1</sup> მათ. 27,18.

<sup>2</sup> მათ. 27,24.

დილისასა და ჰგონებდა, რადთამცა რომლითა ყოველნი დაიმონნა, შეუძლო მისიცა გამოცდად.

რამეთუ ეგრეთცა წერილ არს ლუკას მიერ, ვითარმედ: „აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან და განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე“.<sup>1</sup> ხოლო ესე იყო იგი ჟამი, და იცოდა მბრძოლმან მან, ვითარმედ უკუეთუ ამასცა ჟამსა მოუძღურდეს, დასათრგუნველ ყოველთა იქმნების, რამეთუ ესელა ოდენ ბრძოლად აკლდა, და სიტყვით ყოველით კერძო ძლეულ იყო. ამისთვის ყოველსავე იქმნოდა, რადთამცა ცნა, თუ იგი არს მაცხოვარი, რადთა უკუეთუ ესე დაიდასტუროს, არღარა იკადროს მიახლებად მისა, რამეთუ იცოდა თუალთშეუდგამი ძალი ღმრთეებისა მისისაჲ. ხოლო უფალი ხედვიდა მანქანებასა მისსა. ამისთვის ჰფარვიდა ღმრთეებასა თვისსა და ვითარცა კაცი იქცეოდა, რადთა არა ევლტოდის იგი, ვითარცა ღმერთსა, და წარვიდეს, არამედ მოუჭდეს მას ბრძოლად, ვითარცა კაცსა, და იქმნას იგი სამღერელ კაცთა.

და ვითარცა-რად მორკინალმან ანუ მწედარმან ახონანან, იხილის რად წინააღმდეგომი თვისი შეშინებული და ლტოლვილი, შეიმოსის სახე უძღურებისაჲ, და ესრეთ შეიტყუვის უძღური იგი და შეიპყრის ახონანან მან და ძლიერად დააკუეთის, ეგრეთვე უფალმან უძღურებითა კაცობრივითა მოიყვანა მტერი ბრძოლად თვსად და ძლიერებითა თვისითა შემეუსრა იგი და კაცი განაძლიერა მის ზედა.

ამისთვის იწყო მწუხარებად და ურვად და ილოცვიდა თანანარსლვად სასუმელი იგი და იტყოდა: „სული გულსმოდგინე არს, და ჯორცნი – უძღურ“,<sup>2</sup> რადთა ამით სახითა მოუჭდეს მბრძოლი იგი, ვითარცა კაცსა, და პოოს ძალი ღმრთეებისაჲ.

ამით სცთა მაცთური იგი. მოუჭდა უფალსა და, ხედვიდა რად ახოვნებასა მისსა, ეშინოდა. კუალად ხედვიდა უძღურებასა ჯორცთასა და შეჰკადრებდა. და ესრეთ მოცთომილ იყო და განლიგებულ, რამეთუ რადდენგზისცა მოუჭდა უფალსა, იძლია და ლტოლვილ იყო ყოველითურთ მთავრობით და ჯელმნიფებით თვისით.

ხოლო ჟამსა მას ცხოელსმყოფელისა ვნებისასა შემოიკრიბა ბილწმან მან ყოველი მწედრობად თვისი და კუალად მოუჭდა. მაშინ ყოველნივე აღძრნა უფალსა ზედა: ჰურიათა აზრახა მოკლვად; პილატე თანაშეანია, რადთა დასაჯოს; მწედარნი აბირნა, რადთა განკიცხონ. და არა იცოდა დაწყეულმან, ვითარმედ დაწსნად თავისა თვისისა მოსწრაფე იყო, რამეთუ მარადის უკეთურება ბრმა არს. არა გულისწმა-ჰყოფდა, ვითარმედ მახვლსა მას, რომელსა ლესავს, გულსა თვისსა დასობად იყო. რამეთუ ვითარცა ცეცხლი თუ აღიღოს ვინ ჯელითა და სხვსა მიაგდებდეს, პირველად თვისსა ჯელსა დასწუავს; და გუელსა თუ უპყრას ვინ მეორესა ზედა მიგდებად, პირველად

<sup>1</sup> ლუკ. 4,13.      <sup>2</sup> მათ. 26,41.

თვით მოიწყობის; ეგრეთვე უკეთურებად მოქმედთა მისთა ავნებს. და უფროსად მათ ავნებს, ვიდრელა სხუათა მათ, რომელთა მიმართ ენებოს მათ მივლინებად მისი.

ესრეთ შეემთხვა ფარაოს. თქუა: „ვდევნო, ვენიო და მოვწყვდო ისრაჲლი“.<sup>1</sup> არამედ თვით წარწყმდა ერთიურთ და მწედრებით. ეგრეთვე იქმნა გოლიათის ზე. მოკლვად ენება და მოიკლა. ეგრეთსახედვე შეემთხვა ბოროტსა მას ეშმაკსა. გამოსცდიდა რად, გამოიცადა. და აღძრნა რად ყოველნი ქრისტეს ზედა, თავი თვისი დაჰჰსნა. რამეთუ ან წარმოიტყუენა ძალი მისი და იქმნა დასათრგუნველ კაცთა. რამეთუ განიძარცუა რად უფალმან და განენყო მისა მიმართ, იქმნა საქმე იგი უხილავად საძლეველ ეშმაკისა. და მესყუელად შეჰმოსეს მას, ვითარცა იოვანე იტყვის, „ძონეული“;<sup>2</sup> და ვითარცა მათე და მარკოზ იტყვიან, „სამოსელი მენამული“;<sup>3</sup> და გვრგვნი ეკალთაგან დაადგეს თავსა მისსა; და ლერწამი მისცეს მარჯუენესა ჯელსა მისსა; და მუწლნი დაიყარნეს მის წინაშე და თაყუანის-სცემდეს მას.

ეჰა საკვრველი ახალი და დიდებული და ჭეშმარიტად სასწაული დიდისა ძლევისა! რამეთუ რომელი-იგი ვითარცა კაცი დასაჯეს სიკუდილად, მას ვითარცა ღმერთსა თაყუანის-სცემდეს; და რომელსა ეკიცხევდეს, ვითარცა უნდოსა ვისმე, მას მეუფედ აღიარებდეს; და განსძარცუეს მას ლიტონი სამოსელი და შეჰმოსეს ძონეული; და რომელსა უმეცრებით შეურაცხ-ჰყოფდეს, მას უნებლიეთ წინადასწარმეტყუელით ხადოდეს; და რომელსა სცემდეს და ემღერდეს, ძლევისა სახესა მისცემდეს მას: მენამულსა სამოსელსა და ეკალთაგან გვრგვნსა და ლერწამსა. რამეთუ დალაცათუ ამას ყოველსა ბასრობით იქმოდეს, არამედ უმეცარ იყვნეს, ვითარ უნებლიეთ ძლევითშემოსილობასა მისსა აღიარებდეს.

რამეთუ შეგინებულ იყო ქუეყანად ცოდვითა ეშმაკისა მიერ და შებლაღულ იყო სისხლითა. პირველად, აღალო რად პირი თვისი და შეინყნარა სისხლი აბელ მართლისა, და მერმე, იწყეს რად კაცთა სისხლისა სისხლთა ზედა დართვად, განეფინა ქუეყანასა ზედა წყევად და სიცრუე, პარვად და მრუშებად და კაცის-კლვად, და ამისთვის დაწყეულ იყო ქუეყანად. რამეთუ თქუა ღმერთმან: „წყეულ იყავნ ქუეყანად, რომელმან აღალო პირი თვისი შეწყნარებად სისხლსა აბელის, ძმისა შენისა“.<sup>4</sup>

და კუალად პირველ, გარდასლვასა მას ადამისსა, დაწყევა იგი მეუფემან და თქუა: „წყეულ იყავნ ქუეყანად საქმეთა შინა შენთა, მნუხარებით სჭამდე პურსა შენსა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს შენ“.<sup>5</sup>

და ესრეთ ყოველივე სოფელი სავსე იყო სისხლითა და ეკლითა წყევლისა მისგან, და ესე ჯელითწერილი აქუნდა მტერსა. ამისთვის მაღლოოდა

<sup>1</sup> შდრ. გამ. 15,9. <sup>2</sup> იოან. 19,2. <sup>3</sup> მათ. 27,28; მარკ. 15,17. <sup>4</sup> დაბ. 4,11. <sup>5</sup> დაბ. 3,17-18.



ყოველთა ზედა და ლალად მძლავრობდა, ვითარცა ტყუეთა ზედა თვსთა. ამისთვის წარმოტყუენა იგი უფალმან ყოვლისა მისგან. და მი-რად-ვიდო-და სიკუდილდ, ესე ყოველი მიიღო, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ არა ცუდად, არამედ ცხორებისათვის ჩუენისა თავს-იდვა ყოველივე იგი. მაშინ უკუე სისხლნი იგი, რომლითა სოფელი შებლალულ იყო, მენამულსა მას სა-მოსელსა ეტკრთენს, და ეკალნი – გვრგვნსა მას ეკლისასა, ხოლო ჳელის-წერილი ჩუენთა ცოდვათად – ლერწამსა მას, რომელი მისცეს; რადთა სიკუ-დილსა თანა ესე ყოველიცა განაქარვოს და სოფელი წმიდა-ყოს და ეკლისა წილ მოგუცეს ძელი ცხორებისად, ხოლო სისხლთა მათ წილ ბილწებისათა თვსითა სისხლითა წმიდა-ყოს ქუეყანად. და წყევისა წილ მოგუანიჭოს ნე-ტარებად მყოფთა ქუეყანისათა, ვითარცა იტყვს: „ნეტარ იყვნენ მშკდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანად“.<sup>1</sup> რამეთუ სისხლნი იგი, რომლითა ქუეყანად შეგუებლალა ჩუენ, აღიხუნა და თვისი პატიოსანი სისხლი გარ-დამოადინა მას ზედა, რადთა ეკალთა წილ აღმოაცენოს მას შინა ცხორე-ბად და მშკდობად და ყოველნივე კეთილნი, რომლისათვისცა წინადაწარმეტ-ყუელი იტყოდა: „მრწმენა მე ხილვად კეთილი უფლისად ქუეყანასა მას ცხოელთასა“.<sup>2</sup>

და სხვსაცა პირისათვის დაიდვა გვრგვნი იგი ეკლისად უფალმან ჩუენ-მან, რადთა ზრუნვანი ცხორებისა ამის ჩუენისანი განაქარვენს. რამეთუ მიყარნა მტერმან მან მზაკუვარმან ზრუნვანი ჩუენნი მის ზედა; და არა უნ-ყოდა, ვითარმედ იტკრთენს რად იგინი უფალმან, ყოველთავე უზრუნველ-ჰყოფს მანქანებათაგან მისთა, რადთა თესლი იგი სიტყვსად თავისუფალ იქმნას ეკალთაგან, ხოლო ჩუენ შემთობისა მისგან ზრუნვათადას აზნაურე-ბად მოვიგოთ. რამეთუ თავადსა ჩუენთვის ელმოდა და ჩუენთვის იურვოდა, რადთა ჩუენ არლარა გუელმოდის, არცა ვიურვოდით ულონობისაგან.

ხოლო ლერწამი იგი ამისთვის მოიღო მათგან უფალმან, რადთა მით მოაკუდინოს გუელი იგი მზაკუვარი, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: ლერწამი მაკუდინებელ არს გუელთა. ვინაფთგან უკუე უფალი საბაოთ, ვი-თარცა ესაია იტყვს, სდევნიდა გუელსა მას ვეშაჰსა დიდსა, ეშმაკსა მას მზაკუვარსა,<sup>3</sup> ამისთვის ლერწამი იგი მიიღო მარჯუენესა თვსსა, რადთა მო-აკუდინოს ბოროტი იგი და განაძლიერნეს კაცნი მის ზედა. და ვითარცა-იგი დავით ქმნა, მოსტაცა მახვლი გოლიათსა და წარჰკუეთა თავი მისი, ეგრეთვე ან ქმნა მაცხოვარმან. მიიღო ლერწამი მათგან, რადთა არა ჩუენ ოდენ განგუათავისუფლენს საცთურთაგან, არამედ გუელიცა იგი მოაკუ-დინოს ლერწმითა მით.

ესრეთ უკუე იხილა რად უბადრუკმან მან თავი თვისი მოუძღურებული სიქადულისაგან თვსისა და ვითარ განიდევნებოდა ქუეყანით, და ქუეყანად განწმდებოდა სისხლთაგან და ეკალთა, და ვითარ წარწყმიდა ჳელითნე-

<sup>1</sup> მათ. 5,5.

<sup>2</sup> ფსალმ. 26,13.

<sup>3</sup> ესაია 27,1.

რილი ჩუენი და ლერნამი, რომლითა წერდა ბოროტთა ჩუენთა, შეჰკადრა კუალად შეუკადრებელსა, რაითა უმეტესად მოწყლას თავი თვისი. რამეთუ პირველად, ესმოდა რად, თუ: „სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჴორცინი – უძლურ“<sup>1</sup>, ჰგონებდა, თუ სიტყუაჲცა ჴორცთა თანა უძლურ არს, და არა იცოდა, ვითარმედ უფროსად ძალითა მით სიტყუასაჲთა ჴორცინიცა განძლიერდებოდეს.

ამისთვის, ვითარცა ვთქუ, აბირნა მვედარნი იგი უფლისა ბრძოლად; და შეჰმოსეს მას მენამული იგი და გვრგვნი ეკლისად და ლერნამი მისცეს ჴელსა მისსა. და დაჰჴსნა სასჯელი იგი ეკალთად ჩუენგან და სისხლთაგან შებლალულებად განაქარვა და თავისუფლებად დაგვწერა და გუელი იგი მოკლა.

კუალად უკუე აღიღეს გვრგვნი იგი ეკალთად და მენამული სამოსელი. ჰგონებდა ეშმაკი, თუ კუალად აქუნდეს ძალი თვისი, არამედ არღარა აქუნდა, რამეთუ ნიხნიდა ეკალთა მათ ფერჴითა თვისითა და უფროსად მოიწყლოდა, არა თუ მოსწყლიდა.

და რომელნი-იგი აღძრნა მაცხოვარსა ზედა, იგინი მის ზედა აღიჭურნეს, რამეთუ მოიღეს ლერნამი იგი უფლისაგან და ჰგონებდეს, თუ სცემენ მას, არამედ ეშმაკსა სცემდეს, რომელმან აბირნა იგინი, და თავთა თვისთა ავნებდეს, არა თუ უფალსა. რამეთუ ვითარცა-რად კლდესა თუ სცემდეს ვინ ჴელითა თვისითა, კლდესა მას ვერ შეჰმუსრავს, ხოლო ჴელსა მოიწყლავს, ეგრეთვე რომელნი-იგი უფალსა ჰბრძოდეს, თავთა თვისთა შეჰმუსრვიდეს და მას ვერარას ავნებდეს, და იქმნებოდა ესე სრულიად სირცხვლად მტერისა.

რამეთუ უკუეთუმცა უფალი სცემდა მას, ჴელ-ენიფებოდამცა მას სიქადული, ხოლო რომელი-იგი მსახურთა თვისთა მიერ იცემებოდა, ესე უმეტეს იყო ყოვლისა სირცხვლისა. გარნა არა თუ მათმიერი იგი ნყლულებად მოაკუდინებდა ეშმაკსა, რამეთუ ვერად ეძლო კაცთა მათ მტარვალთა, არამედ ძალი უფლისად მოსწყლიდა მას და შეჰმუსრვიდა. და ძლიერებად, რომელი ჴელისაგან მაცხოვრისა შევიდა ლერნამსა მას, იგი ჴელითა მსახურთა მათ მტერისათა შეჰმუსრვიდა მას. რამეთუ ესე სახედ ქმნა უფალმან და კაცებისა ბუნებად წინაუყო, რაითა სცემდენ, ვითარცა კაცსა. არამედ მისითა მით ცემითა გუელსა მას მზაკუვარსა სცემდა ჴელითა მტარვალთაჲთა.

რამეთუ რომელი-იგი ოდესმე იქადოდა სწორ ღმრთისა ყოფად, სირცხვლეულ იქმნას ჴელითა მტარვალთაჲთა ცემული. ხოლო შეემთხუეოდა მას ესე წინააღმდეგომად თვისისა განზრახვისა, რამეთუ მან აღძრა ერი იგი ჰურიითაჲ, რაითა ჴმობდენ და ლალადებდენ შესმენად უფლისა, ვითარცა იტყვს ლუკა მახარებელი, ვითარმედ: „ზედადაესხმოდეს მას ჴმითა დი-

<sup>1</sup> მათ. 26,41.

დითა და გამოითხოვდეს მას ჯუარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს ჳმანი მათნი და მღღელთმოდღუართანი“.<sup>1</sup> ხოლო უფალმან დუმილი შემოიღო წინააღმდეგომად ჳმათა მათთა და დაჰჳსნა მისი იგი ღონე.

მზაკუფარმან მან განაფიცხა პილატე, რადთამცა შეაშინა უფალი, და არა უწყოდა, ვითარმედ უშიშობითა განაქარვებს ჳელოვნებასა მისსა უფალი.

აღძრა უგუნური იგი მთავარი ცემად უფლისა, ხოლო ქრისტემან ძკრუჳსენებლობად წინაუყო და მძლე ექმნა.

და რასა მრავალსა ვიტყოდი, ყოველივე ღონე სიბოროტისა და უკეთურებისა მისისად აჩუენა ბრძოლად მაცხოვრისა, და არა ხედვიდა ბრმად იგი, ვითარმედ სათნობასა აღსჭურავს თჳსთა მათ უკეთურებათა ზედა.

რამეთუ მტერი ყოველსა ბოროტსა ზედა მოხარულ არს, და რადცა ბოროტი არს, საჭურველი არს იგი საეშმაკოდ. ამისთჳს დაარწმუნებს იგი კაცთა ბოროტისმყოფელთა მათთა ბოროტის-ყოფად, რადთა შთაყარნეს ცოდვასა. ხოლო უფალმან ყოველივე დაითმინა, რადთა გუასნაოს შიშისა წინაგანწყობად სიმწნითა, და გინებათა ანუ შეურაცხებათა – ძკრუჳსენებლობითა, გულისწყრომასა – სიმშჳდითა, და ყოველსავე უკეთურებასა – წინააღმდეგომითა მისითა სათნოებითა.

რამეთუ ამას პირველითგანვე ასწავლიდა ყოველთა და ეტყოდა: „რომელმან გცეს ყურიმალსა მარჯუენესა, მიუჰყარ ერთკერძოცა. და რომელსა უნდეს მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“.<sup>2</sup> „გიყუარდედ მტერნი თქუენნი, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა, აკურთხევდით მწყევართა თქუენთა“.<sup>3</sup> და სხუად ესევეთარი მრავალი ბრძანა.

ხოლო რადთა არა თქუან ვიეთმე, თუ: შეუძლებელ არს ამათ მცნებათა აღსრულებად, ამისთჳს თავით თჳსით აღასრულა უფალმან ყოველივე, რადთა გუასნაოს ბოროტისმყოფელთა ჩუენთა არა ყოფად ბოროტისა, არცა განრისხებად, არცა შიშად სიკუდილისაგან, არამედ უფროხსად შეურაცხ-ყოფად მისა სასოებითა მით მერმეთა კეთილთადთა.

რამეთუ ესრეთ იქმნების ძლევად ღონეთა მტერისათად, ვიდრელა ოდეს ნაცვალისა ყოფად ვისწრაფდეთ. რამეთუ ოდეს ნაცვლისა ქმნად განვემზადნეთ და მაგინებელთა ჩუენთა ვაგინებდეთ და მავნებელთა ვავნებდეთ, მაშინ უფროხსად აღვაორძინებთ და განვაფიცებთ ჩუენ ზედა უკეთურებასა და უმეტესლა თავთა თჳსთა ვავნებთ, ვიდრელა მტერთა ჩუენთა, რამეთუ შთავარდებით სასჯელსა ძკრის-ჳსენებისასა. ხოლო ოდეს მსგავსად უფლისა მოვითმინოთ ყოველი უსამართლოდ ვნებად და ბოროტისმყოფელთა ძკრუჳსენებლობად წინააღუდგინოთ, და მტანჯველთა ჩუენთა – სიმწნე, სიკუდილსა – სასოებად აღდგომისად, მაშინ მძლე ვექმნებით ეშმაკსა და დავაკუეთებთ მას, ვითარცა მაცხოვარმან და უფალმან ჩუენმან ქმნა და მოთმინებითა დაამჳჯა ძალი მტერისად და ესე სახე მოგუცა საჭურველად,

<sup>1</sup> ლუკ. 23,23.

<sup>2</sup> მათ. 5,39-40.

<sup>3</sup> მათ. 5,44.

ვითარცა იტყვს მოციქული: „შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისად, რადთა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა“.<sup>1</sup>

ესრეთ უკუე აჩუენა რად უფალმან ახოვნებად შუენიერი და დასცა მტერი იგი ჩუენი, მერმე დასდევს მას ზედა ჯუარი სასწაულად ძლევისა ჭემმარიტად, რადთა უნებლიეთ აღიარონ უკეთურთა მათ, ვითარმედ მან მიილო ძლევად. რამეთუ ვიდრემდის მტერი იგი დგა, აქუნდა ძელი მტარვალთა, ხოლო ოდეს იგი დაეცა და შეიმუსრა, მაშინ საძლეველი იგი აღილო უფალმან და თავადმან იტკრთა.

ხოლო ჯერ-იყო, რადთა საძლეველი იგი არა სხუასა აქუნდეს, არამედ მძლესა მას ახოვანსა.

ხოლო მი-რად-ვიდოდა სიკუდილად, საძლეველსა მას თანა მიილო სამოსელიცა თვისი, რადთა იგიცა სიკუდილსა თანა განიძუარცოს. ამისთვის შეიმოსა იგი და განვიდოდა ჯუარ-ცუმად.

ხოლო წარიყვანეს რად ჯუარ-ცუმად, ეკიდა მას თვთ ჯუარი თვისი, ვითარცა იოვანე იტყვს, ხოლო სხუანი მახარებელნი იტყვან, ვითარმედ სკმონ კკრინელსა ეტკრთა ჯუარი. და არა წინააღუდეგებიან იგინი იოვანეს, არცა იოვანე სხუათა მათ, არამედ ორივე იქმნა, რამეთუ თავადმანცა უფალმან იტკრთა ჯუარი თვისი, და კუალად კაცმან მანცა სიმონ აღილო იგი.

ვითარცა საძლეველი ეშმაკისა მიმართ ეკიდა მას პირველად თვთ; და რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ თავით თვისით და არა იძულებით მივიდოდა სიკუდილად.

და კუალად სიმონ კაცმან აღილო იგი, რადთა საცნაურ იქმნას ყოველთა, ვითარმედ სიკუდილითა მით კაცთადთა მოკუდებოდა უფალი, არა თავისა თვისისადთა. ესე იგი არს, კაცთა თანანადებსა გარდაიწვიდა, არა თავისა თვისისასა. ესე ყოველი რად იქმნა, მოვიდა მოსწრაფებით ადგილსა მას, სადა-იგი ჯერ-იყო აღსლვად მისი ძელსა, რადთა ჴელისწერილი ჩუენი, რომელი მიილო მტერთაგან, შემსჭუალოს ჯუარსა; და განძარცუნეს მთავრობანი და ჴელმწიფებანი კადნიერებით და განაქიქნეს ძელსა ზედა. და სახილველ-ყოს კაცი იგი, რომელი გამოსტაცა პირისაგან ვეშაპისა მის, და აპკუროს სისხლითა თვისითა და წმიდა-ყოს ქუეყანად. ხოლო ესე რად ეგულებოდა ქმნად, აღიძარცუნა სამოსელნი თვისნი.

რამეთუ ჯერვე ესრეთ იყო, რადთა შეიყვანებდეს რად კაცსა სამოთხედ, განსძუარცნეს სამოსელნი იგი ტყავისანი, რომელნი მიიხუნა ადამ, გამოვარდა რად სამოთხით და მოკუდავ იქმნა. რადთა იყვნენ იგინი სახედ სიკუდილისა მის, რომელი ცოდვისა მიერ შეემთხვა. ხოლო უფალმან, რომელმან ყოველივე ბუნებად ჩუენი მიილო თვნიერ ცოდვისა, შეიმოსა ესე სამოსელი, რადთა განიძუარცოს და განმძუარცნეს ჩუენ ტყავისა იგი სამოსელნი და მათ წილ შეგუმოსოს ცხორებად და უხრწნელებად.

<sup>1</sup> ეფეს. 6,11.

და შეიმოსა სამოსელთა მათ თვსთა თანა კუარტიცა იგი უკერველი, ზემოდთ ქსოვილი ყოვლად, და აღიუარცა იგი, აღვიდოდა რად ჯუარად, რადთა ჰრწმენეს ჰურიათა, თუ ვინ არს ანუ ვინად, რომელსა ესე ჰმოსიეს. რამეთუ არა კაცი ლიტონი იყო, არამედ სიტყუად, ზეცით მოსრული, რომელმან შეიმოსა კაცებად. და ვითარმედ არა განიყოფის, არამედ განუყოფელ არს მამისაგან. და ვითარმედ კაც იქმნა რად, არა აქუნდეს ჯორცნი კერულნი მამაკაცისაგან და დედაკაცისა, არამედ ქალწულისაგან ხოლო, ქსოვილნი ჴელოვნებითა მით სულისა წმიდისადათა.

ამისთვისცა მტარვალთა მათ სხუად იგი სამოსელი განიყვეს, რამეთუ განყოფილნი იყვნეს. და ყვეს იგი ოთხად ნაწილად, რამეთუ ოთხკერძოთა მათ ცოდვათათვს სოფლისათა ეცუნეს იგი უფალსა: აღმოსავალისა, დასავალისა, ჩრდილოდსა და სამხრისა. რომელი-იგი იხილა იოვანე შემოსილი და თქუა: „აჰა ტარიგი ღმრთისად, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“.<sup>1</sup> ხოლო კუართისა მის განხევად ვერ იკადრეს შიშისაგან სასწაულისა მის, რომელსა იგი მოასწავებდა.

და ესე საქმე არა მათი იყო, არამედ ჯუარცუმულისა მის მაცხოვრისად, რომელი-იგი ვითარცა კაცი ეკიდა ძელსა, ხოლო ძალითა ღმრთეებისადათა სდევდა ეშმაკსა და მთავრობათა მათ და ჴელმწიფებათა მისთა და ენეოდა და განაქარვებდა ძალსა მისსა, ხოლო მტარვალთა მათ შეაშინებდა, რადთა ვერ განკუეთონ კუართი მისი, არამედ რადთა ეგოს იგი სამხილებელად ჰურიათა, რადთა ჰრცხუნოდის მათ და ემხილებოდის, ვითარმედ კრეტსაბმელი იგი ტაძრისად განიპო, ხოლო კუართი მაცხოვრისად განუკუეთელად ეგო, და ვერ განკუეთეს იგი მტარვალთა მათ.

იგი სახე იყო ამისცა საქმისად, ვითარმედ ჰგიეს სახარებად მარადის განუკუეთელად, ხოლო აჩრდილნი იგი განიკუეთნეს. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

აღიუარცნა რად უფალმან სამოსელნი და განენყო სიკუდილისა მიმართ, ხედვიდა ეშმაკი გულსმოდგინებასა მას მაცხოვრისასა. ხედვიდა კუალად თავსა თვსსა, ზეცით გარდამოვრდომილსა და ქუეყანისაგან ოტებულსა. ცნა, ვითარმედ იძლია მისგან და სრულიად ტყუე იქმნა, და ულონობასა შინა იყო, დადგომად ვერ ეძლო და სივლტოლად ეშინოდა. მაშინ მოიგონა, ვითარმედ მიწისაგანნი მო-რად-კუდენ, მიწადვე მიიქცევიან, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მიწად ხარ და მიწადვე მიიქცე“.<sup>2</sup> ამისთვის ეშინოდა ქუეყანასა შინა ყოფად, ნუჴკუე ეწიოს მას უფალი და შეიპყრას. დაეღია ადგილი სივლტოლისად და ჰაერთა შინა ფრინვიდა, რადთა საუფლოდ იგი გუამი დაიდვას რად ქუეყანასა შინა, მას აქუნდეს ჰაერი თავისუფლებით.

ხოლო უფალმან ამასცა ზედა აჩუენა კაცთმოყუარებად თვსი და არა მიიღო სიკუდილი ქუეყანასა ზედა, არამედ აღვიდა ჯუარითა ჰაერად,

<sup>1</sup> იოან. 1,29.      <sup>2</sup> დაბ. 3,19.

რათა მიერცა განდევნოს გუელი იგი, მთავარი ბნელისად, და სულნი იგი უკეთურებისანი დაამწყუნეს. გარნა არავე დაუტევა ქუეყანად უკურნებელად.

რამეთუ დამოეკიდა რად ჯუარსა, ჰაერი წმიდა-ყო განპყრობითა ჴელთათა, ხოლო ქუეყანად განბანა სისხლითა მით და წყლითა ცხოელსმყოფელისა გუერდისა მისისათა.

ესე რად ესრეთ აღესრულა, უმეტესად უღონო იქმნა მაცთური. ზეცით გარდამოვრდომილ იყო, ქუეყანით ოტებულ იყო, ჰაერთაგან განდევნილ იყო და დიდსა სირცხვლსა შინა იყო, რამეთუ ფრიად იქადოდა და სრულიად მოუძღურდა.

ვინათგან უკუე ყოველგნით დევნულ იყო და განქიქებულ და განთრეულ, განიზრახა, რათა ბარე ჯოჯობხეთი დაიცვას, რამეთუ იგილა ოდენ დაპრჩომოდა, გარნა იწინვოდა, ნუუკუე მუნცა მივიდეს უფალი და განდევნოს და ყოველნი იგი მუნ შეყენებულნი განათავისუფლნეს. ამისთვის თითოსახეთა ღონეთა იქმოდა და მრავალთა შემწეთა მოიპოებდა, რათამცა არა მივიდა მკუდართა თანა უფალი. რამეთუ იწყო ცნობად, ვითარმედ იგი არს, რომლისათვის წერილ არს: „აწდა მალალსა, წარმოცყუნა ტყუე და მისცა ნიჭები კაცთა“.<sup>1</sup>

ამისთვის კუალად აღძრნა ჰურიანი კიცხევად და ყუედრებად უფლისა; და ეტყოდეს: „ეჰა რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ ან თავი თჴსი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისად, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით!“<sup>2</sup> და სხუასა მრავალსა ესევეთარსა იტყოდეს, რავდენსაცა ეშმაკი მოაგონებდა, რათამცა ყუედრებათა მათათვის გარდამოჴდამცა უფალი მაგიერ ჯუარით და არამცა მივიდა მკუდართა თანა, რათა ესრეთ დაშთეს მტერსა ჴელმწიფებად მკუდართად.

ხოლო მაცხოვარსა და ჴემმარიტად ძესა ღმრთისასა არა სივლტოლითა სიკუდილისაგან, არამედ სიკუდილისა მიერ და ჯუარისა დათრგუნვითა სიკუდილისათა ენება გამოჩინებად, ვითარმედ ძე ღმრთისად არს და ცხორებად ჴემმარიტი.

რამეთუ ჴელ-ენიფებოდა გარდამოსლვად ჯუარით, რომელმან-იგი აურაცხელნი მკუდარნი აღადგინნა. არამედ გარდამოსლვად ჯუარით სივლტოლასა აჩუენებდა სიკუდილისაგან, ხოლო დადგრომად ჯუარსა ზედა წამებდა, ვითარმედ იგი არს ცხორებად ჴემმარიტი.

კუალად უკუე აღძრნა მზაკუვარმან მღდელთმოდღუარნიცა და ფარისეველნი, და იტყოდეს: „გარდამოჴედინ ან მაგიერ ჯუარით, და გურწმენეს იგი. სხუანი აცხოვნნა, თავი თჴსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად“.<sup>3</sup>

ხოლო არა თუ სარწმუნოებად მოსლვად მათი უნდა მოძღუარსა მას ურწმუნოებისასა და მასწავლელსა წარწყმედისასა, არცა ცნობად უნდა, თუ

<sup>1</sup> ფსალმ. 67,19.    <sup>2</sup> მათ. 27,40.    <sup>3</sup> მათ. 27,42.

ძალ-უც უფალსა თავისა თვისსა ცხოვნებად, რომელმან-იგი სხუანი აცხოვნა, არამედ რადთა ამათ სიტყუათა მიერ, და უფროდსად, რომელ იტყოდეს იგინი, თუ: „გარდამოწვედინ ჯუარით, და გურნმენეს იგი“, გარდამოწამცა უფალი ჯუარით და არამცა მიიღო სიკუდილი, არცამცა მივიდა ჯოჯოხეთად.

ხოლო უფალმან, ჭეშმარიტად მაცხოვარმან, რომელი არა თვისსა ეძიებდა, არამედ ჩუენსა, არა გარდამოსლვითა ჯუარით ინება გამოჩინებად მაცხოვარებად თვისი, არამედ გამოწსნითა ჩუენითა კრულებათაგან ჯოჯოხეთისათა.

რამეთუ მკურნალიცა არა ამისგან გამოჩნდის წელოვნად, უკუეთუ თვთ მრთელად იყოს, არამედ უკუეთუ უძლურნი განკურნნეს; და მზემან არა ამით გამოაჩინის ბრწყინვალებად თვისი, რადთამცა თავსა შორის თვისსა შეაყენა ნათელი, არამედ რაჟამს სოფელსა მიჰფინის ნათელი და ბნელი განაქარვის.

ეგრეთვე უფალი არა თავისა თვისსა ცხოვნებასა აჩუენებდა, რამეთუ მას ცხოვრებად არა უწმდა, თვთ მაცხოვარი იყო და წყაროდ ცხოვრებისად, არამედ სხუათა ცხოვრებითა აჩუენებდა მაცხოვარებასა თვისსა; და არა გარდამოსლვითა ჯუარით, არამედ ჯუარსა ზედა გამოაჩინებდა, ვითარმედ ძე ღმრთისად არს, რამეთუ სიკუდილითა თვისითა ყოველნი აცხოვნა და სარწმუნოებად მოიყვანა.

მაშინ უკუე, იყო რად ჯერეთ ძელსა ზედა, საფლავნი განეხუნეს, და მკუდარნი აღდგეს, და ავაზაკსა ჰრწმენა, რადთა გამოჩნდეს, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტად მაცხოვარი ყოველთად.

ხოლო ეშმაკმან იხილა რად, ვითარმედ ავაზაკიცა გამოსტაცა უფალმან წელთაგან მისთა ჯუარსავე ზედა, უმეტესად შეძრწუნდა და უღონო იქმნა. რამეთუ ხედვიდა, ვითარმედ შებღალული იგი სისხლითა ავაზაკობისადთა, რომელი პირველ მგმობარ იყო, მორწმუნე იქმნა, და მეორესა მასცა ავაზაკსა აბრალობდა, და უფროდსა ეშმაკსა, რომელი პირითა მის ავაზაკისადთა ზრახვიდა. განცკბრებულ იყო ამას ზედა მაცთური იგი, ბილწი და მყრალი. რამეთუ ყოველივე საჭურველი მისი და მახვლი, რომლითა ჰბრძოდა უფალსა, უწმარ იქმნა, ვითარცა წერილ არს: „მტერისა მახვლსა მოაკლდა სრულიად, და ქალაქნი მისნი აღოწრდეს“.<sup>1</sup>

მაშინ უღონომან მან და უძლურმან ესეცა მოიპოვა ღონე და აღძრა მსახურნი იგი თვისნი, რადთამცა ასუეს უფალსა ძმარი ნავლლითა განზავებულნი; და არა იცოდა ცოფმან მან, ვითარმედ ამასცა საენებელად თავისა თვისსა იქმნა. რამეთუ სიმწარე იგი რისხვისად მის, რომელი მოიწია ჩუენ ზედა გარდასლვითა მით მცნებისადთა, რომლისა მიერ ყოველთა ზედა იქადოდა, მისცა მაცხოვარსა წელითა მით მტარვალთადათა.

<sup>1</sup> ფსალმ. 9,7.

ხოლო ტკბილმან მან უფალმან მიიღო იგი და განაქარვა და ძმრისა წილ გვწდია ჩუენ ღვთისა იგი, რომელი სიბრძნემან განზავა ტაკუკთა შინა თვსთა,<sup>1</sup> ხოლო ნაველისა წილ მოგუმადღნა სიტყუანი თვსნი, რომელნი უტკბილეს არიან უფროდს თაფლისა მის გოლეულისა. რამეთუ ვინაფთგან მან მიიღო სიმნარე ჩუენი, გუეტყვს ჩუენ: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“.<sup>2</sup>

ხოლო ვითარცა ამისცა ღონისაგან ცარიელი დაშთა ეშმაკი, და ჴელოვნებად მისი ამო იქმნა, და ცნა უმეტესადრე, ვითარმედ არა კაცისა მიმართ არს ბრძოლად მისი, არამედ ღმრთისა განკაცებულისა, განიზრახა სრულიად სივლტოლად, რამეთუ შურდა ცხორებად კაცთად მოშურნესა მას. მაშინ უფალმან, მაცხოვარმან ყოველთამან, არა ინება, რადთამცა განერა მტერი იგი, და დაშთესმცა სულნი ჯოჯოხეთს შეყენებულნი, არამედ საკვრველად ჴელთ-იგდო იგი. რამეთუ იხილა რად, ვითარმედ ივლტის შეძრწუნებული, კუალად კაცობრივთა სიტყუათა იტყოდა, ვითარცა გუასნავებს მახარებელი, ვითარმედ:

„ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი! ღიმა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რადსათვს დამიტყვებ მე?“<sup>3</sup>

ესე ამისთვს თქუა, რადთა ეშმაკი კუალად იჭუეულ იქმნას, და რომლისაგან ძრწოდა და იტყოდა, ვითარმედ: ღმერთი არს, შეჴრაცხოს კაცად უძღურად და არა ივლტოდის ამის ჴმისაგან. სცთა ყოვლადბოროტი იგი და კუალად ვითარცა კაცსა მოუჴდა. მაშინ სრულიად დაეკუეთა და წარწყმდა.

რამეთუ მიიღო რად უფალმან სასუმელი სიკუდილისაჲ, და უგუმირეს ლახურითა გუერდსა მას ცხოელსმყოფელსა, რომლისაგან გარდამოჴდა სისხლი და წყალი (რადთა ვითარცა პირველ შემოვიდა საცთური დედაკაცისა მისგან, ადამის გუერდით დაბადებულისაჲთ, ეგრეთვე გუერდისაგან მეორისა ადამისა გამოჴდეს ცხორებად და საჴსარი პირველისაჲ მის, რამეთუ სისხლი იგი საჴსარი იყო, ხოლო წყალი – განსანმედელი), მაშინ წარწყმდა სრულიად მტერი იგი ბოროტი; რამეთუ მოკუდა უფალი ბუნებითა მით კაცობრივითა, და ეშმაკი წარმოიტყუენა და მკუდარ იქმნა. ჴგონებდა, რადთა ეუფლოს, ვითარცა კაცსა, და შეიმუსრა ძალი მისი, და ყოველთა გულისჴმა-ყვეს ღმრთეებად უფლისა ჩუენისაჲ. რამეთუ მო-რად-კუდა ჴორციითა, მეყსეულად მზე დაბნელდა, და კრეტსაბმელი განიპო ტაძრისაჲ მის, და ქუეყანაჲ შეიძრა, და კლდენი განსთქდეს, საფლავნი აღეხუნეს, მკუდარნი აღდგეს, მჴედარნი შეშინდეს, მეკარენი ჯოჯოხეთისანი შეძრწუნდეს, და საცნაურ იქმნა, ვითარმედ უჴარცუმული იგი არა კაცი იყო ღიტიონი, არმედ ღმერთი განჴორციელებული. ამისთვსცა, რომელნი-იგი ხედვიდეს, იტყოდეს: „ჴემმარითად ძე ღმრთისაჲ იყო ესე“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> იგავ. 9,5.

<sup>2</sup> ფსალმ. 33,9.

<sup>3</sup> მათ. 27,46; მარკ. 15,34.

<sup>4</sup> მათ. 27,54.



იხილეთა, ვითარ ბრმა არს უკეთური იგი მტერი? ერთისა მოკლვად განიზრახა, და ყოველნი მოაკლდეს მისგან.

ჰგონებდა ერთისა ჯოჯოხეთს შთაყვანებად და განიდეგნა ჳელმნიფე-ბისაგან ჯოჯოხეთისა. და ცნეს ყოველთა, ვითარმედ არა უძლურებითა ბუნებისაჲთა მოკუდა უფალი, არამედ რაჲთა შემუსროს და განაქარვოს სიკუდილი და „რომელსა-იგი ჳელმნიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ“, ვითარ-ცა მოციქული იტყვს, „ესე იგი არს ეშმაკი, და განათავისუფლნეს იგინი, რომელნი შიშითა სიკუდილისაჲთა მარადის ცხორებად თანამდებ იყვნეს კირთებასა“.<sup>1</sup>

მან თავადმან დაჰჳსნნა საღმობანი ჯოჯოხეთისნი, ვითარცა იტყვს ესაია, ვითარმედ: „ჯოჯოხეთი ქუეშე შენსა განმნარდა შემთხუევასა შენსა“,<sup>2</sup> მი-რაჲ-ხვდოდე შენ; და აღდგომითა თჳსითა აღადგინნა დასაბამით-განნი მკუდარნი და ეშმაკი საკიცხელ და საცინელ ყო. რამეთუ ვითარცა ბზიკმან, სცის რაჲ კლდესა, კლდესა მას ვერაჲ ავნის, არამედ თჳსი იგი სა-წერტელი შემუსრის, ეგრეთვე სიკუდილი შეიმუსრა, მოუჳდა რაჲ კლდესა მას ცხორებისასა, რომელ არს ქრისტჳ, და საწერტელი თჳსი წარწყმიდა; ვიდრელა რომელთა იგი პირველ აშინებდა, ან ვეტყვთ მას: „სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევად შენი?“<sup>3</sup> და კუალად ვიტყვთ: აჳოცა ღმერთმან ყოველივე ცრემლი პირისაგან ჩუ-ენისა.<sup>4</sup>

მაშინ შეიკრა მძლავრი იგი ბოროტი და მწარედ იგლოვდა მდებარე ბჭეთა თანა ჯოჯოხეთისასა, ხედვიდა რაჲ, ვითარ მკუდარნი განცხოელ-დებოდეს, ტყუენი განთავისუფლდებოდეს, წმიდანი იგი მამათმთავარნი და წინაღწარმეტყუელნი იხარებდეს და გალობდეს. რომელნიმე იტყოდეს: „აღჳდა მაღალსა, წამოტყუენა ტყუე და გამოიყვანნა კრულნი სიმჳნითა თჳსითა“.<sup>5</sup> სხუანი იტყოდეს: „რაჲამს მოაქცია უფალმან ტყუე სიონისაჲ, და ვიყვენით ჩუენ ნუგეშინისცემულ. მაშინ აღივსო პირი ჩუენი სიხარული-თა, და ენაჲ ჩუენი – გალობითა“.<sup>6</sup> ხოლო ანგელოზნი და ყოველნი ზეცისა მჳედრობანი ღალადებდეს: „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობად, და კაცთა შორის სათნოებაჲ“.<sup>7</sup> და ყოველნივე იხარებდეს ძლევასა მას ზედა სიკუდილისასა.

ხოლო მძლავრი იგი და მბრძოლი ყოველთაჲ შეკრული ჳელითა და ფერჳით მდებარე იყო; და ყოველნი განკვრეგებულ იყვნეს, თუ ვითარ მეყ-სა შინა იქმნა დიდი იგი საკვრველი, რომელ სიკუდილითა სიკუდილი შე-იმუსრა, და ჯუართა ესევეთარი ვეშაპი ჰყრობილ იქმნა, და ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა. ხოლო უბადრუკი იგი ოდენ გოდებდა და კბილთა იღრჭენ-და სულთა მათ ზედა, რომელნი განერნეს ჳელთაგან მისთა, ვითარცა წე-

<sup>1</sup> ებრ. 2,14-15. <sup>2</sup> ესაია 14,9. <sup>3</sup> 1 კორ. 15,55. <sup>4</sup> შდრ. ესაია 25,8. <sup>5</sup> ფსალმ. 67,19,7; ეფეს. 4,8.

<sup>6</sup> ფსალმ. 125,1-2. <sup>7</sup> ლუკ. 2,14.

რილ არს, ვითარმედ: „ცოდვილმან იხილოს და განრისხნეს, კბილთა თკსთა იღრჭენდეს, დადნეს, და გულისთქუმათ ცოდვილთა ნარწყმდეს“.<sup>1</sup>

იღრჭენდა კბილთა და ინანდა, რომელ ყოვლადვე იკადრა მაცხოვრისა ბრძოლად. რამეთუ პირველ ებრძოლა ნმიდათა და არარად ესევეთარი შეემთხვა. აბელი მოკლა, ესაია განხერხა, იერემია ტანჯა, იოზი გამოცადა და სხუანი ყოველნი მამათმთავარნი, და არა იძლია.

ხოლო იკადრა რად უფლისა მიმართ, სრულიად შეიმუსრა და დასათრგუნველ ყოველთა იქმნა. რამეთუ ესე საქმე მაცხოვრისად არს, რომელ არა ხოლო თუ თავადი მძლე ექმნა სიკუდილსა, არამედ ჩუენცა მოგუცა ჴელმწიფებად დათრგუნვად იგი; და ბრძანებს: „აჰა ესერა მიგეც თქუენ ჴელმწიფებად დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა“;<sup>2</sup> და კუალად იტყვს: „ასპიტსა და იქედნესა ზედა ხვლოდი; და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“.<sup>3</sup>

პირველ გუელმან აცთუნა ევა, და შურითა სიკუდილი შემოვიდა სოფლად. ხოლო ან დაითრგუნა, და მო-თუ-ვიდეს ბრძოლად, ესმის: „ნარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო“;<sup>4</sup> და მეყსეულად უჩინო იქმნების, და შეჴმუსრავს მას ღმერთი ფერჯთა ქუეშე ჩუენთა.

და ესოდენ შეურაცხ არს, ვიდრელა „ყრმამან მცირემანო ჴურელსა ასპიტისასა ჴელი დასდვას და არად ევნოს“;<sup>5</sup> თქუა ესაია.

და ჴემმარიტ არს სიტყუად ესე, რამეთუ ბერნი და ყრმანი დასთრგუნვენ გულისთქუმათა მათ და ბრძოლათა მტერისათა, რომლითა ოდესმე ყოველნი დაემორჩილნეს; და ჩჩვლნი პირველ ჴასაკად მოსლვისაცა სრულსა სინმინდესა ნარჴმართებენ და ქალწულებით აღასრულებენ დღეთა თკსთა და ყოველთავე ცოდვისა გემოთა აღმოიფხურიან გულისაგან.

და მრავალთა სანერტელი ეშმაკისად დათრგუნეს და სიკუდილი შეურაცხ-ყვეს და ცხორებად უგულებელს-ყვეს და გვრგვნი ნამებისად მიიღეს და ჴბადვიდეს სიკუდილსა მას უფლისასა.

სხუათა სანუთროდ დაუტევეს და მოქალაქობად ზეცისად მოიგეს ჴორცთა შინა და განკიცხეს მთავარი იგი ამის სოფლისად. ესევეთარნი კეთილნი იქმნეს ჳუარ-ცუმითა უფლისადთა.

ხოლო გზად იგი სამოთხისად, რომელი პირველ ცოდვისა მიერ ჩუენისა დაჴშულ იყო, ან განღებულ არს, რომელთაცა ენებოს შესლვად, ვითარცა ნამებს პავლე, რომელი ჴორცითავე მუნ მიიტაცა და ზეცად აღიტაცა.<sup>6</sup> და ყოვლით კერძო დაიწსნა ძალი ეშმაკისად და ვითარცა გუელი ჴამს მიწასა; და რომელი იქადოდა სიმდიდრესა, განშიშულდა. ხოლო ჩუენ, დაგლახაკე-ბულნი ესე, განვმდიდრდით. რამეთუ ამისთკს დაგლახაკნა უფალი, რადთა ჩუენ სიგლახაკითა მისითა განვმდიდრდეთ. ხოლო ეშმაკი განშიშულდა და

<sup>1</sup> ფსალმ. 111,10.

<sup>2</sup> ლუკ. 10,19.

<sup>3</sup> ფსალმ. 90,13.

<sup>4</sup> მათ. 4,10.

<sup>5</sup> ესაია 11,8-9.

<sup>6</sup> 2 კორ. 12,2.

დაითრგუნა. და იქმნა დიდი ესე საკრველი სოფელსა შინა, რომელ კაცნი წადიერ არიან სიკუდილად, რათა მივიდენ საუკუნესა მას, და სურის მეორედ მოსლვისათჳს მაცხოვრისა. ხოლო ბოროტსა მას ეშმაკსა, რომელსა პირველ ჳელმწიფებაჲ აქუნდა სიკუდილისაჲ, ან ეშინის მოსლვისა მისგან დიდებულისა და სასჯელისა მისგან ძრნის, რამეთუ იცის ცეცხლი იგი, განმზადებული მისთვის და მსახურთა მისთათჳს, რამეთუ ამისთვის დაისაჯა უფალი ჩემი ჳორცითა, რათა ჩუენ გვჳსნეს სასჯელისაგან და ეშმაკი დასაჯოს.

ხოლო ღმრთისმეცნიერებისა მისთვის, რომელი განეფინა სოფელსა შინა, რადლა საჳმარ არს თქუმაჲ, ვინათგან საქმენი თჳთ ქადაგებენ; რამეთუ დღითი-დღე კაცნი კერპთა დასთრგუნვენ და შეჳმუსრვენ და ღმერთსა აღიარებენ და მცნებათა ქრისტესთა აღასრულებენ; და გულისთქუმათა, რომელთა მოწყუედად მო-ცა-ვერ-იგონებდეს, ან კადნიერად დასთრგუნვენ; და ეშმაკთა, რომელთაგან პირველ ძრწოდეს, ან სხუათაგანცა განასხმენ; და ცოდვასა მას, რომლისადა დამონებულ იყვნეს, ან სასწაულითა მით ჯუარისათა ეციცხევენ; და რომელნი-იგი ურწმუნო იყვნეს ქალწულეზასა და იტყოდეს, თუ შეუძლებელ არს კაცთა შორის წარმართებაჲ მისი, ჳრწმენა რაჲ ქალწულისაგან შობილი ქრისტე, ადვილად წარჳმართებენ, და უკვრნ მათ, რომელნი ჯერეთ ურწმუნობასა შინა იყვნინან.

ამას ზედა გრძნებანი და მწამლველობანი უქმ იქმნეს, და სიბრძენი იგი წარმართთანი სულელ იქმნეს, და არღარა სიტყუათაჲ არს ძიებაჲ, არამედ საქმეთა კეთილთაჲ; და არა სიტყუამრავლობაჲ სარგებელ არს, არამედ სინმინდე სულისაჲ; და რომელსა ფილაფოზნი იგი წარმართთანი სიტყუთ ვერ გამოაჩინებენ, ვერცა მისწუთებიან, ამას ქრისტეანენი სარწმუნოებითა გამოაჩინებენ; და რომელსა გრძნებანი იქმოდეს, ჯუარმან ქრისტესმან განაქარვა; და უკუდავებაჲ იგი, რომელსა წარმართნი ურწმუნო იყვნეს, ქრისტეს მონამეთა საქმით გამოაჩინეს; და ქალწულეზაჲ, რომელი საკრველ იყო დიდთა მათ ფილაფოზთა მიერ, ქრისტეს მიერ დედათაცა ადვილად წარჳმართეს; და ეშმაკთა, რომელთა ღმრთად აღიარებდეს იგინი, ყრმანიცა სდევნიან ქრისტეს მიერ.

და ყოვლითურთ ღმერთშემოსილი კაცი მსგავს ღმრთისა არს ქუეყანასა ზედა, ძკრუჳსენებელ, ძმათმოყუარე, ზეცისა მოქალაქობისა აღმასრულებელ.

ესე ყოველი ქრისტეს ჯუარ-ცუმიტა იქმნა, ესე ყოველი აღასრულა სიკუდილმან მაცხოვრისამან; რამეთუ არა კაცობრივი არს საქმე ესე, არამედ საღმრთოდ, და ამისთვის ივნო, ვითარცა კაცმან, რათა კაცთა მოანიჭოს ყოველივე კეთილი.

და ან ყოველნივე სათნოებანი, რომელთა კაცნი იქმან, მისი საქმე არს. რამეთუ დაღაცათუ ჰავლე იტყოდის, ქრისტე იტყვს მის მიერ; დაღაცათუ დიდთა სასწაულთა იქმოდის, მაღლი ქრისტესი იქმს ყოველსავე; და რო-

მელ-იგი ყოველთა ზედა მიიწნა მეცნიერებად ღმრთისად, მისი საქმე არს, რომელი გარდამოვდა ზეცით და შუამდგომელ იქმნა ღმრთისა და კაცთა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „იყვენ ყოველნი ღმრთივსწავლულ“.<sup>1</sup> ან უკუე სანატრელ არს ჭეშმარიტად და თაყუანისსაცემელ ცხოელსმყოფელი ჯუარი ქრისტესი, რომლისა მიერ სიკუდილი განქარდა, და ეშმაკი მოიკლა, და ჯოჯოხეთი წარმოიტყუნა.

დიდებად შენდა, სიტყუაო ღმრთისაო, ღმერთო ჭეშმარიტო, სიბრძნეო და ძალო მამისაო, რომელმან მრავალღონე იგი მძლავრი შეჰმუსრე და ამპარტავანი იგი ქედი მისი დაჰკაფე და მოგუეც ძალი დათრგუნვად მისა.

კაცთმოყუარეო და სახიერო მეუფეო, შენ ტყუეობისაგან გვკვსნენ ჩუენ და მონებისაგან ცოდვისა განგუათავისუფლენ სიკუდილითა შენითა.

მშკდობისმყოფელო, მონყალეო, ძეო ღმრთისაო ჭეშმარიტო, შენ შვილ ღმრთისა გუყვენ ჩუენ და დამაგენ მამასა შენსა, რამეთუ მტერობად იგი წორცითა შენითა განაქარვე.

მდიდარო მაცხოვარო, მეუფეო ტკბილო, შენ დაჰგლახაკენ ჩუენთკს, რაფთა სიგლახაკითა შენითა ჩუენ განვმდიდრდეთ, და სასუფეველი მოგუანიჭე ჩუენ.

დამბადებელო ყოველთაო, სიტყუაო მამისაო, შენ მეორედ დამბადენ ჩუენ და განმაახლენ დაძუელეზულნი ესე.

ნათელო ჭეშმარიტო და ბრწყინვალეზაო მამისაო, შენ დაბნელებულნი ესე განგუანათლენ და დაბრმობილთა ნათელი გვჩუენე.

ხატო და თანაარსო მამისაო, შენ წარწყმედულნი ესე მოგვძიენ და კუალად მოგუანიჭე ხატებად და მსგავსებად ღმრთისად.

ღმერთო, სიტყუაო ღმრთისაო, ცხორებაო ჭეშმარიტო, შენ განგუაცხოველენ მომკუდარნი ესე და განხრწნილნი უხრწნელ-გუყვენ.

ძალო ჭეშმარიტო და მარჯუენეო და მკლავო ღმრთისაო, შენ დაჰვსენ საღმობანი სიკუდილისანი და შეჰმუსრენ ბჭენი რვალისანი და მოქლონნი რკინისანი და ვეშაპი იგი ეშმაკი სამჭედურითა მოითრიე, სასწაულითა მით ჯუარისადთა.

შენ მიერ, სახიერო, და შენითა მით ქველისსაქმითა ყოველნი ემღერნიან მას და ყოველნი დასთრგუნვენ მას, და არლარავის ეშინის მისგან, არამედ შენგან გუეშინის ყოველთა და შენ თაყუანის-გცემთ, და შენ მიერ – დაუსაბამოსა მას მამასა შენსა და ყოვლადწმიდასა სულსა მარადის და უკუნისამდე.

ხოლო კუალად ზემოვსენებული სიტყუად ვაწსენოთ. სახიერმან მან და კაცთმოყუარემან უფალმან ჯუარ-ცუმითა და სიკუდილითა თვსითა აღდგომად და ცხორებად მოგუანიჭა ყოველთა და ძალი სიკუდილისა და ეშმაკისად შემუსრა. ხოლო ჰურიანი დიდებულთა მათ საკვრველებათა ხედვი-

<sup>1</sup> იოან. 6,45; შდრ. ესაია 54,13.

დეს და არავე რცხუენოდა, არცა გულისჯმა-ჰყოფდეს, ვითარმედ თავისა თვისისა წარწყმედად ისწრაფდეს. მისცეს უფალი პილატეს და არა ხედვიდეს, ვითარმედ იერუსალჴმსა მისცემდეს ჴელთა ჰრომთასა. არა ინებეს მონებად უფლისადა და ყვნეს თავნი თვისნი მონა ეშმაკისა და ჰმსახურებდეს მას, რავდენსაცა ეტყოდა ბრძოლად უფლისა.

გამოითხოვეს ბარაბა და უფალი მისცეს ჯუარ-ცუმად; რამეთუ ცხობადა ბარაბადსი შეიყუარეს, და ყოველი კაცის-კლვად და მესისხლეობადა მათ შორის არს. ხოლო ნათელი და ცხობებადა და ყოველივე, რავდენი ეწოდების უფალსა ჩუენსა, მათ განიშორეს. რაფთა აღესრულოს სიტყუადა ესაიადსი, რომელსა იტყვს: „აჰა ესერა მფლობელი უფალი საბაოთ მოსპოლავს ჰურიასტანით და იერუსალჴმით ძლიერსა მამაკაცსა და შემძლებელსა დედაკაცსა, ძალსა ჰურისა და წყლისასა, გმირსა და ძლიერსა, და კაცსა მბრძოლსა და მსაჯულსა, და წინადასწარმეტყუელსა და განმანესებელსა, და მოხუცებულსა და ერგასისთავსა, და საკვრველსა მზრახვალსა, და ბრძენსა ხუროთმოძღუარსა, და გულისჯმისყოფელსა მსმენელსა. და დავადგინნე ყრმანი მთავრად მათა, და მემღერნი უფლებდენ მათ ზედა“.<sup>1</sup>

ემღერდეს უბადრუკნი იგი უფალსა და არა ხედვიდეს, ვითარმედ აღესრულოს მათ ზედა სიტყუადა იგი წინადასწარმეტყუელისადა: „მემღერნი უფლებდენ მათ ზედა“.

ხოლო ნათელი ჴემმარიტად მიელო მათ, რამეთუ იტყვს იერემია: „მოვსპო მათგან ჴმად სიხარულისადა და ჴმად მხიარულებისადა, ჴმად სიძისა და სძლისადა, სურნელებადა ნელსაცხებელისადა და ნათელი სანთლისადა“.<sup>2</sup>

მისცეს უფალი წარმართთა მოკლვად, და არა განიცდიდეს ბრმანი, ვითარმედ შემდგომად მცირედისა იგინი შეიგინნენ წარმართთა შორის, და სამკვდრებელსა მათსა შევიდენ წარმართნი.

უარ-ყვეს უფლისა მეუფებადა და არა სცნობდეს, ვითარმედ წარწყმედენ პატივისა მას დავითისსა; რამეთუ მისდა განმზადებულ იყო მეუფებადა დავითისი, და მოსლვადმდე მაცხოვრისა მოინია იგი, ვითარცა წინადასწარმეტყუელებდა მამათმთავარი იაკობ, ვითარმედ: „არა მოაკლდეს მთავარი იუდადასგან, არცა წინამძღუარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა-იგი განმზადებულ არს, და იგი – მოლოდებადა წარმართთადა“.<sup>3</sup>

განძუარცეს უღმრთოთა მათ უფალი ჩემი და სცეს, და არა იცოდეს, ვითარმედ განშიშულდებიან შეწვენისა მისისაგან და შეიმოსენ ტყეებასა, ვითარცა იტყვს წინადასწარმეტყუელი: „მოვსძარცო სამოსელი ჩემი და ტილოები ჩემი არა ფარვად სირცხვლსა მისსა. და გოდებდეს და იგლოვდეს და ვიდოდის უჴამლოდა და შიშუელი, და ყოს ტყეებადა, ვითარცა ვეშაპთადა, და გლოვად, ვითარცა ასულთა ურჩხულთადა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ესაია 3,1-4.

<sup>2</sup> იერ. 25,10.

<sup>3</sup> დაბ. 49,10.

<sup>4</sup> შდრ. მიქ. 1,8.

შეჰმოსეს უფალსა მენამული და არა იცოდეს, არცა ხედვიდეს, ვითარმედ აღესრულების მათ ზედა სიტყუად იგი, ვითარმედ: „წელნი თქუენნი სავსე არიან სისხლითა“;<sup>1</sup> და „წელთა თქუენთა იპოვა უბრალოდ სისხლი“.<sup>2</sup>

იხარებდეს უბადრუენი, ხედვიდეს რად თავსა ზედა უფლისასა გვრგვნსა მას ეკლისასა, და არა ხედვიდეს ბრმანი, ვითარმედ თვსთა თავთა ზედა დაიკრებდეს ეკალსა და კუროდსთავსა, ვითარცა იტყვს წინადაწარმეტყუელი: „ქუეყანასა ერისა ჩემისასა ეკალი აღმოეცენოს, და ყოვლისა სახლისაგან სიხარული მოისპოს“.<sup>3</sup>

ეკიცხევდეს უფალსა განკიცხულნი იგი, თუ რად იტყვსო თავსა თვსსა ძედ ღმრთისა, და არა ხედვიდეს, ვითარმედ სრულიად განვარდებიან შვილებისაგან, ვითარცა წამებს უფალი პირითა ესაიადსითა: „ისმინე, ცაო, და ყურად-იღე, ქუეყანაო: ძენი ვისხენ და აღვზარდენ, ხოლო მათ შეურაცხმყვეს მე. და აჰა ესერა დაეტეოს სახლი თქუენი ოწრად“.<sup>4</sup>

ასუეს მას ნავლელი და ძმარი, და იყო ესეცა დიდი სიბრმე. რამეთუ ღმერთმან ვენაწი ეგვპტით ცვალა<sup>5</sup> და დაასხა კეთილად და მოელოდა მათ, რადამცა გამოიღეს ნაყოფი – ყურძენი და ღვინო; ხოლო ცოფთა მათ და უგუნურთა ღვინისა წილ ასუეს მას ძმარი და ყურძნისა წილ მიუპყრეს ნავლელი, რადამცა წამონ თავისა თვისისათვს უკეთურებად სოდომელთად, რამეთუ ყურძენი მათი ყურძენი ნავლლისად არს, ვითარცა იტყვს მათთვს მოსე, ვითარმედ: „საყურძნისა მისგან სოდომელთადსა იყო საყურძენი მათი“.<sup>6</sup>

ამისთვს უფალმან იცოდა, თუ ვითარსა ნაყოფსა ეგულეების გამოღებად, და წინადათვე მიუთხრა იგავი იგი ვენაწისად მის და ჰრქუა: „გეტყვს თქუენ: მიგელოს თქუენ სასუფეველი ღმრთისად და მიეცეს ნათესავთა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფთა მისთა“.<sup>7</sup>

ამას ყოველსა ზედა განუყვეს სამოსელი მისი მტარვალთა და არა ხედვიდეს ყოფადსა მას მათსა წარმართთა შორის განყოფასა, ვითარცა იტყვს წინადაწარმეტყუელი, ვითარმედ: „აჰა ესერა დღენი მოვლენ, და განიყოს ნატყუენავი შენი შენ შორის. და შევკრიბნე ყოველნი წარმართნი ბრძოლად იერუსალჴმსა ზედა, და წარიტყუენოს ქალაქი იგი, და წარიტაცნენ მკვდრნი მისნი. რამეთუ არა მიგეტეოს თქუენ ცოდვად ესე, ვიდრემდის მოსწყდეთ თქუენ, – იტყვს უფალი ძალთად“.<sup>8</sup>

და რადთა შემოკლებულად ვთქუა, იკადრეს უშჯულოთა მათ მოკლვად უფლისად, გარნა სიკუდილი მისი იქმნა ჩუენ ყოველთა ცხორება; ხოლო მათ მოიყვანეს თავთა თვსთა ზედა დღე იგი, რომელსა იტყოდა ესაია, ვითარმედ: „დღე სასჯელისა უფლისად არს, და წელიწადი – კულადგებობისა სასჯელისა სიონისად. და გარდაიქცენ ღელენი მისნი ფისად, და ქუეყანად

<sup>1</sup> ესაია 1,15; 59,3.    <sup>2</sup> იერ. 2,34.    <sup>3</sup> ესაია 32,13.    <sup>4</sup> ესაია 1,2,7.    <sup>5</sup> ფსალმ. 79,9.

<sup>6</sup> 2 სჯ. 32,32.    <sup>7</sup> მათ. 21,43.    <sup>8</sup> შდრ. ზაქ. 14,1-2.

მისი – წუნნუბად. და იყოს ქუეყანად მისი, ვითარცა ფისი აღგზებული ღამე და დღე, და არა დაშრტეს უკუნისამდე ჟამთა. აღვიდოდის კუამლი მისი ზე ნათესავითი ნათესავად და მოოჭრდეს ჟამადმდე მრავლად. და არა იყოს თანანარმავალი მის მიერ; და დაემკვდრნენ მას შინა მფრინველნი და გრძლაბნი, და ყორანნი მკვდრ იყვნეს მას შინა. და განემარტოს მას ზე და საბელი ქუეყანისსაზომი ოჭრებისა, და ვირდევნი იყოფოდინ მას შინა. მთავარნი მისნი არა იყვნენ, რამეთუ მეფენი მისნი და მდიდარნი მისნი და მთავარნი მისნი წარსაწყმედელად მიეცნენ. და აღმოსცენდენ ქალაქთა მათთა ეკალთა ხენი. და ძნელოვანნი მისნი იყვნენ საყოფელად ურჩხულთა და სამკვდრებელად სირთა. და შეემთხვნენ ეშმაკნი და ვირდევნი ურთიერთას, და ღალადებდენ მოყუასი მოყუასისა მიმართ. მუნ განისუენებდენ ვირდევნი, რამეთუ პოეს თავისა განსასუენებელი. მუნ მართუენი ისხნენ გრძლაბთა, მუნ შეკრბენ ნადირნი<sup>1</sup>. ესე ყოველი შეემთხვა ჰურიათა, განიზრახეს რად მოკლვა უფლისა. ესე ყოველი მოხადეს თავთა ზედა თვსთა, ჳმობდეს რად მაცხოვარსა ზედა. ამით სახითა დაისაჯნეს, ინებეს რად დასჯად უფლისა. და აწ იხილენ ყოველმან კაცმან, თუ რომელი ნაყოფი გამოილო სიკუდილმან უფლისამან, ანუ რად სარგებელ ეყო ჰურიათა ბოროტი ზრახვად თვისი.

სიკუდილმან მაცხოვრისამან სოფელი აცხოვნა, წარმართნი ღმრთისმეცნიერ-ყვნა, მკუდარნი განაცხოველნა, ეკლესია წარმართთა აღაშენა, სასუფეველი ცათად განგვლო, ანგელოზნი და კაცნი შეაერთნა და მტერობად იგი დაჰჳსნა, ცოდვანი კაცთანი აჳოცნა და აურაცხელნი და გამოუთქუმელნი კეთილნი მოგუანიჳნა მორწმუნეთა მისთა.

ხოლო განდგომილებამან მან და უკეთურებამან ჰურიათამან და ბოროტმან კადნიერებამან, რომელ აჩუენეს უფალსა, წარწყმიდნა იგინი და ქალაქი მათი, დაუბრმნა თუალნი მათნი და სრულიად უღმრთო-ყვნა. და ღმრთისმკლველ ენოდა მათ, რამეთუ ქრისტე ღმერთი ჳორცითა ჯუარს-აცუეს. ამისთჳს აღოჭრდეს და წარწყმდეს და იქმნეს თანამკვდრ და თანამონანილე ეშმაკთა და მსგავს პირუტყუთა; და აწ წესითა მათითა მობაძავ არიან ურჩხულთა და გრძლაბთა და ვირდევთა.

რამეთუ არა არს ვნება, ანუ ცოდვა, ანუ ურჩულოება, რომლითა იგინი არა სავსე არიან. ამისთჳს მოვიძაგნეთ იგინი და განვიშორნეთ. და შევიტკობთ ჯუარი ქრისტესი და თაყუანის-ვცეთ, რომლისა მიერ იქმნა ცხორება ჩუენი. რამეთუ ნეტარიცა პავლე ამით იქადოდა და იტყოდა: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯუართა ქრისტესითა, რომლისათჳს სოფელი ჩემდამო ჯუარცუმულ არს, და მე – სოფლისა“<sup>2</sup> და თავადი უფალი ბრძანებს: „რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, არა არს ჩემდა ღირს, არცა ჳელ-ენიფების მონაფე ჩემდა ყოფად“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ესაია 34,8-15.

<sup>2</sup> გალ. 6,14.

<sup>3</sup> მათ. 10,38; ლუკ. 14,27.

## სწავლად 36

### რადთა განვემორნეთ ყოვლისავე ბოროტისაგან და ვიქმოდით კეთილსა

გარნა ამის პირისათჳს ფრიადი კრძალულებად გვკვმს, რადთა არა ჰურიათაებრ აღვილოთ ჯუარი ქრისტესი, არამედ პავლესებრ. რამეთუ პავლეს საძლეველად ეშმაკისა და საოტებელად ბრძოლათა მისთა ეტკრთა ჯუარი ქრისტესი; ხოლო ჰურიათა, რადთამცა ჯუარს-აცუეს და მოკლეს უფალი, ამისთჳს მიაქუნდა. და ან უკუე, ძმანო ჩემნო, ვეკრძალნეთ, რადთა არა სიტყვით ვაბრალებდეთ ჰურიათა და საქმით ვბაძვიდეთ მათ.

რამეთუ მრავალნი თაყუანის-სცემენ უფალსა, გარნა საქმეთა მიერ ბოროტთა განარისებენ და მსგავს ჰურიათა იქმნებიან. რომელსა სარწმუნოებად მართალი არა აქუნდეს, მსგავს არს მათსა, რომელნი ეტყოდეს: „უკუეთუ ძე ღმრთისაჲ არს, გარდამოწედინ მაგიერ ჯუარით, და გურნმენეს ეგე“;<sup>1</sup> რამეთუ ესეცა ურწმუნო არს, ვითარცა იგინი.

კუალად, დადაცათუ სარწმუნოებად გუაქუნდეს მართალი და საქმე კეთილი არა გუაქუნდეს, სარწმუნოებად იგი მკუდარ არს. ისმინეთ, რასა იტყვს მოციქული: „რომელი ჭამდეს პურსა ამას და სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა უღირსებით, თანამდებ არს ჳორცსა და სისხლსა უფლისასა“.<sup>2</sup> და რომელსა სძულდეს ძმად თჳსი, არა უყუარს უფალი; და რომელი შეურაცხ-ჰყოფდეს გლახაკსა, უფალსა შეურაცხ-ჰყოფს, რამეთუ თავადი იტყვს: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე მიყავთ“.<sup>3</sup> და რომელი მოიღებდეს ქრთამსა უბრალოჲსა დასჯად, მოყუასი არს იუდაჲსი, რამეთუ ესეცა განჰყიდის სიმართლესა, ვითარცა მან განყიდა ქრისტე.

და რომელმან არა შეინყალოს ობოლი და ქურივი, უწყალოებასა მას თჳსად შეჰრაცხავს უფალი. და ესეცა იცოდეთ: რომელი ისიძვიდეს, სულსა თჳსსა წარინყმედს, რამეთუ განხრწნის ტაძარსა ღმრთისასა,<sup>4</sup> ვითარცა მოციქული იტყვს. და რომელი დამონებულ იყოს ბოროტთა გულისთქუმათა და აღასრულებდეს მათ, და სუფევდეს ცოდვად მის ზედა, იგიცა მათ ჰბაძავს, რომელთა კეისარი აღიარეს მეუფედ და არა ქრისტე.

რად-მე უკუე ჯერ-არს ქმნად? არარად სხუად, გარნა ესე: უფლისა მიმართ გურნმენდინ და მართლმორწმუნეობით ვადიდებდეთ წმიდასა და განუყოფელსა სამებასა; და ჯუარსა ქრისტესსა თაყუანის-ვსცემდეთ და წმიდასა ხატსა მისსა; და ღირსად მცნებათა მისთა და წმიდისა მის სახარებისა მისისა ვმოქალაქობდეთ, განვემორნეთ ყოველსავე ცოდვასა და მოვიგოთ სინანული, ვიზრუნოთ ცხორებად სულთა ჩუენთაჲ.

<sup>1</sup> მათ. 27,40,42; მარკ. 15,32.

<sup>2</sup> 1 კორ. 11,27.

<sup>3</sup> მათ. 25,40.

<sup>4</sup> 1 კორ. 6,15-19.



„უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რადთა მოგვტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუნმინდეს ჩუენ ყოვლისაგან სიცრუისა“;<sup>1</sup> იტყვს ღმრთისმეტყუელი იოვანე; და კუალად მანვე თქუა: „შვილნო ჩემნო, ამას მივსწერ თქუენდა, რადთა არა სცოდოთ. და უკუეთუ ვინმე ცოდოს, ნუგეშინისმცემელი გკვის მამისა მიმართ – იესუ ქრისტე მართალი. და იგი არს მომტევებელი ცოდვათა ჩუენთად, არა ხოლო ცოდვათა ჩუენთად, არამედ ყოვლისა სოფლისადა“.<sup>2</sup>

ოდენ მოვიქცეთ სინანულად, განვეშორნეთ ბოროტსა და ვიქმოდით კეთილსა, რადთა ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რადთა შეუძლოთ თქუმად: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“;<sup>3</sup> რომლისადა არს დიდებადა და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ლოყვა–ყავთ წმიდათა მამათათს, იოვანესა და ეფთჳმესთს, წმიდანო ღმრთისანო, ნათესავნო მომავალნო და ჩუენწრვე მყირედ უამ ყოფადნო.

---

<sup>1</sup> 1 იოან. 1,9.

<sup>2</sup> 1 იოან. 2,1-2.

<sup>3</sup> გალ. 6,14.